

ნანა მაჭარაშვილი

**ეფექტური სწავლების  
ტექნოლოგიები და  
სტრატეგიები**

**(სახვითი და გაყოფენებითი ხელოვნება)**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი – 2012

ნაშრომში განხილულია ეფექტური სწავლების მნიშვნელობა მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის; ეფექტური სწავლების მრავალმხრივი ტექნოლოგიისა და სტრატეგიის გამოყენების თავისებურებები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების პროცესში, ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის, აგრეთვე მიღებული შედეგების ანალიზისა და შეფასების მექანიზმები; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ალტერნატიული გზები და საშუალებები.

წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში, ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას, ეროვნული სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მზადებას.

ნაშრომი განკუთვნილია ხელოვნების დიდაქტიკის პრობლემებით დაინტერესულ პირთათვის (ხელოვნების მასწავლებლებისათვის, აღნიშნული პროფილის კადრის მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის წარმომადგენლებისათვის).

**რედაქტორი:** ნათელა ჯაბუა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნების სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორი.

**რეცენზენტი:** ნათელა მაღლაკელიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

© ნ. მაჭარაშვილი

ISBN 978-9941-10-548-7

შესავალი ..... 5

**თავი I. ეფექტური სწავლების კონცეპტუალური საფუძვლები ..... 7**

I.1. პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფცია ..... 7

I.2. ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ..... 15

I.3. თანამშრომლობითი სწავლების პრინციპები და რეალიზაციის ფორმები ..... 22

**თავი II. ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები... 30**

II.1. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ..... 30

II.2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ..... 53

**თავი III. ეფექტური სწავლების სტრატეგიები ..... 76**

III.1. სწავლების სტრატეგიები და მეთოდები ..... 76

• გონებრივი იერიში ..... 80

• დისკუსია ..... 81

• დემონსტრირების მეთოდი ..... 83

• როლური თამაში/სიმულაცია ..... 84

• კოგნიტური დიაგრამები ..... 87

• მსგავსებისა და განსხვავების მეთოდი ..... 88

• კლასიფიკაციის მეთოდები ..... 93

• შეჯამებისა და ჩანაწერების გაკეთების მეთოდები ..... 95

- უკუქცევითი სწავლების მეთოდი..... 107
- ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი ანალიზის მეთოდი.....109

**თავი IV. ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვა, მართვა და მკვლევარობა .....**112

IV.1. ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები..112

IV.2. ხელოვნების გაკვეთილის კონსტრუირების თავისებურებები .....

თავისებურებები .....119

IV.3. ინტეგრირებული გაკვეთილი.....122

IV.4. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.....128

IV.5. გაკვეთილის შეფასება და მასწავლებლის პროფესიული განვითარება.....135

რეზიუმე ..... 139

ლიტერატურა.....140

## შესავალი

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის გლობალურ ტენდენციას დემოკრატიულობისა და ჰუმანიზაციის განმსაზღვრელი როლი შეადგენს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტული გახდა მრავალმხრივ განვითარებული, უმნიშვნელოვანესი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციებით აღჭურვილი, სოციალურად სრულფასოვანი ინდივიდის ფორმირების აუცილებლობა. ძირეულმა ცვლილებებმა სოციალურ-ეკონომიკურ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სფეროებში შექმნა რეალური წინამძღვრები საგანმანათლებლო სისტემის რადიკალური გარდაქმნისათვის, რამაც, თავის მხრივ, უნდა განსაზღვროს ინტელექტუალური, ტექნოლოგიური და სოციალური პროგრესი.

საზოგადოების დაკვეთამ საგანმანათლებლო სისტემის „პროდუქტზე“ გამოკვეთა ძირითადი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას, არამედ იმ არსებითი უნარ-ჩვევების განვითარების აუცილებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს, გამოავლინონ დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, შეძენილი ცოდნის ტრანსფერის, საკუთარი და სხვისი საქმიანობის შეფასების, თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, თვითაქტუალიზაციისა და სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები.

სასკოლო განათლების მნიშვნელობის აღიარებამ განაპირობა მოსწავლის პიროვნებისადმი, როგორც უმაღლესი ფასეულობისადმი დამოკიდებულების პრიორიტეტულობა. თანამედროვე სკოლის ძირითად ამოცანად განისაზღვრა აქტიური, კრეატიული პიროვნების ფორმირება, რომელსაც აქვს თვითგანვითარებისა და თვითგანათლების, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, პირადი პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილებ-

ბების სწრაფად მიღების, თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის, ასევე სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები. სწორედ ეს თვისებები იძენს განმსაზღვრელ მნიშვნელობას მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისა და შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულმა სათანადო ასახვა პოვა რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე. ძირეულმა სიახლეებმა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საგნობრივი სტანდარტების ამაღლებამ, სრულიად განსხვავებული ტიპის სასწავლო-დიდაქტიკური მასალების შექმნამ განსაზღვრა სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის განსხვავებულ პრინციპებზე დაფუძნებას, მსოფლიო საგანმანათლებლო პრაქტიკის, ინოვაციური მიდგომების შესწავლასა და განზოგადებას, ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების დანერგვას, რომელთა ეფექტურობაც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ კვლევის შედეგების შესაბამისად არის დადასტურებული.

მოცემული წიგნი მიზნად ისახავს, დაეხმაროს ხელოვნების დიდაქტიკით დაინტერესებულ მკითხველს, გაიმდიდროს პროფესიული ცოდნა და კომპეტენციები, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედება, პიროვნული მიდგომა, ეფექტური სწავლების სტრატეგიების მიზანმიმართული გამოყენება ხელოვნების გაკვეთილზე სწავლების თითოეული კონკრეტული საფეხურის სპეციფიკის შესაბამისად; გაითვალისწინოს გაკვეთილის დრამატურგიის აგების მრავალფეროვნება, გამოიყენოს მრავალმხრივი აქტივობები, მოსწავლეთა შეფასების მრავალგვარი ფორმები, გამოავლინოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების უნარ-ჩვევები.

## თავი I. ეფექტური სწავლების კონცეპტუალური საფუძვლები

### I.1. პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფცია

პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო კონცეფციის აქტუალობა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოიკვეთა, რასაც ხელი შეუწყო როგორც განათლების მეცნიერებებში, ისე მომიჯნავე სფეროებში განხორციელებულმა ფუნდამენტურმა კვლევებმა. მიღებული შედეგების საფუძველზე მეცნიერულად იქნა დასაბუთებული აღნიშნული კონცეფციის უპირატესობა, ერთი მხრივ, მყარი, ფუნქციური ცოდნის კონსტრუირების, მეორე მხრივ, აქტიური, კრეატიული, მრავალმხრივი პროფესიული და პიროვნული კომპეტენციებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით.

პიროვნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ცენტრშია მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მიღწეული შედეგები. აღნიშნული მიდგომა მთელი რიგი უპირატესობებით ხასიათდება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი მართავს სწავლა-სწავლების პროცესს, მოსწავლე აქტიურად არის ჩართული ცოდნის აგების პროცესში. იგი საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით „აღმოაჩენს“, ამუშავებს ახალ თემებს/საკითხებს და შესაბამისად, უკეთ აცნობიერებს ახალ ცოდნას, რომელიც მობილური, ფუნქციური ხდება. მოსწავლეს შეუძლია პარალელურად გავლება, მსგავსება-განსხვავების გამოვლენა, შეძენილი ცოდნის განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება; მოსწავლეს შეუძლია წამოაყენოს საკუთარი მოსაზრებები, იდეები, ჰიპოთეზები, ავლენს

დამოუკიდებელი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და არ-გუმენტირებული მსჯელობის, შეფასებისა და თვითშეფასების, კონსტრუქციული თანამშრომლობისა და სხვა მნიშვნელოვან უნარებს.

პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესი ინტერაქტიურ მეთოდებს ეფუძნება.

სწავლების პროცესი თავისი ბუნებით ინტერაქტიური პროცესია, რამდენადაც მოიცავს ორ საპირისპირო მხარეს – მასწავლებელსა და მოსწავლეს. მათ საერთო მიზანი აერთიანებთ – ახალი ცოდნისა და უნარების ათვისება. თუმცა საგანმანათლებლო პროცესის ამ ბუნებრივი და გარდუვალი, დაუფარავი ინტერაქტიურობის (ურთიერთქმედების) მიუხედავად, ტრადიციული სკოლის პირობებში ის, ჩვეულებრივ დეფორმირდებოდა შორს მიმავალი ნეგატიური შედეგებით. ტრადიციულ სკოლაში სასწავლო პროცესმა, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დაკარგა თავისი ძირითადი მახასიათებელი – ინტერაქტიურობა.

## I.1. ნიმუში 1

### ტრადიციული და ინტერაქტიური სასწავლო პროცესი

ტრადიციული (ავტორიტარული) სასწავლო პროცესი	ინტერაქტიური (პიროვნებაზე ორიენტირებული) სასწავლო პროცესი
სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა - მასწავლებელი	სასწავლო პროცესის ცენტრში - მოსწავლე
მასწავლებელი - სვამს ამოცანას, წყვეტს პრობლემას, აკეთებს დასკვნებს.	მასწავლებელი - თანამშრომლობს მოსწავლეებთან, ხელს უწყობს მათ შემეცნებით და პიროვნულ განვითარებას.

მოსწავლე - ითვისებს სასწავლო მასალას, ასრულებს დავალებას მოცემული ნიმუშის ან კონკრეტული მითითების შესაბამისად, პასუხობს კითხვებზე, რომელთა პასუხიც უშუალოდ სასწავლო ტექსტშია მოცემული.	მოსწავლე ითვისებს სასწავლო მასალას „აღმოჩენის გზით“, კითხვებზე პასუხისას ავლენს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარებს, დამოუკიდებლად აკეთებს დასკვნებს
ცოდნის ძირითადი წყარო - მასწავლებელი, სახელმძღვანელო	ცოდნის ალტერნატიული წყაროები
ძირითადი მიზანი - ცოდნის გადაცემა	ძირითადი მიზანი - მოსწავლის პიროვნების ფორმირება
სწავლის მოტივაცია სუსტი, სწავლების პროცესი ნაკლებად საინტერესო და მოსაწყენი	სწავლის მოტივაცია მყარი, სწავლების პროცესი საინტერესო და სახალისო
მოსწავლეთა ორგანიზების ძირითადი ფორმები - ინდივიდუალური, საერთო საკლასო.	მოსწავლეთა ორგანიზების ძირითადი ფორმები - ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური.
გაკვეთილის დრამატურგია - ერთფეროვანი	გაკვეთილის დრამატურგია აიგება მრავალმხრივ აქტივობებზე
სასწავლო პროცესში უგულებელყოფილია მოსწავლის ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი ინტერესები, მიდრეკილებები	სასწავლო პროცესი ეყრდნობა მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მის ინტერესებს, მიდრეკილებებს
შეფასება დაკავშირებულია მხოლოდ ცოდნის ათვისების დონესთან	შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ფასეულობები და დამოკიდებულებები)

ინტერაქტიური სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად წარმოჩნდება პროგრესული პარადიგმის ფასეულობები – ჰუმანურობა, საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედება, პიროვნული მიდგომა. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ინტერაქტიური სწავლების აქტიურად დანერგვის პროცესმა განსაკუთრებული აქტუალობა მიანიჭა მისი გაცნობიერებისა და შემოქმედებითად გააზრების პრობ-

ლემას (არსი, სპეციფიკა, პრინციპი, ორგანიზაციის საშუალებები).

ინტერაქტიური სწავლების არსი მდგომარეობს სასწავლო-შემეცნებით პროცესში ჩართული სუბიექტების რეალიზებულ ინტენსიურ, მრავალგეგმიან პიროვნებათმორის დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებში. ჯერ კიდევ ცნობილი ფსიქოლოგი ლეონიდ ვიგოდსკი აღნიშნავდა, რომ უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების გზა ძირითადად დაკავშირებულია ბავშვური ცნობიერების სოციალური საქმიანობის ძირითად ფორმასთან. როგორც ლ. ვიგოდსკი წერდა, აღნიშნული ფსიქიკური ფუნქცია ორჯერ ვლინდება ქცევის განვითარების პროცესში: თავდაპირველად როგორც კოლექტიური ქცევის ფორმა, როგორც თანამშრომლობის ან ურთიერთქმედების ფორმა, ანუ როგორც ინტერფსიქოლოგიური კატეგორია, შემდეგ კი როგორც ბავშვის ინდივიდუალური ქცევის ფორმა, როგორც ქცევის შიდა პროცესი, ანუ როგორც ინტრაფსიქოლოგიური კატეგორია.<sup>1</sup>

ცნება „ინტერაქცია“ ნასესხებია სოციოლოგიური მიმდინარეობის – სიმბოლური ინტერაქციონიზმისაგან (გ. ბლაუმბერგი, დ. მიდი, რ. სირსი და სხვ.), რომლის წარმომადგენელთა აზრით, სიმბოლური ინტერაქციონიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს შორის ურთიერთქმედება განიხილება როგორც უწყვეტი დიალოგი, რომლის პროცესშიც ისინი აკვირდებიან, აცნობიერებენ ერთმანეთის აზრებს, იდეებს, ვერსიებს და შემდეგ რეაგირებენ მათზე.<sup>2</sup>

ინტერაქტიურობა, გააზრებული როგორც უშუალო დიალოგი, დღეს უკვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რომლის გაცნობიერებული გამოყენებაც უზრუნველყოფს ეფექტური სწავლების დანერგვას. ინტერაქტიური სწავლების ტექნოლოგია ინარჩუნებს საგანმანათლებლო პროცესის საბოლოო მიზანს, თუმცა ცვლის შემეცნებითი საქმიანობის სა-

ტრანსლაციო ფორმებს ერთობლივ ძალისხმევაზე, ურთიერთქმედებასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთაქტიური ფორმებით. ინტერაქტიურ სწავლებაში დიალოგის პოზიციებს საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს ცნება „შეგნებული მონაწილეობა“.

საყურადღებო ფაქტია, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში არაერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ბევრად უფრო ადვილია ჯგუფში თავმოყრილი ინდივიდების შეცვლა, ვიდრე თითოეული მათგანის ცალ-ცალკე. დღეს კი მეცნიერები ერთობლივ (ჯგუფურ) საქმიანობას საგანმანათლებლო სფეროში დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საფუძვლად მიიჩნევენ – თანამედროვე საზოგადოებაში ხომ ბევრად გაფართოებულია სოციალური გარემოცვის პიროვნული ზონა. ამიტომაც, კოოპერაციის (თანამშრომლობითი საქმიანობის) უნარ-ჩვევების ათვისება სწორედ სწავლების პერიოდში უნდა მოხდეს. ჯგუფური მუშაობისათვის უპირატესობის მინიჭების იდეა გარკვეულწილად განაპირობა პედაგოგებისა და ფსიქოლოგების სწრაფვამ, დასძლიონ პედაგოგიკის ზემოქმედების ნაკლოვანი მხარეები და სასწავლო პროცესში დანერგონ საკლასო ინტერაქციის სხვადასხვა ფორმა (მასწავლებელი – მოსწავლისა და მოსწავლე – მოსწავლის ინტერაქცია) იმ მოსაზრებით, რომ პედაგოგიური ზემოქმედება იყოს ირიბი და არა პირდაპირი (აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი არ არის დამახასიათებელი ტრადიციული სწავლებისათვის). შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურობისა და ქმედითობის უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკლასო ინტერაქცია, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მათ ურთიერთქმედებას.

ინტერაქტიური სწავლებისას მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების, აგრეთვე კრეატიულობის, ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარება, რაც, თავის მხრივ,

1 А. С. Выгодский „Проблемы развития психики“, М., 1983, т. 3. с. 27.

2 Слезер Н. Социология. М., 1994. с.17.

ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას კონკრეტული სასწავლო მასალისა და ზოგადად, სწავლის პროცესისადმი. მოსწავლეებს უადვილდებათ ახალი მასალის არა მხოლოდ განვლილ მასალასთან, არამედ საკუთარ გამოცდილებასთან, ინტერესებთან დაკავშირება, აგრეთვე სხვა საგნებში მიღებულ ცოდნასთან ინტეგრირება.

აღნიშნული მიდგომის მთავარ კომპონენტებს შეადგენს თითოეული მოსწავლისა და მისი ინდივიდუალური სასწავლო საქმიანობის უნიკალურობის აღიარება. ამ შემთხვევაში მასწავლებლის როლი მდგომარეობს არა მხოლოდ გარკვეული მოცულობის ცოდნის გადაცემასა და უნარ-ჩვევების განვითარებაში, არამედ იმგვარი საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზებაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, დაეყრდნოს საკუთარ პოტენციალს და სწავლების შესატყვის ტექნოლოგიას. მასწავლებელი და მოსწავლე უზრუნველყოფენ ერთობლივ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოსწავლის ინდივიდუალური თვითრეალიზებისა და მისი პიროვნული თვისებების განვითარებაზე.

ამგვარად, პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მასწავლებელი აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას. ითვალისწინებს, რომ მას ახასიათებს განსხვავებული ინტერესები, შესაძლებლობები, განსხვავებულია მისი სწავლისადმი დამოკიდებულებაც, რაც უდავოდ საყურადღებოა საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისა და არსებითი ხარისხოვანი შედეგების მიღების თვალსაზრისით;
- მეორე მხრივ, როგორც მასწავლებელი, ისე თითოეული მოსწავლე აცნობიერებს ნებისმიერი სხვა ადამიანის უნიკალურობას, ინდივიდუალურ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, რასაც მკაფიოდ აცნობიერებენ მოსწავლეები როგორც მასწავლე-

ბელთან, ისე თანაკლასელებთან მიმართებაში;

- მასწავლებელსა და მოსწავლეს, აგრეთვე მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის ძირითად ნიშანს შეადგენს ტოლერანტულობა. მოსწავლეები ცდილობენ სხვა თვალსაზრისის, სხვა მოსწავლის ქმედების მოტივების გაცნობიერებასა და შესაძლებელია, მიღებასაც. ამგვარად მოსწავლე ახდენს საკუთარი სოციალური ფუნქციის რეალიზებას. მოსწავლეთა თანამშრომლობითი ურთიერთქმედება ითვალისწინებს თითოეული მათგანის საწყისი პოზიციის არსებობას, შენარჩუნება-დაცვას ან შეცვლას. აქტიური კომუნიკაცია უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნების განვითარებას, ახალი შემეცნებითი შედეგების გაცნობიერებას, რომლებიც მიღებულია ამხანაგებთან დიალოგის პროცესში.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა რეალიზდება მაშინ, როდესაც საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და დიაგნოსტიკის პროცესში გათვალისწინებულ იქნება თითოეული მოსწავლის პიროვნული თვისებები, ინდივიდუალური მახასიათებლები.

განსხვავება სწავლების ტრადიციულ ფორმებსა და ინტერაქტიური სწავლების ტექნოლოგიას შორის უკვე ამოცანის დასმის ეტაპზე იკვეთება. განსხვავებული მიდგომა სწავლებისადმი, როგორც ინტერაქტიური პროცესისადმი, ითვალისწინებს გაკვეთილზე ამოცანების ტრადიციის დასმასა და გადაწყვეტას, რომლებშიც აქცენტი სხვაგვარადაა დასმული:

- სასწავლო-შემეცნებითი (მიზანი: კონკრეტული სასწავლო, პრობლემური, შემოქმედებითი სიტუაციის გაცნობიერებისა და გადაწყვეტის, აგრეთვე ჯგუფის თითოეული წევრის მხრიდან საკუთარი ქმედებების ლოგიკისა და თანამიმდევრობის გაცნობიერების აუცილებლობა);
- საკომუნიკაციო (მიზანი: ინტერაქტიური ურთიერთობის

ჩვევების, აგრეთვე თვითრეალიზაციისა და თვითაქტუალ-  
იზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიურ აღჭურვილობასთან  
მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება ერთობლივი შედეგ-  
ების პროცესში); საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარ-  
ებისათვის მნიშვნელოვანია ტოლერანტული დამოკიდე-  
ბულების გამოვლენა სხვა სუბიექტების აზრებისა და  
შეხედულებებისადმი;

- სოციალურ-ორიენტაციული (მიზანი: ინდივიდის სოციალ-  
იზაციისათვის მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებების  
აღზრდა, რომლის შედეგებიც ადეკვატურ ასახვას პოვებს  
სასწავლო დროისა და სივრცის მიღმა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პიროვნებაზე ორიენ-  
ტირებულ სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელო-  
ბას იძენს სასწავლო პრაქტიკის მრავალფეროვნება, განსხ-  
ვავებული ხერხების, მეთოდების, საშუალებების დანერგვა და  
მათი მონაცვლეობით, სხვადასხვა ფორმითა და ნაირსახეო-  
ბით გამოყენება, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავ-  
ლის ჩართვას მრავალფეროვან აქტივობებში. შესაძლოა, ზოგი  
მოსწავლისათვის, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების  
მიხედვით, ყველაზე ნაყოფიერი დამოუკიდებელი სწავლა იყოს,  
ზოგისთვის კი – თანამშრომლობითი. ასევე მოსწავლეთა  
გარკვეული ნაწილისათვის ბევრად ეფექტური კონკურენციის  
პირობები აღმოჩნდეს. დამოუკიდებელი, კონკურენტული და  
თანამშრომლობითი სწავლების ფორმების მიზანმიმართული,  
მონაცვლეობითი გამოყენება მრავალფეროვანს ხდის ცოდნის  
მიღების პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას,  
ქმედითობას, მათი შედეგებითი განვითარებისა და სოციალურ-  
რად სრულფასოვან ინდივიდალ ფორმირების პროცესს.

## 1.2. პროცესული სასწავლო გეგმა და საბნობრივი პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ზოგადი განათლების სისტემისათვის უმნიშვნელოვანესი,  
ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის – „ზოგ-  
ადი განათლების ეროვნული მიზნების“ – გათვალისწინებით  
მომზადებული ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარ ამოცანას  
ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო რესურსისა  
და გარემოს შექმნა შეადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის  
ძირეული პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რამდენადაც მის  
საფუძველს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სა-  
განმანათლებლო კონცეფცია შეადგენს და რამაც განსაზღვრა  
შესატყვისი მეთოდოლოგიური ორიენტირები:

- სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულ უნდა  
იქნეს თითოეული მოსწავლის განუმეორებელი, უნიკალური  
ინდივიდუალური მახასიათებლები, შესაძლებლობები, ინტერე-  
სები, პირადი გამოცდილება, სწავლის სტილი;
- მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული სწავლის  
(ცოდნის აგების) პროცესში, რომელიც ეფუძნება მოსწავლის  
ცოდნას, გამოცდილებას, შეხედულებებს;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო პროცე-  
სის მრავალფეროვნება, რაც გულისხმობს მრავალგვარი მეთო-  
დის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა  
თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას;
- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო მა-  
სალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი  
საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონ-  
ტექსტებში განხილვას, საგანთშორისი კავშირების გამოვლენ-  
ასა და საერთო ასპექტების დამუშავებას;
- სტანდარტით განსაზღვრული შედეგების რეალიზებისა-



თვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოტივაციის გაზრდა, რაც მოსწავლის წინსვლის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა;

- განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში (მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა როგორც საკუთარი, ისე თანატოლების სწავლის პროცესში). ჯგუფური მუშაობის, პროექტების დისკუსიების, საკლასო კონფერენციების, შემოქმედებითი კონკურსების, სპექტაკლების, გამოფენების, აქციებისა და სხვ. დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოსწავლეები იძენენ მყარ, ფუნქციურ ცოდნას, აგრეთვე თანამშრომლობითი მუშაობისა და მთელი რიგი, მათი პიროვნული და სოციალური ფორმირებისათვის არსებით უნარ-ჩვევებს, ფასეულობებსა და დამოკიდებულებებს.

ზემოაღნიშნულმა ასახვა პოვა საგნობრივი პროგრამების სტრუქტურაში. კერძოდ:

**1. საგნობრივი პროგრამის ზოგადი ნაწილი** განსაზღვრავს საგნის (კონკრეტულად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) სწავლების მიზანს, ამოცანებსა (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ფასეულობები და დამოკიდებულებები) და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს. ესენია:

- კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემათა გადაჭრის უნარი;
- თვითგამოხატვის უნარი;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- სამოქალაქო ცნობიერება;
- კომუნიკაციის უნარი;
- კვლევა-ძიების უნარი;
- თვითშეფასებისა და საკუთარი საქმიანობის წარმართვის უნარი.

**2. საგნობრივი პროგრამის ძირითადი ნაწილში (სტანდარტში)** სწავლის მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უნდა წარმოაჩინოს, სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების რეალიზების მიზნით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ;

**3. საგნობრივი პროგრამის დასკვნითი ნაწილი (შინაარსი)** მოიცავს სავალდებულო (სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები, მასალა და იარაღი, ტექნიკა და პროცედურა, ხელოვნის აღქმა კონტექსტში) და სარეკომენდაციო საკითხების ჩამონათვალს (იდეების გამოხატვა, შრომითი საქმიანობა, კომუნიკაცია, რეკომენდებული ვიზუალური მასალა).

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება სამი მიმართულებით ხორციელდება:

**1. შემოქმედებითობისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება:** მოსწავლეები ეუფლებიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, სხვადასხვა მასალას, ტექნიკასა და პროცედურებს; ივითარებენ საკუთარი იდეების, ემოციების, წარმოსახვის საფუძველზე წარმოშობილი ჩანაფიქრის ხორცშესხმის, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების, მასალისა და ტექნიკისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების უნარ-ჩვევებს;

**2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:** მოსწავლეები ეუფლებიან ხელოვნების ნიმუშებზე მსჯელობის, საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების, ავტორის ჩანაფიქრში წვდომისა და მის მიერ გამოყენებული გამომსახველობითი ხერხების თავისე-

ბურებებს, საკუთარ ცოდნასა და შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით ხელოვნების ნიმუშის შეფასებას; ავლენენ საკუთარი და ჯგუფური ნამუშევრების წარდგენის, მასზე მსჯელობისა და შეფასების, დისკუსიაში მონაწილეობის, სხვადასხვა სახის ღონისძიების დაგეგმვისა და წარმართვის უნარ-ჩვევებს;

**3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში:** მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებს, ხალხური შემოქმედების ზოგიერთ დარგს, ეუფლებიან ხელოვნების ნიმუშის შინაარსსა და დანიშნულებასზე, მათი შექმნისა და შეფასების, განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტში განხილვის უნარ-ჩვევებს; ავლენენ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშების ამოცნობისა და შედარების, ნაწარმოების შინაარსის ისტორიასთან, კულტურასთან, რელიგიასთან დაკავშირების, საზოგადოების ცხოვრებაში ხელოვნების დანიშნულებაზე მსჯელობის უნარ-ჩვევებს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება თითოეულ კონკრეტულ საფეხურზე შესაბამისი სპეციფიკით გამოირჩევა, რასაც განსაზღვრავს თითოეული ასაკობრივი საფეხურის მოსწავლეთა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ემოციური, შემეცნებითი თავისებურებები. კერძოდ:

**დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები)** ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დისციპლინის პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო, სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. შესაბამისად, ძირითადად, აქცენტირებულია სამყაროს ემოციური აღქმა, თამაშზე დაფუძნებული აქტივობები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ელემენტების ინტეგრირება (ხატვა, მუსიკა, ზღაპარი, ლექსი, სპექტაკლი, ანიმაციური ფილმი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ საფეხურზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლეთა ემოციური და სააზროვნო სფეროს, პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

**საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები)** მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება და შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელოვნების ნიმუშის ანალიზის, მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების, ავტორის ჩანაფიქრის წვდომისათვის. ამ ეტაპზე სათანადო დატვირთვის იძენს ჯგუფური მუშაობის მრავალმხრივი ფორმების გამოყენება (საკლასო კონფერენცია, პროექტი, აქცია, შემოქმედებითი კონკურსი და სხვ.), რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევა-ძიების, პრობლემათა გადაჭრის, შემოქმედებითი თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის, თანამშრომლობისა და სხვა უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევების განვითარებას.

**საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები)** მოსწავლეთა მიერ შექმნილი ცოდნა, უნარ-ჩვევები, ფასეულობები და დამოკიდებულებები ქმნის მყარ საფუძველს გაცნობიერებული არჩევანისათვის (არჩევითი დისციპლინა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – პრაქტიკული/თეორიულ-პრაქტიკული კურსი).

ამგვარად, საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე არსებითმა სიახლეებმა განსაზღვრა რადიკალური ცვლილებები სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებაში. ხელოვნების, როგორც სავალდებულო სასწავლო დისციპლინის სწავლების მიზანი ფართოა და მრავალმხრივი: ხელი შეუწყოს მოსწავლის მრავალმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, გაულრმაგოს თეორიული ცოდნა სახვითი ხელოვნების ძირითად ელემენტებსა და პრინციპებსზე, მხატვრული ხერხებისა და საშუალებების გამოყენების მრავალფეროვნებაზე; გაუმდიდროს მხატვრული შთაბეჭდილებები – გააცნოს მსოფლიო ხელოვნების სხვადასხვა ეპოქის, მხატვრული მიმდინარეობისა და სტილის ნიმუშები; დაეხმაროს მოსწავლეს, რათა მან შეძლოს ხელოვნების ნაწარმოების აღქმა და მასზე მსჯელობა, მისცეს შემოქმედებითი თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციისა

და თვითაქტუალიზაციის საშუალება მრავალმხრივი პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებით; ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც სოციალურად სრულფასოვანი ინდივიდის ფორმირებისათვის არსებითი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ფორმირებას.

განისაზღვრა ხელოვნების სწავლების მეთოდური ორიენტირებიც, რაც განპირობებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებით. კერძოდ:

- ხელოვნების სფერო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მის ინტერესებთან, შესაძლებლობებთან, ინდივიდუალურ მახასიათებლებთან, რასაც ხელი უნდა შეუწყოს როგორც სასწავლო მასალის შინაარსმა, ისე სწავლების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებამ, ეფექტური სწავლების მრავალმხრივი სტრატეგიის დანერგვამ, გაკვეთილის კონსტრუირების მრავალფეროვანი ხერხის გამოყენებამ, მოსწავლეთა შეფასების მრავალგვარი ფორმების გამოყენებამ. აღნიშნული უზრუნველყოფს მოტივაციის გაზრდას ხელოვნების გაკვეთილებისადმი, მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და, ამასთან ერთად, შექმნის მყარ საფუძველს იმ მიმართულებით, რომ ხელოვნებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს მოსწავლის ცხოვრებაში;

- თანამედროვე სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესაბამისად, რასაც მოსწავლის პიროვნული განვითარების აუცილებლობა შეადგენს, ხელოვნების სწავლებისათვის პრიორიტეტული გახდა მთელ რიგ პიროვნულ თვისებათა გამოვლენა-განვითარება, როგორიცაა: საკუთარი მოსაზრების ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბება და დასაბუთება, განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა, ამხანაგებთან თანამშრომლობა, ერთობლივ ნამუშევარზე პასუხისმგებლობა, შეფასებისა და თვითშეფასების უნ-

არ-ჩვევების გამოვლენა და სხვ.;

- ინტეგრირებისა და ინტერდისციპლინარული კავშირების რეალიზება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ არა მხოლოდ ვიწრო საგნობრივი ცოდნის დაუფლებას, არამედ მისცემს მათ ცოდნის ტრანსფერის შესაძლებლობას, გაუფართოებს შემეცნებით ინტერესებს, საფუძველს ჩაუყრის ფართო ზოგადკულტურულ განვითარებას;

- პრაქტიკული საქმიანობის მრავალმხრივი, ხშირად ალტერნატიული ფორმების გამოყენება უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნის განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების, პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა დაუფლებას, ფანტაზიის, შემოქმედებითობის განვითარებას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით თვითგამოხატვასა და თვითრეალიზაციას.

### 1.3. თანამშრომლობითი სწავლების პრინციპები და რეალიზების ფორმები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ორიენტირების რეალიზებას, ეფექტური სწავლების განხორციელებას ბევრად განაპირობებს თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა.

ინდივიდუალური მუშაობისას მოსწავლე პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ თავთან და მასწავლებელთან. მისი მუშაობის შედეგი არ არის დამოკიდებული სხვა მოსწავლეებთან თანამშრომლობაზე, მათ წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე. კონკურენტული სწავლების პროცესში იგი მოტივირებულია, რომ სხვა მოსწავლეებზე უკეთეს შედეგს მიაღწიოს, შესაბამისად, მხოლოდ საკუთარ თავზეა კონცენტრირებული – მისი წარმატების საფუძველი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სხვაზე სწრაფად და ხარისხობრივად შეასრულებს დავალებას.

თანამშრომლობითი სწავლება მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისაკენ, მოითხოვს მოსწავლეთა კოორდინირებულ და კონსტრუქციულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტისა და საერთო მიზნის მიღწევის მიზნით, შესაბამისად, თანამშრომლობითი სწავლების ეფექტურობას განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- მოსწავლეთა მიერ ერთმანეთთან პოზიტიური დამოკიდებულების მნიშვნელობის, დადებითი ურთიერთგავლენის გაცნობიერება არა მხოლოდ პირადი, არამედ ერთობლივი წარმატებისათვის;
- პასუხისმგებლობის გრძნობის გამოვლენა როგორც ერთობლივი მუშაობის, ისე საბოლოო პროდუქტისადმი;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების მოთხოვნის, ურთიერთდახმარების გამოვლენა მათ მიერ ერთობლივად გა-

დასაჭრელი ამოცანისადმი მიდგომის სხვადასხვა გზის ძიების, ძველ და ახალ მასალას შორის კავშირების დამყარების, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირების, ინტერდისციპლინარული კავშირების რეალიზების მიზნით;

- სოციალიზაციის უნარ-ჩვევების გამოვლენა, რაც გამოიხატება შემდეგში: კონკრეტულ ერთობლივ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებმა არა მხოლოდ ცოდნა უნდა გამოავლინონ და გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნაც მიიღონ, არამედ გამოამჟღავნონ სოციუმში ქცევის უნარი, მაღალი მოტივაცია, ლიდერობის, გადაწყვეტილებების მიღების, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების, საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტების მოგვარების უნარები;

- ერთობლივი მუშაობის ორგანიზება, პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნა, მიზნის მისაღწევად სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ერთობლივი მუშაობის ანალიზი და შეფასება.

ჯგუფური მუშაობის თავისებურებების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხები, როგორცაა პიროვნებათშორისი დამოკიდებულებების ზეგავლენა ჯგუფური მუშაობის ეფექტურობაზე, ჯგუფის შემადგენლობის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, ჯგუფური მუშაობის პირობებში შემეცნებითი ამოცანების გადაწყვეტის შესწავლა და სხვ. კვლევების შედეგებმა მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინათ დასკვნა, რომ ჯგუფური მუშაობა მეტი ეფექტურობით ხასიათდება, ვიდრე ინდივიდუალური. ჯგუფური მუშაობის ძირითად მახასიათებლებად კი აღინიშნა:

- სასწავლო მასალის ერთობლივად აღქმა-განხილვა;
- ერთობლივი ძალისხმევის ეფექტურობა შემეცნებითი თუ შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში;
- მოვალეობების/ფუნქციების განაწილების დამოკიდებულების არსებობა;
- ურთიერთკონტროლისა და პასუხისმგებლობის არსებობა;

• ჯგუფის წევრებს შორის მუშაობის, მისი მსვლელობისა და კონტროლის განაწილების ორგანიზაცია.

ჯგუფური მუშაობის მიზანმიმართული დაგეგმვისა და წარმართვისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ზოგადი ხასიათის წესების გათვალისწინება. კერძოდ:

- საკლასო ოთახის სივრცის მომზადება და გამოყენება;
- მონაწილეთა ჯგუფური დიფერენციაცია;
- თანამშრომლობითი ურთიერთობების დარეგულირება;
- კონსტრუქციული ურთიერთობებისათვის აუცილებელი საშუალებების განსაზღვრა და გამოყენება;
- შეფასების ადეკვატური ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;
- ანალიზისა და თვითანალიზის ჩვევების გამოუმუშავება-განვითარება;
- ერთობლივი მუშაობის პროცესში გადაწყვეტილებების ძიების პროცესში ყურადღების გადატანა ჯგუფის ქმედებებსა და ერთობლივ შედეგზე და არა ცალკეულ ინდივიდებზე;
- ჯგუფის წევრების თანაბარ მდგომარეობაში გათვალისწინება;
- ერთმანეთის თანადგომა ერთობლივ მუშაობაში.

ჯგუფური მუშაობის პროცესში მოსწავლეებში ყალიბდება პროდუქტიული, შემოქმედებითი მიდგომა დასმული ამოცანისადმი, რომელსაც ერთობლივად გადაწყვეტენ. აღნიშნული ხელს უწყობს ახალი, განსხვავებული მოსაზრებების, იდეების, ვერსიების წამოყენებას, რამდენადაც ერთობლივი განხილვის პროცესში შესაძლებელია ნებისმიერი აზრისა თუ გადაწყვეტილების კორექტირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასწავლებელი ყოველთვის მზად უნდა იყოს მოსწავლეთა არასტანდარტული აზროვნების გასაგებად და მისაღებად, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის.

ინტერაქტიური სწავლების კიდევ ერთი სპეციფიკური მახასიათებელია ჯგუფური და პიროვნული რეფლექსია, რომ-

ლის პროცესშიც ხდება მოსწავლეთა ქმედებებისა და ემოციური მდგომარეობის გააზრება. ეს კი თვითშემეცნების, თვითდაკვირვებისა და თვითანალიზის საფუძველია, რაც ინდივიდის პიროვნული ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

თანამშრომლობითი (სოციალური) სწავლების მეთოდი შეიძლება სხვადასხვა მიზნით იქნეს გამოყენებული. მაგალითად:

- მოსწავლეებმა იმუშაონ ერთსა და იმავე ამოცანაზე. ამ შემთხვევაში ჯგუფის თითოეულ წევრს ერთი და იგივე ფუნქცია აქვს. აღნიშნული ფორმა განსაკუთრებით ეფექტურია ახალი მასალაზე მუშაობისას.

### I.3. ნიმუში 1.

#### გაკვეთილის თემა „იდეა, ჩანაფიქრი, ნამუშევარი“.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან გრაფიკული ნამუშევრები სხვადასხვაგვარი ხაზის, შტრიხის გამოყენებით, გადმოსცენ მათთვის სასურველი გამოსახულებები, დეტალები, ფაქტურა, შექმნან განწყობილება, რისთვისაც გამოიყენებენ მათ მიერ განხილულ ან დამოუკიდებლად „აღმოჩენილ“ ხერხებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოს ინდივიდუალურად ასრულებენ, პრაქტიკული საქმიანობა ჯგუფებში წარიმართება. მუშაობის პროცესში მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრს სხვადასხვაგვარი ხაზის, შტრიხის გამოყენების, ფაქტურის მიღების თაობაზე, „აღმოჩენენ“ ახალ ხერხებს და ახდენენ მათ დემონსტრირებას. მოსაზრებათა ურთიერთგაზიარების პროცესში ისინი უკეთ ითვისებენ ახალ მასალას, ავლენენ შემოქმედებითობას, საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებას, ამასთან, თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

- დავალება, რომელზეც ჯგუფი მუშაობს, ითვალისწინებს ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილებას. ამ შემთხვევაში ჯგუფური სამუშაოს შესრულების ხარისხი დამოკიდებულია თითოეული წევრის მუშაობის შედეგზე.

### I.3. ნიმუში 2.

#### გაკვეთილის თემა „საოცრებათა ქალაქი“.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თითოეულმა ჯგუფმა შექმნას ნამუშევრები, რომლებშიც გადმოსცემენ გაკვეთილზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. მოსწავლეები ჯგუფურად მსჯელობენ და ერთობლივად განსაზღვრავენ, თუ რა სახის ნამუშევრებს შექმნიან (მაგალითად, აპლიკაციის ხერხით გამოსახონ დაკიდებული ბალები, მუყაოსაგან გააკეთონ იშთარის კარიბჭის ერთგვარი მოდელი, შექმნან ფანტასტიკური არსებების რელიეფური გამოსახულებები ან სხვ.). ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოსწავლეები განსაზღვრავენ, რა მასალა და ტექნიკა გამოიყენონ, ინაწილებენ ფუნქციებს და შეუდგებიან დავალების შესრულებას. მუშაობის პროცესში მოსწავლეები ინტერესდებიან, თუ როგორ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას ჯგუფის თითოეული წევრი, საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან ერთმანეთს, აძლევენ რჩევებს.

ჯგუფურ მუშაობას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება თანამედროვე სკოლის ძირითადი მიზნის განსახორციელებლად, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა აღჭურვას არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის მოცულობით, არამედ მთელი რიგი სოციალური და პიროვნული უნარ-ჩვევებითაც. ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის კვლევისას მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საკლასო ორგანიზაციის ეს ფორმა განსაკუთრებით საყურადღებოა მოსწავლეთა კონცეპტუალური განვითარებისათვის. კერძოდ, ამ შემთხვევაში მოსწავლეები განიხილავენ განვითარების იმავე დონეზე მყოფი თანაკლასელების ხშირად სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებს და სწორედ შემეცნებითი კამათი, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების გამოვლენის ფონზე ხდება მათი კონცეპტუალური განვითარება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები ერთობლივად წყვეტენ პრობლემებს, ამასთან, უკეთ იაზრებენ ახალ ცნებებს. იზრდება მოსწავლეთა აქტიურობა, მაღლდება მოტივაცია, პირადი პასუხისმგებლობა საერთო დავალების შესრულებაზე, მოსწავლეს მეტი თავისუფლება ენიჭება, მას აქვს არჩევანის გაკეთების, ალტერნატიული გზების ძიების შესაძლებლობა. ჯგუფური მუშაობისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება ეხმარება მათ შემდეგ უკვე დამოუკიდებელი მუშაობისას.

ამგვარად, ჯგუფური მუშაობა ფლობს მთელ რიგ უპირატესობებს საკლასო ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით, როგორცაა, საერთო საკლასო მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მკაფიოდ გაიაზროს საკლასო ორგანიზაციის თითოეული მოდელის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და კონკრეტული საჭიროების მიხედვით გამოიყენოს თითოეული მათგანი. საკლასო მუშაობის პროცესი ხელს უწყობს კლასის ერთიანობის შეგრძნებას, მოსწავლეთა მიერ საერთო პრობლემებისა და ინტერესების გაცნობიერებას. ამ შემთხვევაში მასწავლებელიც მკაფიოდ შეიგრძნობს კლასის განწყობას, დამოკიდებულებას არა მხოლოდ საგნის, არამედ კონკრეტული სასწავლო მასალისა თუ სიტუაციის მიმართ. რაც შეეხება დამოუკიდებელ მუშაობას, საკლასო ორგანიზების აღნიშნული ტრადიციული ფორმა მნიშვნელოვანია მოსწავლის მობილიზების, დაკვირვებულობის, ცოდნის სისტემაში მოყვანის, შეძენილი ცოდნის ხარისხის შეფასების, თვითშეფასების უნარის გამოვლენის თვალსაზრისით.

მოსწავლეები შეიძლება დაჯგუფდნენ წყვილებად, ტრიადებად, მცირე (4-5 მოსწავლე) და დიდ (6 და მეტი მოსწავლე) ჯგუფებად, რაც დამოკიდებულია სწავლების საფეხურზე, აგრეთვე დავალების სპეციფიკასა და მოცულობაზე. მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი მცირე ჯგუფებში მუშაობა, როდესაც ხდება განსხვავებული

ვერსიების წამოყენება, მათი ანალიზი და შეჯერება. ამ შემთხვევაში შედარებით იოლდება ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა და მართვა.

ჯგუფური მუშაობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის დავალებისათვის ნებისმიერ საგანში, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, ამასთან, სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (პრეზენტაცია, შეჯამება და სხვ.). მნიშვნელოვანია, დავალება ხელს უწყობდეს გაკვეთილის სასწავლო მიზნების მიღწევას, ამასთან, ფორმულირებულ იქნეს ნათლად და მკაფიოდ, ყველა ეტაპის გააზრებით. ჯგუფური მუშაობის წარმართვისათვის მნიშვნელოვანია წინა სამუშაოს ჩატარება, რასაც შეიძლება შეადგენდეს ნებისმიერი საკლასო აქტივობა. ასე მაგალითად, წინასამოტივაციო კითხვების დასმა, მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება, დებატები და სხვ.

### I.3. ნიმუში 3.

#### გაკვეთილის თემა „ქანდაკება და გარემო“.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაასახელონ ქანდაკების მათთვის ცნობილი ნიმუშები, სკულპტურული კომპოზიციები და გამოთქვან მოსაზრებები, თუ რა მიზნით არის თითოეული მათგანი შექმნილი (ისტორიული პირისა თუ ღირსშესანიშნავი მოვლენის უკვდავსაყოფად, დეკორატიული, რელიგიური ან სხვა მიზნით), როგორია გარემო, რომელშიც თითოეული მათგანია წარმოდგენილი, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება – რომელი მათგანი უფრო მისაღებია მათთვის და რატომ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მათ, თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ ქანდაკებას და რა მიზნით შექმნიდნენ, როგორ გარემოში წარმოადგენდნენ და რატომ, შემდეგ კი

გააკეთონ ესკიზები, რომელთა ჯგუფური განხილვის შემდეგ გააცნობენ თანაკლასელებს, მათი აზრით, საუკეთესო ნამუშევარს, დაასაბუთებენ ერთობლივ არჩევანს.

საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედების ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ორიენტირებული იყოს მოსწავლეებთან კონსტრუქციულ ურთიერთქმედებაზე, გაითვალისწინოს ორგანიზატორული, კომუნიკაციური, შეფასებითი და სხვა უნარების კორექციის შესაძლებლობა.

## თავი II. ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები

### II.1. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება

„ყოველი ჭეშმარიტება, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს, მან ხელახლა უნდა აღმოაჩინოს და არა უბრალოდ მზა სახით მიიღოს“; „გაგება ნიშნავს აღმოჩენას, ან ხელახლა აღმოჩენას“, – წერდა შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე.<sup>1</sup>

პიაჟესთვის ბავშვი არის არა ინდივიდუალური შემსრულებელი, არამედ ინდივიდუალურად მოაზროვნე, რომელიც ცოდნის ათვისების გარდა იძენს სააზროვნო, აგრეთვე მთელ რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს უნარებს. მათი საშუალებით არა მხოლოდ შეძენილი ცოდნა ხდება მყარი, ფუნქციური, არამედ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად მართოს საკუთარი სწავლებისა და განვითარების პროცესი.

„კონცეფცია – წერდა რუსი ფსიქოლოგი ლ.ს. ვიგოდსკი, – არა ასოცირებულ ურთიერთობათა უბრალო ჯამია, რომელიც დაზეპირებით შეიძინება, არც ავტომატური ინტელექტუალური ჩვევაა, არამედ აზროვნების რთული და ჭეშმარიტი აქტი, რომელიც არ შეისწავლება პრაქტიკული ვარჯიშით. არამედ მოითხოვს, რომ თვით ბავშვის აზროვნება ამაღლდეს თავისი შინაგანი განვითარებით იმ დონემდე, რომ კონცეფცია გონებაში ამოტივტივდეს.“<sup>2</sup> ცხადია, ლ.ს. ვიგოდსკი გულისხმობდა, რომ ცოდნის სისტემური ათვისება არ მიიღება უბრალო ზეპირობით (პასიური აღქმით), არამედ მოითხოვს ნამდვილ ინტელექტუალურ საქმიანობას, რომლის პროცესშიც ბავშვი არა მხოლოდ ცოდნას იძენს, არამედ აზროვნების

1 Л. С. Выгодский, „Педагогическая психология“, М., 1991. с. 29.

2 Флейвелл Д. Х. Генетическая психология Ж. Пиаже, пер. с англ. М. 1981. с. 47.

ახალ ფორმებსაც ეზიარება; თუმცა, როგორც ლ.ს. ვიგოდსკი თვლიდა, „ყველა სახის სწავლას როდი მოჰყვება განვითარება. ცნებათა უშუალოდ სიტყვიერი გადაცემის მცდელობით არაფერი მიიღწევა, გარდა სიტყვების უაზრო ათვისებისა და უბრალო მრავალსიტყვაობისა, რაც ბავშვში ამ ცნებათა არსებობის მოჩვენებითობას ქმნის, სინამდვილეში კი მხოლოდ ვაკუუმს ნიღბავს.

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ დაიმასხვროს გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია. ცოდნის დაგროვებასთან ერთად (ინფორმაციის შენარჩუნება) მან უნდა შეძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასწავლებლის მიერ კითხვების მიზანმიმართულად დასმა (მასწავლებელი ფლობდეს კითხვების დასმის ტექნიკას), რამაც უნდა უზრუნველყოს მისდღწევი შედეგი. კლასიფიცირების შესაბამისად, ფორმის მიხედვით გამოყოფენ ორი ტიპის კითხვებს – ღიას და დახურულს.

პასუხი დახურულ კითხვაზე ხშირ შემთხვევაში საგაკვეთილო მასალაშია მოცემული. ზოგჯერ ითვალისწინებს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემას („კი“ ან „არა“).

#### II.1. ნიშუმი 1

- არის თუ არა ფერწერულ ნაწარმოებში გამოყენებული კონტრასტული ფერები?
- ასრულებდა თუ არა განმსაზღვრელ როლს რელიგია ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში?



შესაძლებელია დახურული კითხვის ტექსტში წინასწარ იყოს მოცემული პასუხების არჩევანი და მოსწავლემ მხოლოდ ერთი, სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს.

### II.1. ნიმუში 2.

რას ნიშნავს სიტყვა „რესტავრაცია“?

1. აღდგენას;
2. ახლის შექმნას;
3. შეცვლას.

საოქრომჭედლო სახელოსნოს კვალი აღმოჩენილია

1. არმაზში;
2. ვანში;
3. თრიალეთში.

ღია კითხვის პასუხი არ არის პირდაპირ მოცემული საგაკვეთილო მასალაში. მოსწავლეს ეძლევა სრული თავისუფლება საკუთარი მოსაზრების გამოსათქმელად, ვერსიების წამოსაყენებლად.

### II.1. ნიმუში 3.

- როგორ ფიქრობთ, რომელი სურათია შექმნილი პლენერზე? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
- რა ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ყოფითი ჟანრის ნიმუშიდან?
- რა მიზნითაა გამოყენებული შუქ-ჩრდილისა და განათების შესაძლებლობები ამ ნამუშევარში?
- რა მოსაზრებით ირჩევს მხატვარი ფერწერულ ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად?

- ხელოვნების რომელი დარგის საწყისებს ხედავთ თრი-ალეთის ვერცხლის თასზე მოცემულ სიუჟეტში?
- რა მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიას ხელოვნების შესწავლისათვის?
- რა როლი შეასრულა ქვაცხელას საცხოვრისის ჩამოყალიბებაში ხის მასალის გამოყენებამ?
- რატომ გვხვდება აღმოსავლური წიგნის მინიატურებში, მხატვრობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ადამიანთა გამოსახულებები, სიუჟეტური კომპოზიციები?
- რამ განაპირობა სხვადასხვა რელიგიის სალოცავების თანაარსებობა ჩვენს დედაქალაქში?

დახურული კითხვები გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსწავლე უკვე ფლობს პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაციას, ღია კითხვებს კი მაშინ, როდესაც საჭიროა სრულიად ახალი ინფორმაციის გამოყენება/ვერსიის წამოყენება.

ამგვარად, აზროვნების ამოქმედებაში მოსწავლეს ეხმარება გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია. ეფექტური სწავლისა და სწავლებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების იმ კონკრეტული ფორმების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს აზროვნების განვითარებას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დ. პერკინსის ე.წ. „თეორია ერთი“<sup>1</sup>, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის მყარად ათვისებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები:

- მკაფიო ინფორმაცია;
- გააზრებული პრაქტიკა;
- გამოხმაურება, რაც გულისხმობს რჩევებსა და შეფასებას შედეგების გასაუმჯობესებლად;
- ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

1 Perkins, D. (1992). Smart Schools: Better thinking and learning for every child. NY: The free press.

## II. ნიშნები 4.

ტრადიციული მეთოდებით სწავლებისას აღორძინების ხანის ხელოვნების შესწავლისას მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა აღნიშნონ, თუ რომელ ისტორიულ პერიოდს მოიცავს რენესანსის ხანა, რა მახასიათებლებით გამოირჩევა, ვინ არიან უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები და ა.შ. ეფექტური სწავლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება. შესაბამისად, მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აღნიშნულ ხანასთან დაკავშირებული ინფორმაციის ათვისება, არამედ მოსწავლეთა მიერ იმის გაცნობიერებაც, თუ რამ განაპირობა სიახლეები ხელოვნების (და არა მხოლოდ) სფეროში, ანუ იმ წინამძღვრების განსაზღვრა, რომელთაც განაპირობეს ამ უდიდესი მნიშვნელობის ეპოქის თავისებურებები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდება კითხვები არა მხოლოდ „რა“, „როდის“ და „სად“, არამედ „რატომ“. მოსწავლეები ცდილობენ საკითხის განხილვას ფართო – ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ – კონტექსტში. გარდა ამისა, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს არა მხოლოდ ძირითადი სასწავლო მასალის ანალიზს, არამედ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებას, ფაქტებისა და მოვლენების შეპირისპირებას, პარალელების გავლებას, გარკვეული დასკვნების გაკეთებას. თავისთავად, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ხდება ინტერდისციპლინარული კავშირების ამოქმედებაც (ისტორია, ლიტერატურა, მუსიკა, ბუნებისმცოდნეობა და სხვ.), აგრეთვე მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად, სხვადასხვა წყაროდან მიღებული თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის გაანალიზებისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევების გამოვლენა.

პერკინსის თეორიის ამოქმედებისათვის სათანადო მნიშვნელობას იძენს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც საყურადღებოა მოსწავლეთა აზროვნების აქტივაციის თვალსაზრისით. ესენია:

**დიდაქტიკური მეთოდი.** აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისათვის დიალოგის ფორმით ხდება. მასწავლებელს ცნების ასახსნელად მოჰყავს მაგალითები, ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში სასწავლო პროცესის ორივე მხარე – მასწავლებელიც და მოსწავლეც მონაწილეობს ცოდნის აგების პროცესში. ასე მაგალითად:

- დიდაქტიკური მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაკვეთილის მთავარი საკითხების, ფაქტების, მოვლენების გახსენებას;
- სთავაზობს მათ, წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას;
- მოჰყავს მრავალმხრივი მაგალითები ახალი ცნების ასხსნისას;
- საკუთარი მოსაზრებების გარდა განიხილავს სხვების მოსაზრებებსაც;
- ახალი მასალის ასხსნისა და განმტკიცების მიზნით იყენებს სხვადასხვაგვარ აქტივობას (ექსპერიმენტი, დამატებითი ინფორმაციის მოძიება-გამოყენება და სხვ.).

**სოკრატული მეთოდი.** აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი არ აწოდებს მოსწავლეებს არანაირ ინფორმაციას, სვამს არა ინფორმაციულ, არამედ პრობლემურ კითხვებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები დამოუკიდებლად მიდიან პრობლემის გადაწყვეტამდე. მოსწავლეები მსჯელობენ დასმული პრობლემის ირგვლივ, აყენებენ საკუთარ ვერსიებს, აანალიზებენ თანაკლასელების არგუმენტებს.

**კეთებით სწავლება.** ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ნათელ და მკაფიო ინსტრუქციას ექსპერიმენტისათვის, რომლის პროცესში განხორციელებული ქმედებებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ახალი ცოდნის ათვისებასა თუ კონკრეტული უნარის განვითარებაში. კეთებით სწავლების მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გამოცდილებით სწავლას ეუფლებიან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან ეფექტზეა გათვლილი, არამედ იყენებენ ახალ ცნებებს, დამოუკიდებლად აკეთებენ სათანადო დასკვნებს, რაც ზრდის მოტივაციას ახალი მასალისადმი, ამასთან, მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ კონკრეტულ საკითხს/თემას.

**თანამშრომლობითი (სოციალური) სწავლების მეთოდის** გამოყენება ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართვას თანამშრომლობით საქმიანობაში (ჯგუფური მუშაობა), როდესაც ისინი ერთობლივად მუშაობენ მოცემულ ამოცანაზე, ეძიებენ მისი გადაჭრის გზებს, აკეთებენ დასკვნებს, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს, გამოხატავენ ერთობლივ გადაწყვეტილებას, აზრს, იდეას, ვერსიას თანაკლასელების წინაშე. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს ცნებითი, აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას, უზრუნველყოფს მოტივაციის გაზრდასა და პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებას ზოგადად, სასწავლო პროცესისადმი. ამასთან, ავითარებს თანამშრომლობით ურთიერთობებს, კომუნიკაციურ და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია მათი ჩართვა მრავალფეროვან აქტივობებში. ამ თვალსაზრისით სათანადო დატვირთვას იძენს მოსწავლეთა მიერ საკუთარი აზროვნების პროცესების გაცნობიერებაც. არსებობს მრავალი აღიარებული სტრატეგია,

რომლებიც ხელს უწყობენ გაცნობიერებულ სწავლებას, აზროვნებას საკუთარი აზროვნების შესახებ. ზოგიერთი მათგანისათვის განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს მთელი რიგი სათანადო კითხვების დასმა, რომლებზე პასუხის გაცემისას მოსწავლე უკეთ აცნობიერებს საკუთარ მუშაობას (დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება), საკუთარი აზროვნების განვითარების მიღწევებსა და ნაკლოვან მხარეებს.

მოსწავლის სააზროვნო (კოგნიტური) უნარ-ჩვევების განვითარების სხვადასხვა სახის კლასიფიკაციათაგან, რომელთა მიზანიცაა მოსწავლის აზროვნების აქტივაცია, სასწავლო პროცესისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ბლუმის ტაქსონომია.

ზოგადად, ტაქსონომია კლასიფიკაციის პრინციპების სტრუქტურას წარმოადგენს (სიტყვა „ტაქსონომია“ თანმიმდევრობით დალაგების კანონზომიერებას აღნიშნავს). ბლუმის მიხედვით, აზროვნების უნარი ექვს დონედ იყოფა, რომლებიც საფეხურებად არის განლაგებული. ყოველი მომდევნო დონე აზროვნების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს წარმოადგენს, ამასთან მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს.

**ბლუმის ტაქსონომია**



განვიხილოთ თითოეული ზემოაღნიშნული დონე:

**ცოდნა**, ბლუმის მიხედვით, აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევაა. ეს დონე გულისხმობს:

- ფაქტების, თარიღების, წესების, სტილის, მოვლენებისა და ა.შ. ცნობასა და დასახელებას;
- ტერმინოლოგიის, კონკრეტული მონაცემების, პროცედურების ცოდნას;
- აუდიო, ვიზუალური და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრებასა და გახსენებას ზუსტი ან მსგავსი ფორმით.

**გაგება**, ისევე როგორც ცოდნა, აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევაა და გულისხმობს:

- ფაქტების, თარიღების, წესების, სტილის, მოვლენებისა და ა.შ. საკუთარი სიტყვებით აღწერას;
- ტექსტის ძირითადი აზრის გადმოცემას საკუთარი სიტყვებით;
- პასუხის გაცემას ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე;
- აუდიო, ვიზუალური და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანას;
- შესაბამისი მაგალითების მოყვანას;
- საგნების, მოვლენების, პროცესების, სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხებასა და დაჯგუფებას.

**გამოყენება**, წინა ორი დონის მსგავსად, აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევაა და გულისხმობს:

- ცოდნის გამოყენებას განსხვავებულ კონტექსტში;
- სამუშაოს შესრულებას მოდელის (ნიმუშის) მიხედვით;
- კონკრეტული პროცედურის განხორციელებას.

**ანალიზი**, ბლუმის მიხედვით, აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევაა, რომლის დროსაც ზდება მთლიანი საგნის ცალკე

ნაწილების, თვისებების გამოყოფა და გულისხმობს:

- მასალის (ნაწარმოების, სტრუქტურის) შემაღვენელ ნაწილებად დაყოფას, ნაწილების შედარება-შეპირისპირებას, მათ შორის კავშირის დანახვას;
- მოვლენის მიზეზის ახსნას;
- მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენას.

**სინთეზი**, რომელიც ბლუმის მიხედვით აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევაა, ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს – ცალკეული ელემენტების გონებაში გაერთიანებას (ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით ცალკეული ნაწილებისაგან ახალი მთლიანობის შედგენა) და გულისხმობს:

- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას;
- პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენებას;
- კვლევის/რეფერატის დაგეგმვას;
- პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვას;
- ახალი პროდუქტის (ინტელექტუალური ან მატერიალური) შექმნას.

**შეფასება**, როგორც აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა, გულისხმობს:

რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას არჩეულ კრიტერიუმებზე, პირობებზე და ა.შ. დაყრდნობით. კერძოდ:

- საკუთარი პოზიციის (არჩევანის) არგუმენტირებულ დასაბუთებას;
- დასკვნების გაკეთებას გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით;
- პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთებას;
- მტკიცებულების (მაგალითად, პრეზენტაციის) მნიშ-

ენელოგების დასაბუთებას;

- მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენას. განვიხილოთ აზროვნების სხვადასხვა დონის აქტივაციის ნიმუშები ხელოვნების გაკვეთილზე.

**II.1. ნიმუში 5.**

<b>ცოდნა</b>	სცადეთ, ამოიცნოთ მოცემულ ნიმუშებში გამოყენებული თბილი და ცივი ფერები.
<b>გაგება</b>	როგორ ფერებს გამოიყენებდით ზამთრის პეიზაჟის შექმნისას? შემოდგომის პეიზაჟისთვის?
<b>გამოყენება</b>	სურვილისამებრ, დახატეთ ზამთრის ან შემოდგომის პეიზაჟი და გამოიყენეთ სათანადო ფერები (ცივი ან თბილი).
<b>ანალიზი</b>	ისაუბრეთ ნაწარმოებზე მასში გამოყენებული ფერების კუთხით.
<b>სინთეზი</b>	სცადეთ, გადმოსცეთ თქვენთვის სასურველი განწყობილება (მაგალითად, სინარული, სევდა), რისთვისაც გამოიყენებთ ცივ ან თბილ ფერებს.
<b>შეფასება</b>	აღწერეთ ნამუშევარი, იმსჯელეთ მასში გამოყენებულ ფერებზე, გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება და დაასაბუთეთ, რამ შეგიქმნათ ესა თუ ის განწყობა.

ტრადიციულად, სასკოლო პრაქტიკაში აქცენტირებული იყო აზროვნების ქვედა დონეების უნარ-ჩვევების (ცოდნა, გაგება, გამოყენება) განვითარება. რაც შეეხება ზედა დონის უნარ-ჩვევებს, ამ მიმართულებით მასწავლებლები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან, რამდენადაც ტრადიციული სწავლება არ იყო ორიენტირებული აღნიშნული დონეების განვითარებაზე (ანალიზი, სინთეზი, შეფასება).

აზროვნების ზედა დონეების აქტივაციამ სათანადო მნიშვნელობა შეიძინა პიროვნებაზე ორიენტირებულ სასწავლო

პროცესში, რაც განხორციელებადია მხოლოდ მიზანმიმართული მეთოდური ხერხების გამოყენებით. ასე მაგალითად, თუ მოსწავლისათვის რთულია დასმული ამოცანის გადაჭრა, მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი ე.წ. დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა. საჭიროების შემთხვევაში ამგვარი კითხვების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია ქვედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ შეუწყოს ხელი აზროვნების მაღალი დონეების ამოქმედებას.

**II.1. ნიმუში 6.**

ანალიზის დონეზე ორიენტირებული დამაზუსტებელი შეკითხვების ნიმუში

1. აღწერეთ მოცემული ნაწარმოები.	გაგება
2. როგორ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ეს სურათი და რატომ?	გამოყენება/ ანალიზი
3. გამოთქვით აზრი, რა კავშირია სურათზე გამოსახულ საგნებს შორის.	ანალიზი
4. როგორ ფიქრობთ, რა ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს?	ანალიზი

**II.1. ნიმუში 7.**

სინთეზის დონეზე ორიენტირებული დამაზუსტებელი შეკითხვების ნიმუში

1. დაასახელეთ მცირე პლასტიკის ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.	გაგება
2. დაფიქრდით, რას გამოძერწავთ?	გამოყენება
3. რომელ სახასიათო ნიშნებს გამოყოფთ თქვენს ნამუშევარში?	ანალიზი
4. რა მასალას შეარჩევთ ჩანაფიქრის განსახორციელებლად?	სინთეზი

**II.1. ნიმუში 8.**

შეფასების დონეზე ორიენტირებული დამაზუსტებელი შეკითხვების ნიმუში

1. აღწერეთ მოცემული ნამუშევარი.	ცოდნა/გაგება
2. რა მასალა გამოიყენა მხატვარმა?	გაგება/გამოყენება
3. როგორ ფიქრობთ, რეალური სამყაროს სურათია თუ ავტორის ფანტაზიით შექმნილი?	ანალიზი
4. რა სახასიათო ნიშნებია ხაზგასმული ნამუშევარში?	ანალიზი
5. შეესატყვისება თუ არა ავტორის მიერ შერჩეული მასალა მის ჩანაფიქრს?	შეფასება
6. გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება მოცემული ნამუშევრისადმი.	შეფასება

უნარი ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობაა, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობის, პოტენციალის სახითაა მოცემული. გარკვეული უნარ-ჩვევის განვითარება მხოლოდ სათანადო მოქმედებების საფუძველზე არის შესაძლებელი. უნარ-ჩვევების განვითარება ეტაპობრივად ხდება, რისთვისაც მოსწავლემ გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს.

გამოყოფენ უნარ-ჩვევის განვითარების სამ ფაზას:

**1. წვდომის ფაზა.** ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შესასწავლი ოპერაციის წვდომა, შეცნობა, გაგება;

**2. ათვისების.** ანუ გავარჯიშების ფაზა, რომელიც ითვალისწინებს პირველ ეტაპზე გაგებული ოპერაციის/ინფორმაციის პროცედურულად გამოყენებას. შესაბამისად, ყურადღება მიმართულია კონკრეტული ოპერაციის ათვისებაზე და არა კომპლექსური დავალების შესრულებაზე სხვა, დამატებითი ინფორმაციითა და ოპერაციით;

**3. ავტომატიზაციის ანუ დაუფლების ფაზა.** ამ ეტაპზე მოსწავლის ძალისხმევა მიმართულია უნარ-ჩვევის გამოყენებაზე კონტექსტის შესაბამისად.

ხშირ შემთხვევაში, როდესაც დავალება კომპლექსური ხასიათისაა, იკვეთება ორმაგი მიზანი, რომელთაგანაც ერთი მიმართულია აღქმა-გაგებაზე, მეორე კი – შექმნა-წარმოებაზე. ასე მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული ჟანრის/სტილის მიმართულების ნიმუშზე, შემდეგ კი დამოუკიდებლად შექმნას ამავე ჟანრის/სტილის/მიმართულების ნამუშევარი.

მასწავლებლის წინაშე დგება პრობლემა, რომელიც მან უნდა გადაწყვიტოს. კერძოდ, როგორ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ეფექტური სვლა აღქმა-გაგებიდან შექმნამდე. ამისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი:

- მკაფიოდ განისაზღვროს, რა პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ მესამე ფაზაში;
- რა ცოდნა და უნარ-ჩვევები დასჭირდება მას დასახული მიზნის მისაღწევად (დაიშალოს კომპლექსური ხასიათის მიზანი ქვემიზნებად);
- მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვრება სასწავლო მიზნები და შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას პირველ და მეორე ფაზაში.

აღქმა-გაგებიდან შექმნამდე თანმიმდევრული სვლის უზრუნველყოფის ნიმუშები:

**II.1. ნიმუში 9.**

**კლასი:** III. გაკვეთილის თემა: ფერების ბორბალი.

**მოცემულობა:** კონტრასტული ფერების გაცნობა.

**დავალება:** ხატვა დამოუკიდებლად შერჩეულ თემაზე კონტრასტული ფერების გამოყენებით.

### I. წვდომის ფაზა

მოსწავლეები ეცნობიან ფერების ბორბალს, ამოიცნობენ და ასახელებენ ძირითად და შედგენილ ფერებს, „აღმოაჩინენ“ და ასახელებენ კონტრასტულ ფერებს.

### II. ათვისების, ანუ გავარჯიშების ფაზა

მოსწავლეები წყვილში/ჯგუფურად მუშაობენ საერთო ფორმატზე, ქმნიან მარტივ გამოსახულებებს მხოლოდ კონტრასტული ფერების გამოყენებით. ან მოსწავლეები განიხილავენ ფერწერის ნიმუშებს, აღნიშნავენ, რომელ მათგანში რომელი კონტრასტული ფერებია გამოყენებული და რა შთაბეჭდილებას ახდენს მათზე.

### III. ავტომატიზაციის, ანუ დაუფლების ფაზა

მოსწავლეები დამოუკიდებლად ირჩევენ თემებს ნამუშევრისათვის და საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად იყენებენ კონტრასტულ ფერებს.

#### II.1. ნიმუში 10.

**კლასი:** VII. გაკვეთილის თემა: ვულკანის ფერფლში დამარხული ქალაქი.

**მოცემულობა:** ინფორმაციის გაცნობა ძველი რომაული ქალაქის – პომპეის ისტორიაზე, ხელოვნებასა და ტრავიკულ აღსასრულზე.

**დავალება:** მოსწავლეები დამოუკიდებლად ირჩევენ და ასრულებენ დავალებას გაკვეთილზე მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით.

### I. წვდომის ფაზა

მოსწავლეები ეცნობიან საგაკვეთილო მასალას (ინფორმაცია და ვიზუალური ნიმუშები). მასწავლებელი სვამს კითხვებს, რომლებიც I და II დონის უნარ-ჩვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული.

### II. ათვისების, ანუ გავარჯიშების ფაზა

მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს გაკვეთილზე მიღებულ შთაბეჭდილებებს და განიხილავენ სხვადასხვა ვერსიას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ნამუშევრების შექმნას ისურვებდნენ გაკვეთილის თემაზე, ამასთან, ასახულებენ საკუთარ მოსაზრებებს, სურვილისამებრ, აკეთებენ ესკიზებს, რომელთაც ასევე ერთობლივად განიხილავენ.

### III. ავტომატიზაციის, ანუ დაუფლების ფაზა

მოსწავლეები საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად ირჩევენ თემას/სიუჟეტს, მასალას, ტექნიკას და ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს. მაგალითად, ვულკანის ამოფრქვევის სცენას, პომპეის მოედნის ჩანახატს სათანადო არქიტექტურული დეტალების გამოყენებით, მოზაიკას პომპეიში აღმოჩენილი ნიმუშებს სტილში და სხვ.

აზროვნების სხვადასხვა დონეზე გამავალი სავარჯიშოების/დავალებების შესაქმნელად გავრცელებულია სხვადასხვა მეთოდი, რომელთა გამოყენებაც დაენმარება მასწავლებელს სასურველი შედეგების მიღწევაში. განვიხილოთ სქემები, რომლებშიც მოცემულია საკვანძო სიტყვები (მოქმედების აღ-

ნიშნული სახელები), რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია თითოეული დონის შესატყვისი შეკითხვებისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

### ცოდნა

გაიმეორე, ჩამოთვალე, დაასახელე, აღწერე, ამოიცანი, გაიხსენე.

#### II.1. ნიმუში 11.

- ჩამოთვალე, როგორი სახეობაა შენტვის ცნობილი;
- დაასახელე ძირითადი და შედგენილი ფერები;
- აღწერე სურათი რომელმაც განსაკუთრებით დაგაინტერესა;
- გაიხსენე, რას უწოდებენ საგნის ფორმის გამომსახველ სახს;
- ამოიცანი, რომელი ნიმუში წარმოადგენს ჩანახატს, რომელი – დასრულებულ ნამუშევარს;
- გაიხსენე, რას ნიშნავს სიტყვა „მონოტიპია“.
- ამოიცანი და დაასახელე მოცემულ სურათზე გამოყენებული კონტრასტული ფერები;
- ამოიცანი მოცემულ სურათზე წელიწადის დრო და დღე-ღამის მონაკვეთი.

### გაგება

საკუთარი სიტყვებით ახსენი, დაახასიათე, განმარტე, მოიყვანე მაგალითები, შეადარე, დააჯგუფე, ივარაუდე, შეაჯამე, გააკეთე ინტერპრეტაცია.

#### II.1. ნიმუში 12.

- შეადარე ერთმანეთს აკვარელითა და გუაშით შესრულებული პეიზაჟის ნიმუშები და გაუზიარე აზრი ამხანაგებს;
- სცადე იმის ახსნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღამის პეიზაჟისათვის შესაბამისი ფონის შერჩევა;
- დაახასიათე მოცემული სურათის კოლორიტი;
- შეადარე მოცემული სურათები და სცადე აღმოაჩინო მხოლოდ განმასხვავებელი ნიშნები;
- შენი სიტყვებით განმარტე, რით განსხვავდება რელიეფი მრგვალი ქანდაკებისაგან;
- მოიყვანე ნიმუშები, რომლებშიც სივრცე გადმოცემულია ხაზოვანი პერსპექტივის მეშვეობით;
- გამოთქვით მოსაზრება, რა სახის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ყოფითი ჟანრის ნამუშევრებიდან;
- დააჯგუფეთ მოცემული ნიმუშები ჟანრული თავისებურებების მიხედვით;
- დააკვირდით ნიმუშებს და სცადეთ, ამოიცნოთ ძველი სამყაროს რომელი კულტურის კუთვნილებაა თითოეული მათგანი. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

### გამოყენება

მოამზადე, გააკეთე, დააკავშირე, განახორციელე, შექმენი სქემა, მოახსენიე კლასიფიცირება, დემონსტრირება, ილუსტრირება.



### II.1. ნიმუში 13.

- სცადე, შექმნა თანაკლასელის პორტრეტი, რომელშიც გადმოსცემ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ხასიათს;
- გაიხსენეთ ძველი ეგვიპტის ხელოვნების ნიმუშები და შექმენით ნამუშევრები ძველეგვიპტურ სტილში;
- დააკვირდით ესკიმოსებისა და ინდიელების პიქტოგრაფებს და შექმენით მხიარული ნახატები, რომელთა საშუალებითაც სახალისო ამბებს მოუყვებით ამხანაგებს;
- გააკეთეთ ჩანახატები, რომლებშიც საგნების ფორმა მკვეთრად გამოიყოფა ფონისაგან;
- შექმენით ფერთა გრადაციის სქემა;
- შეადარეთ ერთმანეთს ძველი ხელნაწერი და თანამედროვე ნაბეჭდი წიგნების მხატვრული გაფორმება და აღნიშნეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები;
- გამოავლინეთ ფანტაზია და გააკეთეთ რაიმე ნიშნით გამორჩეული, უჩვეულო ფორმების მქონე ნაგებობების ესკიზები.

### ანალიზი

შეადარე, განასხვავე, გამოიკვლიე, დაყავი კატეგორიებად, გააანალიზე, აღნიშნე საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, ავტორის მიზანი.

### II.1. ნიმუში 14.

- შეადარეთ პეიზაჟის თქვენთვის ცნობილი ნიმუშები ძველი ჩინეთის ფერწერის ნიმუშებს და აღნიშნეთ განმასხვავებელი ნიშნები;
- დამოუკიდებლად აირჩიეთ და შეადარეთ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხუროთმოძღვრების ნიმუშები;

- როგორ ფიქრობთ, რა შეადგენდა მატისის მიზანს – სურათის შინაარსი თუ ფერების საშუალებით მისთვის სასურველი შთაბეჭდილების შექმნა?
- შეარჩიე შემოდგომის პეიზაჟის შესატყვისი ლიტერატურული ნაწარმოები და გააანალიზე, რა საშუალებებით გადმოიცემა განწყობილება ლიტერატურულ ნაწარმოებსა და სახვითი ხელოვნების ნიმუშში.
- განიხილეთ პეიზაჟის მოცემული ნიმუშები და დაყავით იმის გათვალისწინებით, თუ როგორ არის მათში გადმოცემული სივრცე;
- გააანალიზეთ მოცემული ნიმუში მასში გამოყენებული გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით და დააკავშირეთ ავტორის ჩანაფიქრთან.

### სინთეზი

შექმენი, დაგეგმე, განაზოგადე, თეორიულად ჩამოაყალიბე, წამოაყენე ჰიპოთეზა/ვერსიები, გამოთქვი ვარაუდი, წარმოიდგინე, ფორმულირება მიეცი.

### II.1. ნიმუში 15.

- აირჩიეთ ეპოქა, კულტურა, მხატვრული მიმართულება, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა თქვენთვის, დაგეგმეთ და განახორციელეთ კვლევა (მრავალმხრივი მასალის მოძიება, ანალიზი, დასკვნების გაკეთება-დასაბუთება), რომლის შედეგებსაც წარმოადგენთ თქვენთვის სასურველი სახით – სტენდი, საკლასო გაზეთი, ბუკლეტი ან სხვ.;
- წარმოიდგინეთ, რომ პროექტის ფარგლებში ამხანაგებთან ერთად უნდა დაგეგმოთ აქცია თემაზე: „ადამიანი და სამყარო“ და გააკეთეთ სარეკლამო ბუკლეტის მაკეტი;

- თქვენ მიერ შერჩეული ეპოქის, კულტურის, მხატვრული მიმდინარეობის ყოფითი ჟანრის ნამუშევრის საფუძველზე შექმნით სცენარი, მოიფიქრეთ დიალოგები, განსაზღვრეთ მიზანსცენები, შემდეგ კი „გააცოცხლეთ“ ეპოქა წარმოდგენაში შესაბამისი მხატვრული გაფორმებით;
- დაწერეთ ესე თემაზე: „თბილისი – ქალაქი კულტურათა გზაჯვარედინზე“;
- ჩამოაყალიბეთ რომანული და გუთური სტილის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეადარეთ შუა საუკუნეების ქალაქი ანტიკურს (მაგალითად, რომს, პომპეის), გაითვალისწინეთ ნაგებობების სახეობები, დანიშნულება და ა.შ. და გააკეთეთ სათანადო დასკვნები;
- წამოაყენეთ ვერსიები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტორები განაპირობებს კულტურათა შორის დიალოგს წარსულში და დღეს;
- განიხილეთ იმპრესიონისტების მიერ შექმნილი ნამუშევრები და გამოთქვით ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნით შეეძლოთ მათ გამოეყენებინათ ფოტოგრაფიის შესაძლებლობები.

### შეფასება

იმსჯელე, განსაჯე, დაასაბუთე, დაასკვნე, გააკეთე არჩევანი, გააკრიტიკე, მიიღე გადაწყვეტილება, შეაჯამე.

#### II. ნიშუმი 16.

- იმსჯელეთ, რა არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბება განაპირობა ძველევგვიპტური რელიგიის თავისებურებებმა;

- შეაფასეთ კრეტას ხელოვნების წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრული თავისებურებები;
- მოცემული ფერწერული ნამუშევრების საფუძველზე იმსჯელეთ, როგორ აისახება მათში ეპოქის ნიშნები;
- გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელეთ XVII საუკუნის ჰოლანდიური ფერწერის თემატიკაზე და იმ მხატვრულ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტასაც ფერმწერები ისახავდნენ მიზნად;
- გაიხსენეთ ველასკესის ნამუშევრები და ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება კომპოზიციური გადაწყვეტის ორიგინალბასა და ფერწერულ თავისებურებებზე მის შემოქმედებაში;
- თქვენთვის ცნობილი მუზეუმების მაგალითზე გამოთქვით აზრი მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეების მნიშვნელობაზე საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, მათ საგანმანათლებლო როლზე;
- გამოთქვით აზრი ბეჭდვითი გრაფიკის შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში;
- განსაჯეთ ციტატაში გადმოცემული მოსაზრების მართებულობა.

ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, მოცემული ზმნები მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მიზანმიმართულად განსაზღვრული შეკითხვების, სასწავლო აქტივობების შერჩევისა და გამოყენებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, მასწავლებლები სასწავლო პრაქტიკაში უფრო მეტად ორიენტირებული არიან დაბალი დონის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაზე. იმისათვის, რომ მოსწავლეები გასცდნენ ცოდნისა და გაგების, ზოგჯერ, გამოყენების დონეებს, შეძლონ შექმნილი ცოდნის განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება (ტრანსფერი), კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელია ზედა დონის სააზროვნო უნარების ამოქმედება. ამ მიზნით საყურადღებოა, რომ მასწავ-

ლებელმა შეძლოს კითხვების კლასიფიკაცია, ანუ გამიჯნოს ერთმანეთისაგან აზროვნების ქვედა და ზედა დონეების ასამოქმედებელი შეკითხვები და შემდეგ შეძლოს მათი ადეკვატური გამოყენება. ზედა დონეებზე ორიენტირებული შეკითხვები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესების გაზრდას, ახალი ცოდნის დაკავშირებას მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, შეძენილ ცოდნას, ღირებულებებთან.

კითხვების ეფექტურად დასმისა და არსებითი შედეგების მიღწევის მიზნით, მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რა მიზანს ისახავს მასწავლებელი, რა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევების ამოქმედებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულის შესაბამისად იგი ახდენს შეკითხვების მკაფიო ფორმულირებას, ითვალისწინებს, რომ განხილულ შემთხვევაში მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი არა დახურული, არამედ ღია შეკითხვების დასმა, რომლებიც ითხოვს ვრცელ, დასაბუთებულ შინაარსობრივ პასუხებს.

სასურველია, მასწავლებლის მიერ წინასწარ იყოს განსაზღვრული თითოეული კითხვის სავარაუდო პასუხი, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლისათვის თავისუფლების მიცემის შესაძლებლობა, რათა მათ გამოავლინონ დამოუკიდებელი მსჯელობის, იდეების, ვერსიების წამოყენების, დასაბუთების, ანალიზის, შეფასების უნარ-ჩვევები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საჭირო მინიშნებებს, სვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს, ახდენს რთული ამოცანის ქვეამოცანებად დაყოფას, სასურველი შედეგის მისაღწევად ჩამოინაცვლებს სააზროვნო უნარ-ჩვევების ერთი ან ორი დონით ქვემოთ და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის რეალიზება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეებს სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაში, მასწავლებელს კი ეროვნული სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში.

## II.2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

ერთ-ერთ აქტიურ ტექნოლოგიას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს არასტანდარტული სიტუაციების, ამოცანების გადაწყვეტას. პრობლემური სწავლების პროცესში მოსწავლეები დამოუკიდებლად ითვისებენ ახალ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ამ სტრატეგიის პრაქტიკულ ღირებულებას უ.ყ. განსაზღვრავს ყურადღების, დაკვირვებულობის, აზროვნების და შემეცნებითი აქტივობის, აგრეთვე დამოუკიდებლობის, კრიტიკულობისა და თვითკრიტიკულობის, აზროვნების არასტანდარტულობის განვითარება. გარდა ამისა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პრობლემური სწავლება უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნის განმტკიცებას, რამდენადაც მოსწავლე მას იძენს დამოუკიდებლად. გარდა ამისა, აქ მოქმედებს, როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ, „დაუსრულებელი მოქმედების ეფექტი“, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: პრობლემური სწავლება დაკავშირებულია კვლევა-ძიებასთან, შესაბამისად, ითვალისწინებს დავალების შესრულებას, რაც დროშია განფენილი. მოსწავლე/მოსწავლეები სათანადო, უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფიქრობენ მასზე, ვიდრე არ გადაწყვეტენ / არ შეასრულებენ. სწორედ ამ დაუსრულებლობის შესაბამისად ხდება მყარი, ფუნქციური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება.

პრობლემური სწავლება მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული მიდგომის ძირითად იდეას წარმოადგენს სასწავლო პროცესში შემეცნებითი სასწავლო ამოცანებისა და დავალებების გადაწყვეტა, რომლებიც მოსწავლეს/მოსწავლეებს აქტიური შემეცნებლის როლში აყენებს, რამდენადაც იგი ვერ გადაწყვეტს პრობლემას მხოლოდ შეძენილი ცოდნის საფუძველზე. პრობლემის გადასაწყვეტად მოსწავლე მიმართავს თვითგანათლებას (დამატებითი რესურსის მოძიება, დამუშავება და ა.შ.) და

მხოლოდ შემდეგ ზრუნავს პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებსზე. ამგვარად, პრობლემური სწავლების საფუძველს შეადგენს პრობლემური კითხვები, ამოცანები, დავალებები, სიტუაციები.

**პრობლემური კითხვა** არ ითვალისწინებს შეძენილი ცოდნის მხოლოდ გახსენებასა და გადმოცემას, მოსწავლეს არა აქვს მასზე მზა პასუხი და იგი ამ პასუხს დამოუკიდებლად ეძიებს, იკვლევს.

**პრობლემური ამოცანა** სასწავლო მასალის ორგანიზაციის ფორმას წინასწარ ცნობილი პირობითა და უცნობი მონაცემებით. ამ მონაცემების ძიება ითვალისწინებს აქტიურ სააზროვნო მოქმედებებს, ფაქტების ანალიზს, ობიექტების წარმოშობის მიზეზებისა და მათი მიზეზშედეგობრივი კავშირების გარკვევას. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახით. მაგალითად, სიტყვიერი განსჯის, პრაქტიკული საქმიანობის ან სხვა ფორმით.

**პრობლემური დავალება** ითვალისწინებს კონკრეტულ მითითებებს მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი საძიებო-შემეცნებითი საქმიანობისათვის. მითითებები მიმართულია აუცილებელი შედეგის მიღებაზე. პრობლემური დავალებები სრულდება ძიების, შეთხზვის, გამოგონების, ექსპერიმენტის, მოდელირებისა და სხვა ფორმების სახით.

**პრობლემური სიტუაცია** – ეს არის მოსწავლეებისათვის გონებრივი სირთულეების შექმნის მდგომარეობა, რაც გამოწვეულია მათ მიერ ათვისებული ცოდნისა და მოქმედების ხერხების უკმარისობით შემეცნებითი ამოცანის, დავალების ან სასწავლო პრობლემის გადასაჭრელად.

პრობლემური სიტუაციები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

1. მოსწავლეებს არ შეუძლიათ უპასუხონ პრობლემურ კითხვას ან გადაწყვიტონ დასმული ამოცანა;
2. მოსწავლეები ფლობენ ძველ ცოდნას, რაც არ არის საკმარისი დასმული ამოცანის გადასაჭრელად;

3. იქმნება შეუსაბამო თეორიული ცოდნის საფუძველზე პრობლემის შესაძლო გადაწყვეტასა და პრაქტიკული გზით განუხორციელებლობას შორის;

4. პრაქტიკული გზით განხორციელების შემთხვევაში იქმნება შეუსაბამო თეორიული ცოდნის უკმარისობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პრობლემური სიტუაციების გადაწყვეტის ეფექტურობა დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ეტაპებზე:

1. საყრდენი ცოდნისა და მოქმედების ხერხების აქტუალიზაცია;
2. ახალი ცოდნისა და მოქმედების ხერხების ათვისება;
3. მათი გამოყენება და უნარ-ჩვევების ფორმირება.

ტრადიციულ სასკოლო პრაქტიკაში პრობლემური სწავლების პრინციპი გამოიყენებოდა როგორც ძიების იმიტაცია, როდესაც მოსწავლეებმა წინასწარ იცოდა მოსწავლეთა მიერ მისაღწევი შედეგი და მიზანმიმართულად მიჰყავდა სწორ პასუხამდე, ვერსიამდე, დასკვნამდე. თანამედროვე სასწავლო პროცესში ამ მიდგომის ბევრად გართულებული ვარიანტი გამოიყენება, როდესაც საგანმანათლებლო პროდუქტი უცნობია როგორც მოსწავლისთვის, ისე მოსწავლეებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება. გამოყოფენ როგორც მარტივ (ინფორმაციის დამახსოვრება, ფაქტების გახსენება და სხვ.), ისე რთულ (კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითი აზროვნება და სხვ.) შემეცნებით უნარ-ჩვევებს. რთული შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რაც პროდუქტიულ პროცესს წარმოადგენს, ხელს უწყობს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შექმნას. თავისთავად აზროვნება შემეცნების

საგანთან ადამიანის უწყვეტ ურთიერთქმედებას ეფუძნება და მოიცავს ანალიზსა და სინთეზს, აბსტრაქტიზაციას და განზოგადებას. გარეგან ზემოქმედებას აზროვნების პროცესის შედეგებზე განსაზღვრავს აზროვნების შინაგანი პირობები (მახასიათებლები), როგორცაა მოტივაცია, სუბიექტის პიროვნული თავისებურებები, ღირებულებითი ორიენტაციები, მონაცემები, გამოცდილება და სხვ. შესაბამისად, მოსწავლის დამოუკიდებელი სააზროვნო მოღვაწეობისათვის აუცილებელია გარეგანი პირობების შექმნა.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, საწყისი და წყარო შემოქმედებითი აზროვნებისა პრობლემური სიტუაციაა, რომელიც იწვევს შემეცნებით მოთხოვნილებას, როგორც შინაგან პირობას. სწორედ შემეცნებითი მოთხოვნილების საფუძველზე შეუძლია მასწავლებელს მართოს მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის ათვისების პროცესი.

პრობლემური სიტუაციის შექმნისას მოსწავლე ვერ პოულობს რაიმე ფაქტის, მოვლენის, პროცესის ახსნას. შეძენილი ცოდნა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, ჩნდება ახალი ცოდნის, გზების, ხერხების დამოუკიდებლად მოძიების აუცილებლობა. ამგვარად, პრობლემური სიტუაცია ხელს უწყობს შემეცნებითი აქტივობის წარმოშობას. შესაბამისად, პრობლემური სიტუაცია მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- ახალი ცოდნა;
- ახალი გამოცდილება;
- შემეცნებითი მოთხოვნილება, რაც სტიმულს აძლევს აზროვნებით მოღვაწეობას;
- ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდა ახლის „აღმოსაჩენად“.

ამგვარად, პრობლემური სიტუაციის სტრუქტურაში მკაფიოდ იკვეთება როგორც გარეგანი ფაქტორები, ისე შინაგანი პირობები.

პრობლემური სიტუაცია მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ:

1. შეესაბამება მოსწავლის უნარ-ჩვევებსა და ასაკობრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელ კონტურულ შესაძლებლობებს;

2. უზრუნველყოფს მოსწავლის დაინტერესებას და სწავლისადმი მოტივაციის გაზრდას;

2. ხელს უწყობს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენას, სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნის ინტეგრირებისა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა რეალიზებადია არა მხოლოდ საბაზო და საშუალო, არამედ დაწყებით საფეხურზეც. პრობლემური სიტუაციები შეიძლება მრავალმხრივი იყოს:

- მოსწავლემ დამოუკიდებლად ან ჯგუფურად მიიღოს გადაწყვეტილება;
- მოახდინოს საგნების, მოვლენების, ფაქტების, ინფორმაციისა და ა.შ. შედარება-შეპირისპირება;
- აწარმოოს კვლევა-ძიება;
- გამოიყენოს შემოქმედებითი მიდგომა და შექმნას ორიგინალური პროდუქტი და სხვ.

პრობლემური სიტუაციის გადასაჭრელად მოსწავლე/მოსწავლეები რამდენიმე ეტაპს გაივლიან. კერძოდ:

- პრობლემური სიტუაციისა და მისაღწევი მიზნის გააზრება, საჭიროების შემთხვევაში მისი დანაწევრება სათანადო საკითხებად;
- ცოდნის მობილიზება და საჭირო რესურსის ორგანიზება;
- პრობლემური სიტუაციის გადაჭრის სხვადასხვა, ალტერნატიული გზების ძიება;
- შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა (თანმიმდევრობა, დროის მონაკვეთი, რესურსი);
- მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნების გაკეთება.

პრობლემური სწავლის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნება. სასწავლო პროცესში ორივე ტიპის აზროვნება, ძირითადად, ერთობლივად მოქმედებს და ზოგჯერ მათი გამიჯვნა გარკვეულ სირთულესაც კი წარმოადგენს.

პრობლემური სიტუაციები/ამოცანები უნდა გამოიყენებოდეს, ნებისმიერი საგნის სწავლებისას, ამასთან, არ უნდა შემოიფარგლებოდეს რომელიმე კონკრეტული საგნის ჩარჩოთი, ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ინტერდისციპლინარულ კავშირებზეც იყოს ორიენტირებული.

**პრობლემური ამოცანების ნიმუშები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში:**

1. მოსწავლე ირჩევს ნამუშევრის თემას იდეებისა და განწყობილობების გადმოსაცემად;
2. მოსწავლე ატარებს ექსპერიმენტს ახალი სახატავი მასალის, ტექნიკის გაცნობისა და თავისებურებების გამოსავლენად;
3. იყენებს სხვადასხვა ხერხს (შუქ-ჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, მონასმი, ფაქტურა, კოლორიტი) ასოციაციებისა და ემოციების გადმოსაცემად;
4. იყენებს ეფექტებს ასოციაციებისა და გრძნობების გადმოსაცემად;
5. ირჩევს თემატიკას, ტექნიკას, გამომსახველობით ხერხებსა და მასალას განწყობილების გადმოსაცემად;
6. აქცევს ნამუშევარში დაშვებულ შეცდომას შემოქმედებით მიდგომად;
7. მოსწავლე ადარებს საკუთარ და ამხანაგის ნამუშევრებს და მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე;
8. მოსწავლე კრიტიკულად განიხილავს საკუთარ/ამხანაგის ნამუშევარს;

9. მოსწავლე იკვლევს ხელოვნების ნიმუშს და განიხილავს შესაბამის ისტორიულ-რელიგიურ/კულტურულ კონტექსტში;

10. ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშებს და მსჯელობს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე;

11. იკვლევს ხელოვნების როლს საზოგადოების ცხოვრებაში;

12. აგროვებს ინფორმაციას ცნობილ ხელოვანთა შემოქმედების/კონკრეტული ნამუშევრის შესახებ და იკვლევს მის როლს ხელოვნების ისტორიაში.

პრობლემური ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებით.

**პრობლემის გადაჭრის ნიმუშები კრიტიკული აზროვნების ამოქმედებით:**

**მაგალითი 1.** არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, დაკავშირება.

**აქტივობის მიზანი:** პროექტი – მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ, რა ასალა აქვთ ხელთ, რისი შექმნა შეიძლება ამ მასალით და ვინ იქნება შექმნილი ნამუშევრების პოტენციური მყიდველი.

**აქტივობის პირობა:** ხელთ არსებული მასალის გამოყენებით სასკოლო გამოფენა-გაყიდვაზე წარსადგენი ორიგინალური ნამუშევრების შექმნა.

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

- აღნუსხეთ ხელთ არსებული მასალები და მიიღეთ გადაწყვეტილება, თუ რისი გაკეთება შეიძლება ამ მასალიდან: ხელოვნების ნიმუშის, საყოფაცხოვრებო ნივთების და ა.შ.;
- იმუშავეთ ჯგუფურად ან ინდივიდუალურად;
- დაათვალიერეთ ნამუშევრები, გააანალიზეთ, შეარჩიეთ საგამოფენო ნამუშევრები;

- შეარჩიეთ გამოფენა-გაყიდვის ადგილი, განსაზღვრეთ პოტენციური სტუმრები (სად უნდა მოეწყოს გამოფენა და ვინ უნდა იყოს მიწვეული);

- დაამზადეთ აფიშა, მოსაწვევი ბარათები, მოაწვევით ექსპოზიციას.

**მაგალითი 2.** შედარება-შეპირისპირება, დაკავშირება.

**აქტივობის მიზანი:** ნამუშევრის ანალიზი – მოსწავლეებმა ნამუშევრის ანალიზზე დაყრდნობით უნდა განსაზღვრონ რომელ ეპოქას მიეკუთვნება ნამუშევარი.

**აქტივობის პირობა:** განსაზღვრეთ, რომელ ეპოქასა და სტილს მიაკუთვნებთ წარმოდგენილ ნამუშევარს.

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

- ნამუშევრის ანალიზი:

1. რა არის ასახული ნამუშევარზე?
2. რა ჟანრს მიეკუთვნება ნამუშევარი?
3. როგორია შესრულების მანერა?
4. რომელი მხატვრის ნამუშევარს გაგონებთ?
5. რომელ ეპოქას მიაკუთვნებდით ნამუშევარს და რატომ?

- პასუხების შეჯერება და კამათი (საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი აძლევს მითითებებს მოსწავლეებს და მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად აანალიზებენ, როგორ მივიდნენ სწორ გადაწყვეტილებამდე ან რატომ ვერ ამოიცნეს სწორი პასუხი).

**პრობლემის გადაჭრის ნიმუშები შემოქმედებითი აზროვნების ამოქმედებით:**

**მაგალითი 3.** არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, შედარება-შეპირისპირება, დაკავშირება, შეუთავსებლობის აღმოფხვრა, ექსპერიმენტი, ცდა, კვლევა-ძიება, შემოქმედებითი აზროვნება.

**აქტივობის მიზანი:** ნამუშევრის შექმნა - მასალის არქონის

შემთხვევაში ორიგინალური ხერხის მოგონება.

**აქტივობის პირობა:** დავალება – „პეიზაჟის“ შექმნა.

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

- აიღეთ ძველი ნამუშევრები, რომლებიც გუშით ან აკვარელითაა შესრულებული (მასწავლებლის ნებართვით);

- დაალაგეთ იატაკზე ან მერხზე და კარგად დააკვირდით, რომელ ლაქებს და დეტალებს გამოიყენებდით თქვენი პეიზაჟისთვის;

- ამოჭერით ან ამოხიეთ ეს ლაქები და დეტალები და გაანაწილეთ მოზაიკის პრინციპით ფანქრით წინასწარ შესრულებული პეიზაჟის კონტურებზე;

- სანამ დააწებებდეთ, კარგია, თუ შორი მანძილიდანაც შეხედავთ, რადგან ეს დაგეხმარებათ ნამუშევარი მთლიანობაში დაინახოთ და ზოგი ლაქა გადაადგილოთ, შეცვალოთ სხვა ფერით და ა.შ.

- როდესაც დარწმუნდებით, რომ სასურველ შედეგს მიაღწიეთ, შეგიძლიათ ფრთხილად დააწებოთ.

**მაგალითი 4.** არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, შედარება-შეპირისპირება, დაკავშირება, კვლევა-ძიება, შემოქმედებითი მიდგომა.

**აქტივობის მიზანი:** ნამუშევრის შექმნა – მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან მათთვის უცხო კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პრობლემა.

**აქტივობის პირობა:** გაზეთ „დედამიწის“ შექმნა უცხოპლანეტელებისათვის.

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

- აირჩიეთ უცხოპლანეტელებთან ურთიერთობის ენა (ვერბალური, ვიზუალური, ანუ უნდა გადაწყვიტოთ, იქნება თუ არა გაზეთში ვიზუალურ მასალასთან ერთად ვერბალური ტექსტი და თუკი საჭიროა, რა ენაზე უნდა შეიქმნას ეს ტექსტი);

- საკომუნიკაციო ენის შერჩევის შემდგომ მოიძიეთ თემები

და გაინაწილეთ (მოსწავლეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელ თემაზე იმუშავებენ);

- იმუშავეთ არჩეულ თემაზე;
- მოიძიეთ მასალა, შეიძლება გამოიყენოთ არსებული ფოტომასალა ან შექმნათ კოლაჟები ამ მასალისგან;
- წარმოდგენის დროს განმარტეთ, თუ რითი შეიძლება იყოს საინტერესო ეს მასალა უცხოპლანეტელებისათვის;
- შექმენით გაზეთის მაკეტი, შეარჩეთ ფორმატი და ღიზანი, გადაანაწილეთ მასალა.

**მაგალითი 5.** არჩევანის გაკეთება, ექსპერიმენტი, ცდა, გადაწყვეტილების მიღება, შედარება-შეპირისპირება, დაკავშირება, კვლევა-ძიება, შემოქმედებითი მიდგომა.

**აქტივობის მიზანი:** ორიგინალური ნამუშევრის შექმნა – მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, რისი შექმნა შეიძლება მათ მიერ მოძიებული და ხელთ არსებული ბუნებრივი მასალისაგან და უნდა შექმნან ორიგინალური ნამუშევარი.

**აქტივობის პირობა:** ორიგინალური ნამუშევრის შექმნა მოსწავლეთა მიერ მოძიებული ბუნებრივი მასალისაგან (ქვა, ფესვები, გირჩა, ნიჟარა და სხვ.).

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

• გაანალიზეთ არსებული მასალა (მისი ფაქტურისა და თავისებურების გათვალისწინება) და მიიღეთ გადაწყვეტილება, რისი გაკეთება შეიძლება ამ მასალისაგან.

• შექმენით მომავალი ნამუშევრის ესკიზი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ნაკეთობის ყველა ძირითადი დეტალი.

• მოიფიქრეთ, თუ როგორ იქნება გამოყენებული ხელთარსებული მასალა, დასჭირდება თუ არა მას რაიმეს დამატება, შეფერადება.

- შექმენით ნამუშევარი;
- გაანალიზეთ საკუთარი ნამუშევარი: მაქსიმალურად გამოიყენეთ თუ არა ხელთ არსებული მასალის შესაძლებ-

ლობები, შეიძლებოდა თუ არა მისი უკეთ გამოყენება. თქვენი აზრით, რა არის ნამუშევარში მოულოდნელი და ორიგინალური.

**მაგალითი 6.** არჩევანის გაკეთება, ექსპერიმენტი, ცდა, გადაწყვეტილების მიღება, შემოქმედებითი მიდგომა.

**აქტივობის მიზანი:** ორიგინალური ნამუშევრის შექმნა – მოსწავლემ შეძლოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენება კონკრეტული ემოციის გადმოსაცემად ნამუშევარში.

**აქტივობის პირობა:** „შეასრულე ექსპრესიონისტული ნამუშევარი.“

**პრობლემის გადაჭრის ეტაპები:**

**შესავალი:**

მასწავლებელი კლასს ყოფს რამდენიმე ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას, შექმნან ნამუშევრები, რომლებშიც სხვადასხვა ემოციაა გადმოცემული. მაგ.: ერთი ჯგუფი ქმნის ნამუშევარს, რომელშიც გამოხატავს სიხარულს, მეორე – სევდას, მესამე – შიშს ან აღშფოთებას და ა.შ. სასურველია, რომ ჯგუფში მოსწავლეებმა იმუშაონ ინდივიდუალურად, გაკვეთილის ბოლოს ჯგუფები ერთმანეთის გვერდით გამოფენენ ნამუშევრებს, თანაკლასელები კი მსჯელობენ, თუ რამდენად და როგორ არის ნამუშევრებში გადმოცემული შესაბამისი ემოციები.

**ინსტრუქცია:**

• თავად აირჩიეთ ჟანრი და გამოსახვის მანერა: ეს შეიძლება იყოს პორტრეტი ან ავტოპორტრეტი, პეიზაჟი ან ნატურმორტი, ფიგურული სცენა ან აბსტრაქტული კომპოზიცია. მთავარია, რომ არჩეული სიუჟეტი იძლეოდეს გრძნობის გამოსახვის საშუალებას;

• მომავალი ნამუშევრის ესკიზი თავდაპირველად შეასრულეთ პატარა ფურცელზე. აქვე დააზუსტეთ, რას გამოსახავთ, როგორ ააგებთ კომპოზიციას, როგორი იქნება ნახატი, ფერთა გამა;



- ამის შემდეგ ალბომის ან სახატავი რვეულის ფურცელზე გუაშის საღებავებით შეასრულეთ საჭირო ზომის ნახატი;
- დასრულებული ნამუშევარი გამოფინეთ კლასში და მოაწყვეთ პრეზენტაცია;
- ნამუშევრები შეაფასეთ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.

სასურველია, ხშირ შემთხვევაში მასწავლებელმა თავად მიაწოდოს მოსწავლეებს საკითხთა ნუსხა, ცხადია, ასაკობრივი თავისებურებების, გაკვეთილის თემისა და სასწავლო მიზნების შესაბამისად. მოსწავლეები ირჩევენ საკითხს/დავალებას, რომელიც შეესატყვისება მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს. ანალიტიკურ სამუშაოს მოსწავლეები ინდივიდუალურად რთულად ართმევენ თავს. ამიტომაც ამ ტიპის დავალებებზე მუშაობის საფუძვლად ეფექტურია დისკუსიის, აგრეთვე ჯგუფური მუშაობის უპირატესობების გამოყენება.

### **პროექტი**

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით მიღწეული შედეგების წარმოჩენა პროექტების მეშვეობით ხორციელდება. პროექტი ეფექტური სწავლების უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიაა, რომელიც პედაგოგიურ ლიტერატურაში გვხვდება როგორც პროექტ-გაკვეთილი, პროექტ-მეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პროექტი და სხვ.

პროექტზე მუშაობისას მასწავლებელი და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას, მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში, პროექტზე მუშაობის დასრულებისას კი წარმოადგენენ და განიხილავენ მიღებულ შედეგს – საერთო პროდუქტს (გამოკვლევა, მოხსენება, სტენდი, კედლის გაზეთი, სარეკლამო ბუკლეტი, გამოფენა, აქცია, სპექტაკლი, პრაქტიკული ნამუშევრები და მრავალი სხვ.).

### **პროექტზე მუშაობის ტიპობრივი ნიშნები:**

- პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტის მონაწილეთაგან (მასწავლებელი – მოსწავლეები);
- პროექტის მონაწილენი ავითარებენ ერთობლივ ინიციატივას, თანხმდებიან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთობლივად თანხმდებიან პროექტის მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე;
- განსაზღვრავენ ღროით ჩარჩოს და ანაწილებენ სხვადასხვა აქტივობაზე;
- ინაწილებენ სამუშაოს ერთმანეთის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- პროექტზე მუშაობის პროცესში ამჟღავნებენ როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ ინტერესს, თვითორგანიზაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობას;
- როგორც საკუთარი, ისე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობის შეაღებური განხილვების პროცესში ავლენენ კრიტიკულობას, ობიექტურობას, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს, აკეთებენ სათანადო დასკვნებს;
- ყურადღებას ამახვილებენ მუშაობის პროცესში წარმოშობილ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, დაძაბულობისა თუ კონფლიქტური სიტუაციების გამოვლინებაზე და თავადვე ცდილობენ მათ გადაწყვეტას/მოგვარებას;
- თავად გეგმავენ და წარმართავენ კვლევის პროცესს, ავლენენ ურთიერთდახმარებისა და ერთობლივ პროდუქტზე პასუხისმგებლობის გრძნობას;
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგს. აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჯგუფური პროექტების განხილვისა და შეფასების პროცესში.

### **პროექტის თემის განსაზღვრა**

მოსწავლეებისათვის პროექტის თემა უნდა იყოს მნიშვნელოვანი, საინტერესო და აქტუალური, ხელს უნდა უწყობ-

დეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას, ითვალისწინებდეს მათ მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებს. პროექტი უნდა სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და განპირობებული იყოს როგორც შემეცნებითი, ისე აღმზრდელობითი მიზნებით.

პროექტის თემა უნდა ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრაც შესაძლებელია:

- ერთი საგნის (მოცემულ შემთხვევაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) დისციპლინარული კუთხით.

## II.2. ნიშუმი 1.

1. შეხვედრა ხელოვანთან;
2. სახლ-მუზეუმი;
3. „მწვანე“ არქიტექტურა;
4. ადამიანი – ხელოვნების მთავარი თემა;
5. ვიკლევთ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებას;
6. შთაბეჭდილების მხატვრები;
7. ხელოვნება და ფანტაზია;
8. ექსპერიმენტები ქანდაკებაში;
9. ხელოვნება და ინოვაცია.

- ემსახურებოდეს ინტერდისციპლინარული გამოცდილების გამთლიანებას (მაგალითად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ისტორია, ლიტერატურა, მუსიკა, ბუნებისმცოდნეობა, გეოგრაფია და სხვ.), რასაკვირველია, კონკრეტული პრობლემის, პროექტის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფების მას-

წავლებლებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები. ამ შემთხვევაში სხვადასხვა სფეროს მომცველ ინტერდისციპლინარულ პროექტებში მონაწილეობა დაეხმარება მოსწავლეებს პრობლემის მრავალი კუთხით დანახვაში, გამოუმუშავებთ ტრანსფერის (ერთ სფეროში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში/კონტექსტში გამოყენების), აგრეთვე სხვადასხვა დისციპლინის ფარგლებში მიღებული გამოცდილების სინთეზის უნარი.

## II.2. ნიშუმი 2.

1. ქრისტიანობა და სახვითი ხელოვნება (ხელოვნება, ისტორია);
2. რომანტიზმიდან რეალიზმამდე (ხელოვნება, მუსიკა, ისტორია);
3. მოგზაურობა წარსულში (ხელოვნება, ისტორია, გეოგრაფია);
4. ადამიანი და სამყარო (ხელოვნება, ლიტერატურა, ბუნებისმცოდნეობა);
5. „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“ (ხელოვნება, ისტორია);
6. აღმოსავლეთი და დასავლეთი (ხელოვნება, ისტორია, გეოგრაფია);
7. სცენაზე გაცოცხლებული სურათები (ხელოვნება, ლიტერატურა, სცენოგრაფია);

პროექტის თემის შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელებისას აუცილებელია მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. კერძოდ:

- მოსწავლეები არ უნდა იყვნენ მხოლოდ შემსრულებლის,

მით უმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში. სწორედ მათი აქტიური თანამონაწილეობით უნდა მოხდეს პროექტის თემის შერჩევა, დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება;

- დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;
- გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მზაობა და ამ მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენება;
- მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- პროექტზე მუშაობისა და ცალკეული აქტივობებისათვის შესატყვისი დროის ლიმიტის ზუსტად განსაზღვრა;
- ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გონივრული განაწილება იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეეწყოს ყოველი წევრის ძლიერ მხარეს, იმ უნარების გამოვლენას, რომლებიც აუცილებელია პროექტზე მუშაობისათვის.

პროექტზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასწავლებელს, რომელსაც ზოგჯერ „მონაწილე ხელმძღვანელსაც“ კი უწოდებენ. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებს საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციის, დამოუკიდებელი მუშაობის, აგრეთვე ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამოვლენა-განვითარებაში, უზრუნველყოს მოსწავლეთა პროვოცირება პასიურიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად, საჭიროების შემთხვევაში კი დროულად და მიზანმიმართულად მოხდეს მისი ჩარევა მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე (გარკვეული მინიშნებების, განმარტებების მიცემა და სხვ.).

პროექტზე მუშაობისა და დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეები ფლობდნენ გარკვეულ კომპეტენციებს, მათ შორისაა თანამშრომლობის, კომუნიკაციის, ორგანიზაციის, საბოლოო

პროდუქტის შექმნის, ცოდნის ტრანსფერის, შეფასებისა და თვითშეფასების, პრეზენტაციის კომპეტენციები.

პროექტი შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობისა და მოცულობის იყოს (მცირე, გათვლილი რამდენიმე საათზე; საშუალო, გათვლილი რამდენიმე კვირაზე და დიდი, გათვლილი რამდენიმე თვეზე).

პროექტზე მუშაობა ითვალისწინებს გარკვეულ ეტაპებს. კერძოდ:

**I ეტაპი: პროექტის ინიციატივა.** განიხილება იდეები, აირჩევა მათგან ერთ-ერთი, საბუთდება მისი აქტუალობა, განისაზღვრება ძირითადი ამოცანები; აღნიშნული მხოლოდ მოსაზრებებისა და წინადადებების დონეზე იქნება წარმოდგენილი. გადაწყვეტილების მიღება მომდევნო ეტაპზე ხდება;

**II ეტაპი: დისკუსია პროექტის ინიციატივის ირგვლივ.** ხდება პროექტ-ინიციატივის ერთობლივი განხილვა-დახვეწა, შესაძლებელია, ახალი იდეების გაჩენა, გარკვეული კორექტივების შეტანა. მსჯელობის პროცესში იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია. პოზიტიური შეთანხმების შემთხვევაში დისკუსია სრულდება პროექტის მონახაზით;

**III ეტაპი: პროექტის დაგეგმვა.** მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მსჯელობენ დასახული მიზნის/მიზნების შესატყვისი აქტივობებზე, თითოეული აქტივობისათვის საჭირო დროის ლიმიტზე, რესურსებსა და მათი მოძიების შესაძლო წყაროებზე, ორგანიზების ფორმებზე, ცალკეულ აქტივობებზე, ჯგუფის თითოეული წევრის შესაძლებლობებსა და წვლილზე პროექტის წარმატებით განხორციელებაში. მოცემული ეტაპი სრულდება პროექტის გეგმის შედგენით;

**პროექტის დაგეგმვის სქემის ნიმუში:**

პროექტის დასახელება	
პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება	
პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები	
პროექტის ამოცანები და განხორციელების ძირითადი ეტაპები (რიგითობის მიხედვით)	
თითოეული ამოცანის აღწერა, ამოცანის განსახორციელებლად საჭირო დრო, რესურსები, მოსალოდნელი შედეგები, ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.	

პროექტის დაგეგმვისას განსაკუთრებით საყურადღებოა მოსალოდნელი შედეგების აღწერა, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. შედეგები უნდა იყოს რეალისტური და შეესაბამებოდეს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად. მოსალოდნელ შედეგებში ასახვა უნდა პოვოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულმა ინდიკატორებმა. ინტერდისციპლინარული პროექტის შემთხვევაში უნდა იქნეს მითითებული, თუ რომელი საგნის რა შედეგებსა და მათ ინდიკატორებზეა შესაძლებელი გასვლა.

**IV ეტაპი: პროექტის გეგმის განხორციელება.** მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ჯგუფის თითოეული წევრი პასუხისმგებელია იმ ამოცანაზე/ამოცანებზე, რომელთა შესრულებაც მან იტვირთა, აგრეთვე პროექტის საბოლოო ერთობლივ შედეგებზე (პროდუქტზე). მუშაობის პროცესში ხორციელდება

შუალედური შეფასება/მონიტორინგი, რაც ითვალისწინებს გარკვეული სამუშაოს განხილვას, საჭიროების შემთხვევაში გარკვეული კორექტივების შეტანას, სათანადო დასკვნების გამოტანას;

**V ეტაპი: პროექტის დასრულება.** განხორციელებული პროექტის განხილვა და შეფასება დასკვნითი, ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპია. შედეგების პრეზენტაცია (გამოფენა, საკლასო კონფერენცია, აქცია, საკლასო სტენდი, სპექტაკლი, მაკეტი, პრაქტიკული ნამუშევრები, განხორციელებული კვლევის წერილობითი ანგარიში და სხვ.) ნათლად წარმოაჩენს პროექტის შედეგების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ჩნდება ახალი იდეებიც, რაც ხშირად ძლიერი იმპულსია ახალი პროექტის განხორციელებისათვის;

**VI ეტაპი: პროექტის შეფასება და თვითშეფასება.** ჯერ კიდევ პროექტის დაგეგმვის ეტაპზე მასწავლებელი ითვალისწინებს შეფასების მექანიზმს, რომელიც მიმართულია პროექტზე მუშაობისას გამოყენებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენაზე, აგრეთვე პერიოდულობას – პროექტის შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს, რაც ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება (მასწავლებელი – მოსწავლეები).

შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) თითოეული ჯგუფის წევრები აფასებენ, თუ რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს პროექტი, რაც მონაწილეებს ეხმარება მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზების შემინევასა და გამოსწორებაში. ეს კი მნიშვნელოვანია დასახული მიზნების მიღწევისა და სასურველი შედეგების მიღებისათვის. ამ ეტაპზე სასურველია განხორციელდეს გარე მონიტორინგიც. ძირითადად, მასწავლებლის მხრიდან მომზადდეს შუალედური ან ზეპირი ანგარიში, რომელშიც აღინიშნება ჯგუფის წევრების მიერ დაშვებული შეცდომები, შენიშვნები, რჩევები

და რეკომენდაციები. პროექტის საბოლოო შეფასება მრავალმხრივი უნდა იყოს და ნათლად წარმოჩნდეს ის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მათ მომდევნო პროექტებზე მუშაობისას.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მოიცავს რამდენიმე სფეროს, სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობას უკვე რამდენიმე მასწავლებელი იღებს.

ზოგიერთი პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია გარკვეული სახსრები. შესაბამისად, სამუშაო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექციას პროექტის ბიუჯეტი წარმოადგენს, რომელიც უკავშირდება პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებს. ბიუჯეტის შედგენისას მოსწავლეებმა რაციონალურად და ადეკვატურად უნდა გაანაწილონ თანხები ყველა საჭირო აქტივობასა და რესურსზე.

### ბიუჯეტის განსაზღვრის სქემა

№	აქტივობის ან ხარჯის დასახელება	რაოდენობა	ზუსტი ფასი
1	მასალები, რომლებიც საჭიროა პრაქტიკული საქმიანობისათვის (ქაღალდი, ტილო, მუყაო, საღებავი, თიხა, პლასტილინი, ფანქარი, ფუნჯი, საღებავი და სხვ.)		
2	ბეჭდვის ხარჯი (თუ ასეთი საჭიროა)		
3	საგამოფენო დარბაზის ხარჯი (თუ ასეთი საჭიროა)		
4	სატრანსპორტო ხარჯები		
5	პრეზენტაციის ხარჯები		
6	გაუთვალისწინებელი ხარჯები		

პროექტი, როგორც წესი, შემაჯამებელი შეფასების ფორმას წარმოადგენს და წარმოაჩენს კონკრეტული თემის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხს. შეფასების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს, რა სისწილით, რა კრიტერიუმებითა და რა ფორმით მოხდება მოსწავლეთა შეფასება როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ისე დასკვნით ეტაპზე (ინდივიდუალური/ჯგუფური, განმავითარებელი/განმსაზღვრელი, მიმდინარე/შემაჯამებელი). ასევე წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ შეფასების რომელი ფორმა იქნება გამოყენებული პროექტზე მუშაობის თითოეულ კონკრეტულ ეტაპზე, როგორ მოხდება მოსწავლეთა მიერ მათი ცოდნისა და სასწავლო პროგრესის დემონსტრირება.

მოსწავლეთა მრავალმხრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია შეფასების ცხრილების (ე.წ. რუბრიკების) გამოყენება, ამასთან, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, ცხადია, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და პროექტით მიხედვით. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. სასურველია, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა პროექტზე მუშაობის პროცესისა და საბოლოო შედეგის შეფასებაში. ამ მიზნით მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი კითხვარების შედგენა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე დამსწრეთათვის, აგრეთვე ინტერვიუს აღება, შედეგების საერთო საკლასო განხილვა და სხვ.

**პროექტის შეფასების ცხრილი (რუბრიკა)**

	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა
1. მიზანი	არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	მიზნები გამოკვეთილია მკაფიოდ და მარტივად აღსაქმელი
2. ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ვაჭვი, რაც დამაბნეველია მსმენელისათვის	გააზრებულია თანმიმდევრობა ორგანიზების ნიშნებით. ზოგიერთი გადასვლა იდეებს შორის გაუგებარია	ფორმატი კარგად არის ორგანიზებული, ლოგიკურია გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3. შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო ინფორმაცია, რასაც შეცდომაში შეჰყავს მკითხველი	ძირითადად, კორექტულია, არის შეუსაბამო და მცდარი ინფორმაცია	მთლიანად კორექტულია, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4. ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავია, ხშირია შეცდომები	ზოგადად, ენობრივად გამართულია, გვხვდება მცირე შეცდომები	ენობრივად სრულადაა გამართული, დაცულია გრამატიკური ნორმები
5. კვლევა	არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული ინფორმაცია არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი არ არის გათვალისწინებული. გამოყენებულია შეზღუდული რაოდენობის ინფორმაციული მასალა, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია მრავალმხრივი, თემის ადეკვატური ინფორმაცია, ანალიზი სიღრმისეულია
6. თვალსაჩინოებები	თვალსაჩინო მასალა ხშირად არ შეესატყვისება შინაარსს, ან არ გამოიყენება ჯგუფის მიერ	გამოკვეთილია თვალსაჩინო მასალის კავშირი შინაარსთან, თუმცა ერთფეროვანია,	თვალსაჩინო მასალა მრავალფეროვანია და სრულად შეესატყვისება შინაარსს

7. შემოქმედებითობა	ჯგუფის მხრიდან არ იკვეთება შემოქმედებითი მიდგომა დასმული ამოცანისადმი	ზოგჯერ იკვეთება ჯგუფის ორიგინალური მოსაზრებები, დასმული ამოცანისადმი შემოქმედებითი მიდგომა	სახეზეა სიახლე, ჯგუფის ორიგინალური ხედვა, შემოქმედებითი მიდგომა საკითხისადმი
8. კავშირები საგნებთან	არ ჩანს კავშირი სხვა საგნებთან, სახეზეა ფაქტების, მოვლენების უზუსტო ინტერპრეტირება	ნაწილობრივ გამოკვეთილია კავშირი ერთ ან ორ საგანში მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის კომპეტენტურობაზე სხვადასხვა მიმართულებით
9. დასკვნები	დასკვნები არ არის ჩამოყალიბებული	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო და დამაჯერებელი	დასკვნები ლოგიკურია და მყარად არგუმენტირებული, იკვეთება სიახლე, ჩამოყალიბებულია მკაფიოდ
10. პრეზენტაცია	არ არის ეფექტურად წარმოდგენილი პროექტის არსი, ჯგუფის წევრებს უძნელდებათ აზრის ჩამოყალიბება და პასუხის გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოება	პროექტის არსი ჩამოყალიბებულია, თუმცა ბუნდოვნად, ჯგუფი იყენებს თვალსაჩინოებას, ზოგადად, პასუხობს კითხვებს	პროექტის არსი ჩამოყალიბებულია ნათლად, მეტყველება — მკაფიო, გათვლილია აუდიტორიაზე, წარმოდგენილია ძირითადი იდეები, ჯგუფი იყენებს თვალსაჩინოებას და პასუხობს ყველა კითხვას

# თავი III. ეფექტური სწავლების სტრატეგიები

## III.1 სწავლების სტრატეგიები და მეთოდები

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების მეთოდების საფუძვლიანი, თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული კვლევა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც განათლების სფეროში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარები სხვადასხვა მეთოდით განსაზღვრული სწავლის შედეგებით დაინტერესდნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ჯ. ქოულმანისა და ქ. ჯენქსის ნაშრომების შემდეგ წარმოებული კვლევები. აღნიშნული ავტორები (ჯ. ქოულმანი, ქ. ჯენქსი) შეისწავლიდნენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების განმსაზღვრელ ფაქტორებს და აკეთებდნენ დასკვნებს, რომელთა მიხედვითაც, სხვაობას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაში განსაზღვრავდა შემდეგი ფაქტორები: მოსწავლის ნიჭი/უნარები, სოციალური სტატუსი, ოჯახური გარემო, ამასთან, ქ. ჯენქსი წერდა, რომ „სკოლა არ ახდენს ზეგავლენას იმ ფაქტორების უმეტესობაზე, რომლებიც განაპირობებენ სხვაობას მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაში“.<sup>1</sup> უკვე შემდგომ, საფუძვლიანი სისტემური მრავალრიცხოვანი კვლევის შედეგების საფუძველზე, ჯ. ბროფი და თ. გუდი წერდნენ, რომ „მითი დაიმსხვრა: მასწავლებლები რეალურ გავლენას ახდენენ მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე“.<sup>2</sup> მოგვიანებით, უკვე საუკუნის დასაწყისიდან, ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე თანამედროვე მკვლევარები არაერთგზის აღნიშნავენ,

1 ჯენქსი, ქ., სმითი, მ.ს., (1972) ოჯახისა და სკოლის ზეგავლენის გადაფასება ამერიკაში. ბეიზიქ ბუქსი. გვ. 15.

2 ბროფი ჯ., გუდი თ., (1986). მასწავლებლის ქცევა და მოსწავლის აკადემიური მოსწრება. მ. უითროქის (რედ.) წიგნში კვლევები სწავლების მეთოდების შესახებ. გვ. 370.

რომ მაღალაკვალიფიციურ, პროფესიული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ მასწავლებელს შეუძლია განმსაზღვრელი როლის შესრულება მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ მისი პიროვნების ფორმირებაზეც და ამ თვალსაზრისით ხაზგასმით გამოყოფენ სწავლების თანამედროვე, ამასთან, მრავალმხრივი სტრატეგიის მიზანმიმართულად გამოყენების აუცილებლობას. შესაბამისად, აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ზრდაზე მიმართული ღონისძიებები შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად ტარდება.

ცნობილია, რომ ორგანიზაციამ „კონტინენტის ცენტრალური ნაწილის კვლევები განათლებისა და სწავლებისათვის“ (McREL) განახორციელა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული განსაკუთრებით საყურადღებო კვლევების ანალიზი, რაც მიზნად ისახავდა თითოეული კონკრეტული მეთოდის ეფექტურობის განსაზღვრას.<sup>1</sup> გამოიკვეთა, რომ არც ერთი მეთოდი არ არის უნივერსალური, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში გამოირჩევა თანაბარი ეფექტით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააანალიზოს და გააცნობიეროს თითოეული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები კონკრეტულ საგანთან, ასაკობრივ ჯგუფთან, გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში და მხოლოდ შემდეგ გააკეთოს სათანადო არჩევანი.

ცნება „მეთოდი“ გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზას, ხერხს. სწავლების მეთოდი წარმოადგენს მასწავლებლის მიზანმიმართულ ქმედებას მოსწავლეებში სათანადო კომპეტენციის განსავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევისათვის მნიშ-

1 რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი. ეფექტური სწავლება სკოლაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2009. გვ. 98.

ენელოგანია მასწავლებლის მიერ გაკვეთილის სასწავლო მიზნებისა და საგარეულო შედეგების განსაზღვრა, რამდენადაც სწორედ შედეგზეა დამოკიდებული სწავლების მეთოდები. ამდენად, კონკრეტული მეთოდის შერჩევისას გასათვალისწინებელია შერჩეული მეთოდის შესაბამისობა აქტივობასთან, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებასთან, აგრეთვე მნიშვნელოვანია აქტივობისათვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობა, აქტივობისათვის განსაზღვრული დროის შესაბამისობა და სხვ.

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციაა მიღებული. ძირითადად, გამოიყოფა მეთოდების ორი ჯგუფი:

- მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას;
- მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

აღნიშნული დაყოფა ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც მეთოდთა უმრავლესობა საგნობრივთან ერთად მოსწავლეებს ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს ამა თუ იმ მეთოდის ადეკვატურად გამოყენება, საყურადღებოა შემდეგი:

- რა წინაპირობა უნდა გაითვალისწინოს მან კონკრეტული მეთოდის გამოყენებისას;
- რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს ესა თუ ის მეთოდი;
- რა არის თითოეული მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები.

საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკაში ხდება აქტივობისა და მეთოდის გაიგივება. აქტივობას

დაესმის კითხვა: „რას აკეთებს მასწავლებელი?“ მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს, ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: „როგორ აკეთებს მასწავლებელი?“ (ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ახორციელებს ამ აქტივობას?) – მეთოდია.

იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი უნდა ფლობდეს სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, რომელთა შორისაც გამოყოფენ:

**1. კოგნიტურ სტრატეგიებს.** მათი საშუალებით მოსწავლე იძენს/მოიპოვებს ცოდნას, გადაამუშავებს, აანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გამოიყენებს სხვა სიტუაციაში;

**2. მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს** (მეტაკოგნიცია – აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ). ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლების პროცესში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, უვითარებს მოსწავლეს გაანალიზოს და გამოიტანოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება;

**3. ემოციურ-მოტივაციური სტრატეგია** შესასწავლი საკითხისადმი პოზიტიური განწყობილების შექმნას უწყობს ხელს და შესაბამისად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოტივაციაზე;

**4. სოციალური სტრატეგია**, რომელიც სოციალურ ინტერაქციას ეფუძნება და სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირებისათვის უპირატესობას თანამშრომლობით სწავლებას ანიჭებს (მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ურთიერთსწავლება და სხვ.);

**5. რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია** (მულტიმედიაური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ინტერნეტი, ბიბლიოთეკა და სხვ.).

აღნიშნულ სტრატეგიებს, ძირითადად, კომპლექსურად იყენებენ. საჭიროების შემთხვევაში რომელიმე სტრატეგიის დეფიციტის დროს მისი კომპენსირება სათანადო დონეზე გამო-



ყენებული სხვა სტრატეგიების ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს. ეფექტური სწავლის სტრატეგიების დაუფლება სწავლების მეთოდების ეფექტური გამოყენების წინაპირობაა.

განვიხილოთ ზოგიერთი მეთოდი, რომელთა ეფექტურობაც დასაბუთებულია მკვლევართა მიერ და ამასთან, წარმატებით არის აპრობირებული სასკოლო პრაქტიკაში.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** გამოიყენება აზროვნების გასააქტიურებლად, არასტანდარტული აზრების, იდეების გენერირებისა და რაიმე თემის/საკითხის ირგვლივ ცოდნის ორგანიზების მიზნით. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისთვის მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს გარკვეულ წესებს. მაგალითად:

- ყველა იდეა ღირებულია და უნდა იქნეს განხილული;
- მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი;
- გონებრივი იერიშის პროცესში არ ხდება იდეების განსჯა და შეფასება;
- ყველა მოსწავლე თანასწორუფლებიანია და სხვ.

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა და მოსწავლეებისათვის მკაფიოდ ფორმულირება;
- აქტივობისათვის განსაზღვრული დროის ლიმიტის განსაზღვრა;
- დასმული საკითხის/პრობლემის ირგვლივ გამოთქმული იდეების, მოსაზრებების ჩანიშვნა დაფაზე (განხილვისა და კრიტიკის გარეშე);
- აზრებისა და იდეების დახარისხება, კატეგორიებად და

პრიორიტეტებად დაყოფა;

- გამორიცხვის პრინციპით იმ იდეების გამოყოფა, რომლებიც მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- შერჩეული იდეების განხილვა-შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე;
- ყველაზე ღირებული იდეის/იდეების, როგორც დასმული საკითხის/პრობლემის გადაჭრისადმი საუკეთესო მიდგომის გამოვლენა.

**დისკუსია** წარმოადგენს სწავლების მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა წინადადების / მიდგომის / იდეის / პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, რაც მიიღწევა საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკის, სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების, იდეების წარმოშობისა და მათი განხილვა-შეჯერების საფუძველზე.

დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სადისკუსიო თემის სწორად შერჩევა. სადისკუსიოდ შესაძლებელია ნებისმიერი თემის გამოყენება, რომელიც მოსწავლეებში განსხვავებულ მოსაზრებებს წარმოშობს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსწავლეები უნდა ფლობდნენ სათანადო ცოდნას თემის ირგვლივ, შეძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტირებული დასაბუთება. ძირითადად, დისკუსია მიზანშეწონილია გაიმართოს გაკვეთილზე გარკვეული ფორმალური ცოდნის მიღების შემდეგ მისი განმტკიცების მიზნით.

დისკუსიის მსვლელობისას მასწავლებელს შეუძლება დასვას დამაზუსტებელი კითხვები იმ მოსაზრებით, რომ მისცეს და/ან შეცვალოს დისკუსიის მიმართულება.

დისკუსია არგუმენტირებულ ოპონირებას გულისხმობს. მოსწავლეთა მონაწილეობა პოლემიკაში მათ მიერ ახალი ცოდნის სწრაფ ათვისებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა,

დისკუსია, ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას, როგორცაა პრეზენტაციის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, კომუნიკაციის, კონფლიქტური სიტუაციების რეგულირებისა და სხვ. საკლასო დისკუსია ძირითადად, ხასიათდება მოსწავლეთა ჩართულობით, ხელს უწყობს მათი აზროვნების ფოკუსირებას კონკრეტულ საკითხზე, ზრდის მოტივაციას. დისკუსიის პროცესში უნდა მოხდეს თემის ყველა სადავო ასპექტის სრული განხილვა. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საკუთარი აზრების ვიზუალიზაციის შესაძლებლობა.

საკლასო დისკუსიის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიერ შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- სადისკუსიო თემა უნდა იყოს მოსწავლეთათვის საინტერესო, ითვალისწინებდეს მათ ასაკობრივ თავისებურებებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სათანადო ცოდნას;
- შესაძლებელია მოსწავლეებელმა წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს სადისკუსიო თემა და შესთავაზოს მათ სათანადო ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება (რესურსის მითითებით), საკუთარი პოზიციის განსაზღვრა;
- მოსწავლეთათვის ცნობილი უნდა იყოს დისკუსიაში მონაწილეობის წესები, რომელთა დაცვა უნდა უზრუნველყონ (მაგალითად, არ ილაპარაკოთ ერთდროულად, პატივი ეცით განსხვავებულ აზრს და სხვ.);
- მოსწავლეებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა, პასიური მოსწავლეების მოტივირება;
- მოსწავლეებელმა არ უნდა გამოხატოს თავისი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოსაზრების/იდეის მიმართ. მისი ამოცანაა – იყოს ნეიტრალური;
- აუცილებელია დისკუსიის შედეგების შეჯამება-შეფასება,

რაც მოსწავლეებისა და მოსწავლეების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს;

სადისკუსიო თემების სანიმუშო ჩამონათვალი:

### III.1. ნიმუში 1.

- ხელოვანი და დრო;
- ხელოვანი და საზოგადოება;
- ფერწერა და მხატვრული ფოტოგრაფია;
- სახვითი ხელოვნება და ბეჭდვითი საქმე;
- „ხელოვნება მძლავრი იარაღია!“
- არქიტექტურა და ბუნებრივი გარემო;
- თანამედროვე ქალაქის არქიტექტურა;
- მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეების როლი საზოგადოების ცხოვრებაში;
- პროფესია - „დიზაინერი“;
- თანამედროვე სცენოგრაფია და სხვ.

**დემონსტრირების მეთოდი** ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს და მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი. ძირითადად, დემონსტრაციის მეთოდი ახალი მასალის ახსნას უკავშირდება და შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოსწავლეების, ისე მოსწავლეების მიერ. ეს სტრატეგია თვალსაჩინოდ, ვიზუალურად წარმოაჩენს შესასწავლი საკითხის არსს და შესაძლებელია ატარებდეს მარტივ სახეს (მაგალითად, მოსწავლეები ერთობლივად (ჯგუფურად) „აღმოაჩენენ“, თუ როგორ მიიღება შედეგნილი ფერები და შემდეგ ახდენენ მიღებული შედეგების დემონსტრირებას), ასევე შესაძლებელია რთული ექსპერიმენტის სახე მიიღოს (მაგალითად, თითოეული ჯგუფის წევრებმა მათ ხელთ არსებული საგნებისაგან უნდა შეადგინონ კონკრეტული სახის კომ-

პოზიცია – სიმეტრიული ან ასიმეტრიული, თანაკლასელებმა კი შეაფასონ თითოეული ჯგუფის მიერ მიღებული შედეგები).

დემონსტრირების მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელია:

- მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული აქტივობის მიზანი/დანიშნულება – რა ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული;
- გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა მომზადების დონე, მათი საბაზო ცოდნა;
- დემონსტრირების მეთოდის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აღჭურვა სათანადო რესურსით (საღებავი, ფორმატი, საგნები და სხვ.);
- დემონსტრირების დაწყებამდე მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს ინსტრუქცია, რომლის გათვალისწინებითაც მოსწავლეები შეასრულებენ სამუშაოს;
- დემონსტრირების დასრულებისას აუცილებელია შესრულებული სამუშაოს შეჯამება და სათანადო დასკვნების გაკეთება.

**როლური თამაში/სიმულაცია** ერთ-ერთი ყველაზე შემოქმედებითი მეთოდია, რომლის გამოყენებაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას სასწავლო პროცესისადმი, უვითარებს მათ შემოქმედებითობას, ინიციატივას, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, ერთობლივი მუშაობის, შეფასებისა და თვითშეფასების უნარ-ჩვევებს.

როლური თამაშის ძირითადი ტიპებია:

- თავისუფლად ასოცირებული როლური თამაშები, რომელსაც მოსწავლეები სპონტანურად, უშუალოდ თამაშის დროს ქმნიან. ამ ტიპის თამაშები ექვემდებარება მხოლოდ მოსწავლეთა თავისუფალ შეთანხმებას;
- რეგლამენტირებული როლური თამაში, რომელიც წინასწარ შედგენილ გეგმას, მყარ წესებს, კონკრეტულ სცენარს და

მის განსახორციელებლად გამოყენებულ განსაზღვრულ საშუალებებს ექვემდებარება.

როლური თამაშის მიზანია, სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართვის, ცოდნის ტრანსფერის, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირების, ინტერდისციპლინარული კავშირების რეალიზების, მონაწილეთა ინიციატივის, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა.

როლური თამაშების შესაძლებლობების გამოყენება ხელოვნების გაკვეთილზე მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი.

### III.1. ნიმუში 2.

- მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თითოეული ჯგუფის წევრებმა ერთობლივად აირჩიონ რომელიმე, მათთვის სასურველი ყოფითი ჟანრის ფერწერული ნიმუში და სცადონ მისი „გაცოცხლება“ სცენაზე.
- მოსწავლეები ერთობლივად განიხილავენ სურათზე წარმოდგენილ სიუჟეტს, აღწერენ პერსონაჟებს (გარეგნობა, სამოსი, ვარცხნილობა, აქსესუარები და სხვ.), ფონს, რომელზეც არიან წარმოდგენილი (ინტერიერი, ავეჯი, ყოფითი საგნები და სხვ.), ახასიათებენ პერსონაჟებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, არკვევენ, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან სურათზე გამოსახული ადამიანები, რომელ ეპოქაში/კულტურაში ცხოვრობდნენ. მოსწავლეები ცდილობენ ჩასწვდნენ ფერმწერის ჩანაფიქრს, განიხილავენ მის მიერ გამოყენებულ მხატვრული გამომსახველობითობის ხერხებს (კომპოზიცია, კოლორიტი, შუქ-ჩრდილი, რიტმი და სხვ.).
- სიუჟეტის შესაბამისად, მოსწავლეები მუშაობენ მინი-წარმოდგენის სცენარზე, აზუსტებენ დასმული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო რესურსს (სამოსი დეტალები, აქსესუარები, ყოფითი საგნები და სხვ.), იწინაწინააღმდეგებენ როლებს.

- მოსწავლეები წარდგებიან თანაკლასელების წინაშე ჯგუფური ნამუშევრებით. მნიშვნელოვანია ნამუშევრების განხილვისა და შეფასების პროცესი, რაც ნათლად გამოკვეთს მოსწავლეთა ცოდნას, აგრეთვე მთელ რიგ არსებით – დაკვირვების, ყურადღების კონცენტრაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, შეფასებისა და თვითშეფასების უნარ-ჩვევებს.

როლური თამაშების/სიმულაციების ორგანიზებისას მასწავლებელი ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ:

- მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წახალისება იმპროვიზაციისათვის, დასმული ამოცანის გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომისათვის;
- ყურადღების გამახვილება საკუთრივ მუშაობის პროცესზე (მოსწავლეების მსჯელობა, მოსაზრებათა დასაბუთება, შექმნილი ცოდნის, აგრეთვე ინიციატივის, შემოქმედებითი მიდგომის გამოვლენა, თანამშრომლობა და სხვ.);
- ნამუშევრების განხილვის პროცესში სასცენო კოსტიუმების ელემენტების, მარტივი დეკორაციების, თვითნაკეთი რესურსის სურათის სიუჟეტთან შესაბამისობაზე აქცენტირება;
- ცოდნის ტრანსფერის უზრუნველყოფა (მაგალითად, ხელოვნება – ისტორია – თეატრი);
- კონსტრუქციული კრიტიკის შეთავაზება;
- ნამუშევრების მრავალმხრივი შეფასება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

## კოგნიტური დიაგრამები

მოსწავლეთა მიერ შექმნილი ცოდნის განმტკიცებისათვის, იმ მოსაზრებით, რომ ახალი ცოდნა ფუნქციური და მობილური გახდეს, საყურადღებოა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წარმოდგენის არალინგვისტური ხერხების გამოყენება. ძირითადად, სასკოლო პრაქტიკაში მასწავლებლები ახალი მასალას წარადგენენ ლინგვისტური ფორმით (ახსნა, კითხვა, საუბარი/მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება და სხვ.), თუმცა კვლევების შედეგად დადასტურებულია არალინგვისტური ფორმების გამოყენების ეფექტურობა ახალი სასწავლო მასალის უკეთ გააზრების, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის, სააზროვნო უნარ-ჩვევების, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობის, შეფასებისა და თვითშეფასების განვითარების თვალსაზრისით.

ინფორმაციის წარმოდგენის არალინგვისტური ფორმების გამოყენება სხვადასხვა ტიპის დავალებასა და სავარჯიშოებზე მუშაობისას არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ფორმა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ცოდნის გაფართოებას. ისინი უკეთ იგებენ სასწავლო მასალას და ეფექტურადაც იყენებენ განსხვავებულ კონტექსტში, რამდენადაც ერთვებიან აზროვნების პროცესში.

აღნიშნულ ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებულია სააზროვნო სქემები, ანუ კოგნიტური დიაგრამები. ზოგადად, გრაფიკული სქემა ორივე ფორმას გულისხმობს – როგორც ლინგვისტურს (სიტყვები, ფრაზები და ა.შ.), ისე არალინგვისტურს (სხვადასხვა ტიპის სიმბოლო, ისრები და ა.შ., რაც ფაქტების, მოვლენებისა და სხვ. ურთიერთდამოკიდებულებებს გამოხატავს), ცხადია, კონკრეტული მოცემულობის შესაბამისად. გრაფიკული სქემები სასწავლო პროცესში შეიძლება სხვა მიზნითაც იქნეს გამოყენებული (მაგალითად, აღწერის, შედარების, დროითი თანმიმდევრობის, მიზეზშედეგობრიობის

განსაზღვრის, ყურადღების კონცენტრირებისა და საკითხზე ფოკუსირებისათვის და ა.შ.).

გრაფიკულ სქემებსა და დიაგრამებზე მუშაობა მრავალმხრივ პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი. კერძოდ:

- ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას;
- ყურადღების მობილიზებას;
- ააქტიურებს შეძენილ ცოდნას;
- ეხმარება მთლიანობაში გაიაზროს მასალა;
- უვითარებს კრიტიკულ, ანალიტიკურ აზროვნებას;
- საკუთარი მოსაზრებების გადმოცემისა და დასაბუთების უნარს;
- უვითარებს თვითშეფასების უნარს და სხვ.

#### **მსგავსებისა და განსხვავების მეთოდი**


მეთოდები, რომლებიც მსგავსებასა და განსხვავებას უკავშირდება, შეიძლება სწავლის ქვაკუთხედად იქნეს მიჩნეული. კვლევებში, რომლებშიც ამ მეთოდის ეფექტურობაა დასაბუთებული ექსპერიმენტული მუშაობის ანალიზის საფუძველზე, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ფაქტების, მოვლენების და ა.შ. შედარებისას საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენაზე ორიენტირება ხელს უწყობს კითხვების წარმოშობას, ვერსიების გაჩენას სათანადო არგუმენტებით, დისკუსიის სიტუაციის შექმნას. გარდა ამისა, ამ სახის დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ავლენენ მათ მიერ შეძენილი ცოდნის გააზრებისა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებით ეფექტურია მსგავსებისა და განსხვავების მეთოდის გამოყენება, როდესაც მოსწავლეები მასწავლებლის მინიშნებების გარეშე, ერთობლივი მუშაობის (ჯგუფური) პირობებში აკეთებენ სათანადო დასკვნებს, ეს კი ხელს უწყობს ახალი, ზოგჯერ ურთიერთ-განსხვავებული იდეების სტიმულირებას.

ცოდნის გააზრებისა და გამოყენების ეფექტურობას საგრძნობ-

ბლად ზრდის მოსწავლეთა მიერ გრაფიკული სქემებისა და დიაგრამების გამოყენება, რაც ხელს უწყობს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენის სტიმულაციას. ეფექტური შედარებისათვის საყურადღებოა მოსწავლეთა მიერ შესადარებელი ობიექტების, ფაქტების, მოვლენების მნიშვნელოვანი მახასიათებლების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც შემდეგ უკვე მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის საფუძველად იქცევა.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შედარებისათვის გამოიყენოს ნათლად სტრუქტურირებული სავარჯიშოები (რას და რომელი მახასიათებლების მიხედვით ადარებენ), რაც საყურადღებოა მოსწავლეთა მხრიდან ძალისხმევის გარკვეული ტიპის დასკვნებზე მიმართვის თვალსაზრისით. ამ ტიპის დავალებები მიმართულია მოსწავლეთა მიერ ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების ამოცნობაზე. შედარებისა და მსგავსება-განსხვავების მიზნით გამოიყენება:

**ვენის დიაგრამა**



ვენის დიაგრამა გამოიყენება ორი საგნის ან მოვლენის, განსახილველი საკითხების, ფაქტების, სხვადასხვა ხელოვანის შემოქმედების, ხელოვნების ერთი დარგის, ჟანრისა თუ სხვ. ნიმუშების და ა.შ. როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნების დასაფიქსირებლად: წრეების გადაკვეთის მონაკვეთში ჩაიწერება საერთო, მარჯვენა და მარცხენა მონაკვეთებში კი – განსხვავებული ნიშნები.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა მოსწავლეს უადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებასა და აღქმას, განუვითარებს დაკვირვებულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფურად.

### III.1. ნიმუში 3.

- ძველი საბერძნეთის ხელოვნება – ძველი რომის ხელოვნება;
- ჟაკ ლუი დავიდის შემოქმედება – ეჟენ დელაკრუას შემოქმედება;
- გოიას „1808 წლის 8 მაისი“ – პიკასოს „დახვრეტა კორეაში“;
- ლადო გუდიაშვილის „საკადრისი პასუხი“ – მერაბ ბერძენიშვილის „გიორგი სააკაძე“;
- ელენე ახვლედიანის „შემოდგომა კახეთში“ – ვან გოგის „შემოდგომის პეიზაჟი ოთხი ხით“.

### შედარების მატრიცა

შედარების მატრიცა				
მახასიათებლები	შესადარებელი თემები			
	№ 1	№ 2	№ 3	
1				მსგავსებები
				განსხვავებები
2				მსგავსებები
				განსხვავებები
3				მსგავსებები
				განსხვავებები
4				მსგავსებები
				განსხვავებები

ეს გრაფიკული სქემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესადარებელია ორზე მეტი საგანი ან მოვლენა, ნაწარმოები და ა.შ., რაც ითვალისწინებს უფრო დეტალურ მიდგომას შესადარებელი ობიექტებისადმი და გარდა შედარება-განსხვავებისა, აღინიშნება თითოეული ობიექტის მახასიათებლებიც.

### III.1. ნიმუში 4.

რემბრანდტი. „მოხუცი ქალის პორტრეტი“ – რენუარი. „დედა-შვილი“ – პიკასო. „სუპი“.

მახასიათებლები:

1. სიუჟეტი;
2. კომპოზიცია;
3. კოლორიტი;
4. ფონი;
5. განწყობილება.

**T-დიაგრამა**


სქემა გამოიყენება განსახილველი საკითხების (ფაქტების, მოვლენების, მხატვრული მიმართულებების, ეპოქების, ხელოვანთა შემოქმედების, ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.) შესაღარებლად, დასაპირისპირებლად, ანუ მხოლოდ განმასხვავებელი ნიშნების აღსანიშნად. შესაბამისად, სქემის თითოეულ გრაფაში ჩაიწერება ფაქტების, მოვლენების და ა.შ. განსხვავებული ნიშნები.

სქემაზე მუშაობა მოსწავლეს გაუადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებას, მის არსში წვდომას, განუვითარებს დაკვირვების, დასკვნების გაკეთების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს.

სქემაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფურად.

**III.1. ნიმუში 5.**

- ქანდაკების სახეები: მონუმენტური – დაზვური;
- სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა – ქანდაკება;
- სახვითი ხელოვნების ჟანრები: პეიზაჟი – ნატურ-მორტი;
- მხატვრული მიმდინარეობები: რომანტიზმი – რეალიზმი;
- იმპრესიონისტები: კლოდ მონე – ედგარ დეგა.

**კლასიფიკაციის მეთოდები**

მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა შედარების დროს ხდება. შედარება წარმოადგენს საგანს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის პროცესს. ეს პროცესი მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის დროსაც.

კლასიფიკაცია საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესია, რომელიც მათ მახასიათებლებს ეფუძნება. გარკვეული ელემენტების კლასიფიკაცია სწორედ მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციით იწყება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მოცემული ელემენტების დაჯგუფება ორ ან რამდენიმე კატეგორიად.


კლასიფიკაციაზე ორიენტირებული სავარჯიშოები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

1. სავარჯიშოები, რომლებიც ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ელემენტების კლასიფიკაციას. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას იმ კატეგორიების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მათ თვითონ უნდა განახორციელონ მოცემული ელემენტების კლასიფიკაცია.

**I ტიპის სავარჯიშოების სქემა**


2. სავარჯიშოები, რომლებზე მუშაობაც ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ მოცემული საგნების ან მოვლენების ჩამონათვალის კლასიფიკაციის დამოუკიდებლად განხორციელებას და კატეგორიების დადგენას. ამ ტიპის დავალებების შესრულება მთლიანად მოსწავლეთა ძალისხმევაზეა მიმართული. შესაძლებელია, მოსწავლეებს მიეცით დავალებები, რომელთა შესასრულებლად მათ არა მხოლოდ კატეგორიების მოფიქრება მოუწევთ, არამედ საგნებისა თუ მოვლენების ნუსხის შედგენაც.

**II ტიპის სავარჯიშოების სქემა**



სქემა №1 გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კატეგორიები მსგავსია (განზოგადების დონის მიხედვით), სქემა №2 კი, როდესაც კატეგორიებიდან ზოგიერთი უფრო ზოგადია სხვებთან შედარებით.

**შეჯამებისა და ჩანაწერების გაკეთების მეთოდები**

შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება დამოუკიდებელი უნარ-ჩვევებია, რომელთა გამომუშავებაც ითვალისწინებს ინფორმაციის წარმოდგენას მოკლე, სინთეზური ფორმით. ამიტომაც შესაძლებელია მათი გაერთიანება სწავლების ერთ მეთოდში, რომლის გამოყენება სასწავლო პროცესში შეიძლება სხვადასხვა ტიპის დავალებითა და სავარჯიშოთი იყოს წარმოდგენილი. ძირითადად, გამოიყოფა შემდეგი ტიპის დავალებები:

1. მოსწავლეთა მიერ ტექსტზე მუშაობა, რაც ითვალისწინებს გარკვეული სახის, ძირითადად, შემთხვევითი ტიპის ჩანაწერების გაკეთებას. ამ შემთხვევაში მოსწავლეს მოეთხოვება, დამოუკიდებლად ან ჯგუფურად, კარგად გაიაზროს მოცემული ტექსტი და მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად შეასრულოს დავალება.

2. მოსწავლეებს ეძლევათ მზა ტექსტი მასწავლებლის ჩანაწერის სახით, რაზეც მუშაობენ დავალების პირობის შესაბამისად.

განვიხილოთ იმ ტიპის დავალებები/სავარჯიშოები, რომლებიც საყურადღებოა ხელოვნების გაკვეთილზე გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული მეთოდის ეფექტურობას გაცილებით ზრდის გარკვეული ჩარჩოების გამოყენება (შეჯამების ჩარჩოები), რომელთაც მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს. ჩარჩო შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს, რაც დამოკიდებულია დავალების/სავარჯიშოს მიზანსა და კონკრეტულ მოცემულობაზე. კერძოდ:

- **ნარატიული ჩარჩო**, რომელიც უმთავრესად მხატვრული ნაწარმოების განხილვისას გამოიყენება, თუმცა მასწავლებელს შეუძლია ხელოვნების გაკვეთილზე სახვითი ხელოვნების ნაწარმოების განხილვისას გამოიყენოს, რაც, რა თქმა უნდა, უკავშირდება მის სიუჟეტურ მხარეს (ყოფითი ჟანრი).



**მაგალითი.**

გაკვეთილის ერთ-ერთ სასწავლო მიზანს შეადგენს ნამუშევრის განხილვა კონკრეტულ ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თითოეულმა ჯგუფმა განიხილოს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ყოფითი ჟანრის ნიმუში და ერთობლივად იმუშაონ ნარატიულ ჩარჩოში მოცემულ კითხვებზე.

**ნარატიული ჩარჩოს სანიმუშო კითხვები:**

**III.1. ნიმუში 6.**

1. აღწერეთ ნაწარმოები.
2. დაახასიათეთ პერსონაჟები.
3. გამოყავით, თქვენი აზრით, მთავარი პერსონაჟი/პერსონაჟები და აღნიშნეთ, რა განასხვავებს მათ სხვა პერსონაჟებისაგან.
4. აღნიშნეთ დამოკიდებულება პერსონაჟებს შორის.
5. აღნიშნეთ მათი ემოციები, გრძნობები.
6. გამოთქვით აზრი მხატვრის ჩანაფიქრზე.
7. აღნიშნეთ მხატვრული გამომსახველობითობის ხერხები, რომლებიც გამოიყენა მან ჩანაფიქრის განსახორციელებლად (კომპოზიცია, კოლორიტი, ფონი და სხვ.).
8. განსაზღვრეთ სავარაუდო ეპოქა, კულტურა, პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობა ვიზუალური დეტალების მიხედვით.
9. წამოაყენეთ ვერსიები ნამუშევრის ავტორის შესახებ და მოიყვანეთ სათანადო არგუმენტები. აღნიშნეთ ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ნარატიულ ჩარჩოზე მუშაობა მოსწავლეებს არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშზე მსჯელობის, არამედ მიღებული ინფორმაციის შეჯამებისა და გარკვეული დასკვნების გაკეთების უნ-

არ-ჩვევებსაც უვითარებს. მასწავლებელს შეუძლია თითოეული კონკრეტული ნამუშევრის შესაბამისად განსაზღვროს კითხვები ჩარჩოსათვის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის.

• **განმარტებითი ჩარჩო** გამოიყენება კონკრეტული ცნების განმარტების ან დაქვემდებარებული ცნებების იდენტიფიკაციის მიზნით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელის მიერ მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება იმ კითხვებისა, რომლებსაც მოსწავლეებს სთავაზობს განმარტებითი ჩარჩოს სახით.

**III.1. ნიმუში 7.**

გაკვეთილის თემა – „შუამდინარეთის ხელოვნება“

1. რას განვმარტავთ?
2. რომელ ისტორიულ ეპოქას მიეკუთვნება ეს ცნება/შუამდინარეთის ხელოვნება/კულტურა?
3. რა მახასიათებლები განასხვავებს შუამდინარეთის ხელოვნებას ძველი სამყაროს სხვა ცივილიზაციების კულტურისაგან?
4. რომელ ქვეყნებსა და კულტურებს მოიცავს შუამდინარეთის ხელოვნება?

**III.1. ნიმუში 8.**

გაკვეთილის თემა – „ფერთა სამყარო“

1. რას განვმარტავთ? (კონტრასტულ ფერებს)
2. როგორ ფერებს მიეკუთვნება კონტრასტული ფერები?
3. რა მახასიათებლებით გამოირჩევა კონტრასტული ფერები მონათესავე ფერებისაგან?
4. რომელი მხატვრებისათვის არის დამახასიათებელი კონტრასტული ფერებისათვის უპირატესობის მინიჭება? დაასახელეთ მაგალითები.

განმარტებით ჩარჩოზე მუშაობისას მოსწავლეები არ იფარგლებიან ახალი ცნებებისა თუ ტერმინოლოგიის ვიწრო განმარტებით. განმარტებითი ჩარჩოს გამოყენებით ისინი, რა თქმა უნდა, უკეთ აცნობიერებენ ახალ მასალას, ამასთან, მრავალმხრივ განიხილავენ, რაც, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს შემდეგ უკვე განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებისათვის.

5. **არგუმენტაციის ჩარჩო** მოიცავს ინფორმაციას, რომელიც საყურადღებოა კონკრეტული არგუმენტის გასამყარებლად და ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებაში. არგუმენტაციის ჩარჩოში მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით მოსწავლეებს მოჰყავთ ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტულ არგუმენტამდე მივყავართ, მოჰყავთ მაგალითები ამ არგუმენტის გასამყარებლად.

არგუმენტაციის ჩარჩოს სანიმუშო კითხვები:

1. რა ინფორმაციას მივყავართ არგუმენტამდე?
2. რომელია მათგან მთავარი მტკიცებულება/არგუმენტი?
3. რა მაგალითები ან განმარტებებია წარმოდგენილი არგუმენტის გასამყარებლად?
4. რა დათმობები კეთდება არგუმენტის გასამყარებლად?

სამუშაოს დასრულების შემდეგ (შეიძლება ინდივიდუალურად ან წყვილში შეასრულონ) მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, ადარებენ (აანალიზებენ) მათ ვერსიებს, მსჯელობენ მათ ირგვლივ და აკეთებენ სათანადო დასკვნებს, რომელთაც შემდეგ თანაკლასელებს აცნობენ. დასასრულს ხდება მოსაზრებათა შეჯამება-შეჯერება.

6. **პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული ჩარჩო** ეხმარება მოსწავლეებს პრობლემის ჩამოყალიბებასა და მისი გადაჭრის გზების იდენტიფიკაციის განხორციელებაში. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლეები მსჯელობენ მის ირგვლივ. მსჯელობის პროცესში იყენებენ პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებულ ჩარჩოში მოცემულ კითხვებს.

პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული ჩარჩოს სანიმუშო კითხვები:

1. რა მტკიცებულებები განსაზღვრავს საკითხის პრობლემურობას?
2. რაში მდგომარეობს გამოსავალი?
3. კიდევ რა გზა ისახება?
4. პრობლემის აღმოფხვრის რომელი გზაა ყველაზე რეალური და რატომ?

განხილულ ჩარჩოში მოცემულ კითხვებზე მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების ურთიერთგაზიარების პროცესში მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ პრობლემის აღმოფხვრის რომელი გზა/საშუალება არის განსაკუთრებით ეფექტური და ასაბუთებენ მას.

შეჯამებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **ჩანაწერების გაკეთება**, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ტიპის დავალებებით/სავარჯიშოებით იყოს წარმოდგენილი. დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ივითარებენ უნარ-ჩვევებს, თუ როგორ ჩამოაყალიბონ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საკუთარი მოსაზრება, გააკეთონ კომენტარი და სხვ., რაც შეჯამების არსს წარმოადგენს.

აღნიშნული მეთოდის ეფექტურობის კვლევებმა დაადას-

ტურა, რომ საყურადღებოა ისეთი დავალებების შერჩევა და გამოყენება, რომლებიც ორიენტირებულია არა ათვისებული ინფორმაციის გადმოცემაზე, არამედ სააზროვნო, ანალიტიკური ტიპის ჩანაწერების გაკეთებაზე.

ჩანაწერები, ერთი მხრივ, ხელს უწყობს უკვე გააზრებული მასალის გამეორება-განმტკიცებას, განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა განვითარებას. ისე როგორც შეჯამების შემთხვევაში, ამჯერადაც ეფექტურია გრაფიკული სქემების გამოყენება.

**ორმხრივ ჩანაწერთა დღიური**

ციტატა	კომენტარი

ამ სქემაზე მუშაობა გამოიყენება მოსწავლის კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარებისათვის. მოცემული სქემის პირველ გრაფაში („ციტატა“) მოსწავლეებს შევთავაზებთ ჩაწეროს ციტატა სახელმძღვანელოდან (შესაძლებელია ამ მიზნით სხვა სახის ინფორმაციის გამოყენებაც), რომელთან დაკავშირებითაც საკუთარ მოსაზრებებს ჩაწერს სქემის მეორე ნაწილში („კომენტარი“).

**III.1. ნიმუში 9.**

1. „მიმაჩნია, რომ ფერწერის ნიმუშები უნდა იყოს ყოველთვის სასიამოვნო, სასიხარულო და ლამაზი. ცხოვრებაში ისედაც ბევრი რამაა მოსაწყენი და ხელოვნურად ნულარ დავუმატებთ ახალს“ (ოგიუსტ რენუარი).
2. „ფერწერა ოთახების მოსართავი არ არის! იგი თავდაცვისა და თავდასხმის მძლავრი იარაღია!“ (პაბლო პიკასო).
3. „მუზეუმი სრულიადაც არ არის ფუფუნებისა და ამაოების საგანთა უსარგებლო თავმოყრა-შეკრება... მუზეუმი უნდა იქცეს უდიდესი მნიშვნელობის კერად, სადაც აღმზრდელები წაიყვანენ აღსაზრდელებს, მამები – შვილებს, ახალგაზრდები გენიოსთა ქმნილებების ხილვისას შეიგრძნობენ, თუ მეცნიერების ან ხელოვნების რომელ სახეს ირჩევს მათი ბუნება“ (ჟაკ ლუი დავიდი).

**კორნელის დაფა**

პირველადი კომენტარი	მეორადი კომენტარი

დიაგრამის გამოყენება ეფექტურია ხელოვნების ნიმუშის განხილვისას.

სქემის მარცხენა ნაწილში მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერს – პირველად (ფაქტობრივ) კომენტარს განსახილველ

ნაწარმოებთან დაკავშირებით. ძირითადად, მოსწავლეები აფიქსირებენ პირველად შთაბეჭდილებას, ყურადღებას ამახვილებენ მასზე, თუ რა არის ნაწარმოებში გამოსახული, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებასაც (რა შთაბეჭდილებას ახდენს მათზე) და სხვ., ნამუშევრის დეტალურად განხილვის შემდეგ კი მოსწავლეები წერენ უკვე მეორად კომენტარს. უმეტესად, მეორადი კომენტარი მოიცავს გამომსახველობითი ხერხების გამოყენების თავისებურებებს (კოლორიტი, სივრცის გადმოცემა, შუქ-ჩრდილი, კომპოზიცია და სხვ.), ამასთან, აკავშირებენ ავტორის ჩანაფიქრთან. ხელოვნების თითოეული დარგის, ჟანრის, სტილის, ეპოქის/კულტურის გათვალისწინებით მეორადი კომენტარი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

კორნელის დაფაზე მუშაობა ხელს უწყობს როგორც მოსწავლის ცოდნის გამოვლენას, ისე კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენას;

**„ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“**

რა ვიცი	რა ვისწავლე	რა მინდა ვიცოდე

ახალი თემის დაწყებისას მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს მოცემული სქემის პირველ გრაფაში. თემის დასრულებისას კი, ძირითადად, შემაჯამებელ გაკვეთილზე, ავსებენ მეორე და მესამე გრაფებს. მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია ჩანაწერების ანალიზი, რაც ნათლად მეტყველებს

მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის ათვისების ხარისხზე, აგრეთვე შემეცნებით ინტერესებზე, რაც ნათლად იკვეთება მესამე გრაფაში შესრულებულ ჩანაწერში.


**„3, 2, 1“**

ჩაწერე 3 თემა/საკითხი, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესდი.	
2 თემა/საკითხი (ეპოქა/კულტურა/სტილი/ ხელოვანი/ნაწარმოები), რომლებთან დაკავშირებითაც გაგიჩნდა მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესი.	
1 თემა/საკითხი, რომელზეც იმსჯელებდი ამხანაგებთან ერთად.	

წინა ნიმუშის ანალოგიურად, მოცემულ სქემაზე მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც შეძენილი ცოდნის გამოვლენის, საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემის, ისე თვითშეფასების უნარების გამოვლენისათვის. მოცემულ სქემაზე მუშაობა თემატური ციკლის დასკვნითი გაკვეთილისათვის არის მიზანშეწონილი.

სასურველია, მოსწავლეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, რომ თითოეულ გრაფაში მხოლოდ თემებისა თუ საკითხების ჩამოთვლა არ არის საკმარისი. მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალაზე კონცენტრირების, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებას. აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას კონკრეტული თემატური ციკლის გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნის ხარისხისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესაფასებლად, იმის გასაცნობიერებლად, თუ რა წარმატებებს მიაღწია, აღნიშნოს ნაკლოვანი მხარეებიც.

ასოციაციური რუკა (ე.წ. „აბლაბუდა“)



ასოციაციური რუკა გამოიყენება მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალური მობილიზებისა და კონცენტრაციის, აზროვნების გააქტიურების, შეძენილი ცოდნის გამოვლენა-განმტკიცების, შეჯამების მიზნით.


დაფის ან ფურცლის ცენტრში იწერება საყრდენი სიტყვა/ფრაზა, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს კონკრეტულ ტერმინს, ხელოვნების დარგს, ჟანრს, კონკრეტულ ეპოქას, მხატვრულ მიმართულებას/სტილს, ხელოვანის ვინაობას ა.შ.

აღნიშნული საკვანძო სიტყვის ირგვლივ მოსწავლეები წერენ სიტყვებს, ფრაზებს, რომლებსაც ამ სიტყვასთან/ფრა-

ზასთან დაკავშირებით გაიხსენებენ. ამის შემდეგ აზრობრივად აკავშირებენ ამ სიტყვებს, ფრაზებს როგორც ერთმანეთთან, ისე საყრდენ სიტყვასთან და გამოსახავენ ხაზებით.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილში და ჯგუფური მუშაობისას.


საორგანიზაციო სქემა/დროის ცხრილი



სქემაზე მუშაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბაზო სკოლაში იმ თემატური ციკლების გაკვეთილებზე, რომლებიც ეძღვნება მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ცალკეული ეტაპების, მხატვრული მიმართულების/სტილის

შესწავლას და ეხმარება მოსწავლეებს ქრონოლოგიის დადგენასა და დანახვაში. სქემაზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის ფოკუსირებას იმ მთლიანი მოვლენის ქრონოლოგიური სურათის აღდგენასა და თანმიმდევრულ დაფიქსირებაზე, რომელსაც ითვალისწინებს დავალების პირობა. ასე მაგალითად, ძველი ეგვიპტის ხელოვნება, შუა საუკუნეების არქიტექტურა, რენესანსი, XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი სტილები/მიმდინარეობები და სხვ. სასურველია, სქემაზე მუშაობა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქრონოლოგიის პრინციპით და შეძენილი ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებმა დააფიქსირონ მოკლე ინფორმაცია მნიშვნელოვან ფაქტებზე, მოვლენებზე და ა.შ.

**მოვლენათა ჯაჭვი**



აღნიშნულ სქემაზე მუშაობა ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ გარკვეული მოვლენების/ფაქტების ურთიერთკავშირის გამოვლენას. ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის, ანალიტიკური, არგუმენტირებული აზროვნების განვითარებას, შეფასებისა და თვით-შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას.

**უკუქცევითი სწავლების მეთოდი**

გარდა გრაფიკული სქემებისა, საყურადღებოა არანაკლებ ეფექტური სხვა მეთოდების განხილვაც, რომლებიც შეიძლება გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა სასწავლო მიზნებია დასახული კონკრეტული გაკვეთილის წინაშე მასწავლებლის მიერ. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია უკუქცევითი სწავლების მეთოდი, რომელიც სხვებთან შედარებით საფუძვლიანად არის გამოკვლეული. განსაკუთრებით ეფექტურია ამ მეთოდის გამოყენება ტექსტზე მუშაობისას, ახალი მასალის ახსნის პროცესში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ტექსტის საფუძვლიანად გაგებას და მოიცავს ანალიტიკურ აქტივობებს: მოცემული ინფორმაციის შეჯამება, ახსნა, კითხვების დასმა და სხვ. ამ ტიპის დავალებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელოში მოცემული ან თუნდაც, ალტერნატიული წყაროებიდან მოძიებული ტექსტი.

უკუქცევითი სწავლების მეთოდის გამოყენების ძირითადი ეტაპებია:

- მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად – ეცნობინ ახალი საგაკვეთილო მასალის ტექსტს. თავდაპირველად ისინი ჩუმი კითხვობით ტექსტის მათთვის განსაზღვრულ სემენტს. მათგან განსხვავებით, მოსწავლე, რომელსაც ლიდერის ფუნქცია აკისრია, ცდილობს ტექსტის შეჯამებას და შედეგს აცნობს თანაჯგუფელებს. მოსწავლეებს საჭიროებისამებრ, შეაქვთ გარკვეული დამატებები ან რაიმე სახის ცვლილებები. მაგალითად, ყურადღებას ამახვილებენ ტექსტში მოცემულ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, წინადადებაზე, ფრაზაზე, რაც მათ ტექსტის კონკრეტული მონაკვეთის შეჯამებაში დაეხმარება;
- მოსწავლეები, იმ მოსაზრებით, თუ რამდენად გასაგებად ახსნეს მათ ახალი ინფორმაცია, სვამენ კითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემაც ნებისმიერი ჯგუფის წევრს შეუძლია.

კითხვა-პასუხის პროცესი ეხმარება მოსწავლეებს ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებაში.

- თითოეული ჯგუფი აცნობს თანაკლასელებს ტექსტის გაურკვეველ ნაწილებს, რომელთაც შემდეგ ინდივიდუალურად ან ერთობლივად აზუსტებენ (უხსნიან ერთმანეთს).

- აქტივობის დასასრულს ხდება სრული ინფორმაციის შეჯამება და სათანადო დასკვნების გაკეთება.

### შერეული ტექსტი

აღნიშნული მეთოდის გამოყენება ეფექტურია შეძენილი ცოდნის განმტკიცების, კონკრეტული თემის/საკითხის შეჯამების მიზნით.

ე.წ. „შერეული ტექსტის“ მეთოდი გულისხმობს მოსწავლეებისათვის შერეული ინფორმაციის მიწოდებას ორი (შესაძლებელია, მეტიც) ჟანრის, მხატვრული მიმდინარეობის, ეპოქის, ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ტექსტის მომზადებისას მასწავლებელი ითვალისწინებს, რომ არ გამოიყენოს საკვანძო სიტყვები/ფრაზები (მაგალითად, ხელოვანის ვინაობა, კონკრეტული ეპოქა, მხატვრული მიმართულება და სხვ.), რაც შეადგენს აღნიშნული მეთოდის არსს.

მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ და გააკეთონ ტექსტში სათანადო აღნიშვნები, თუ ტექსტის რომელი მონაკვეთი რომელ მხატვრულ მიმდინარეობასთან, ჟანრთან, ხელოვანთან და ა.შ. არის დაკავშირებული.

შერეული ტექსტის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილში, განსაკუთრებით ეფექტური კი – ჯგუფური მუშაობისას.

### III.1. ნიმუში 10.

#### ელენე ახვლედიანი – ფიროსმანი

შესანიშნავი ქართველი ფერმწერი პეიზაჟის დიდოსტატად არის აღიარებული. იგი თვითნასწავლი მხატვარი იყო. ჰქონდა ძნელი და მძიმე ცხოვრება. დუქნების, სარდაფების კედლებზე ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს, დღესასწაულებს. განსაკუთრებით უყვარდა მხატვარს ძველი თბილისის უბნების, თბილისური აჭრელებული აივნების, აგრეთვე მშობლიური კახეთის ხელების ხატვა.

მისი საუკეთესო ნამუშევრებია: „დათვი მთვიან ღამეში“, „ზამთარი კახეთში“, „სახლი კლდეზე“, „წითელპერანგა მებაღური“, „სიღნაღის გზაზე“, „გოგონა წითელი საჭაერო ბურთით“, „შველი“, „ჟირაფი“, „ზამთარი“. „მეტეხი“ და მრავალი სხვ.

#### ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი ანალიზის მეთოდი

ხელოვნების მასწავლებლისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ რა ფორმით უნდა წარმართოს კლასში ხელოვნების ნიმუშის ანალიზი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენება. ცხადია, მასწავლებელი ითვალისწინებს სწავლების საფეხურს, მოსწავლეთა მომზადების დონეს, კონკრეტული ნაწარმოების მხატვრულ-გამომსახველობით თავისებურებებს.

#### ხელოვნების ნიმუშის ანალიზის ეტაპები

1. **მომზადება:** ეს ეტაპი გულისხმობს მასწავლებლის მიერ შესაბამისი ატმოსფეროს შექმნას, ბავშვების შემზადებას იმისათვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი აზრი ნამუშევარზე, რომელსაც გაეცნობიან. საჭიროა მოსწავლეებმა გააცნობიერონ,

რომ, რამდენი ადამიანიც არსებობს, შეიძლება იმდენი მოსაზრება გაჩნდეს და ყველა მათგანი თავისებურად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე უმჯობესია მასწავლებელმა არ მიაწოდოს ზედმეტი ინფორმაცია ნამუშევრის შესახებ, რათა არ მოახდინოს გავლენა მოსწავლეთა პირველ შთაბეჭდილებაზე და არ შეუშალოს მათ ხელი აზრის გამოთქმაში. ნამუშევრის გაცნობა აღმოჩენის პროცესი უნდა იყოს;

**2. პირველი შთაბეჭდილების გამოხატვა:** ამ ეტაპზე მოსწავლეებმა სპონტანურად უნდა გამოთქვან/ჩაიწერონ პირველი შთაბეჭდილებები. ჩანაწერები შეიძლება სხვადასხვა მიზნით იქნეს გამოყენებული დასკვნით ეტაპზე: მოსწავლემ თვალნათლივ დაინახოს, თუ როგორ „გაიზარდა“ ანალიზის პროცესში, აგრეთვე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე სცადოს პირველი შთაბეჭდილების ახსნა;

**3. აღწერა:** ამ ეტაპზე უნდა მოხდეს საგნების, გამოსახულებების და ა.შ. დასახელება და არ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ყურადღების ფოკუსირება ნამუშევარში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე, შესაბამისად, მოცემული ეტაპისათვის საკმარისია განისაზღვროს მინიმალური დრო;

**4. ანალიზი:** ამ ეტაპზე მოსწავლე ცდილობს გააანალიზოს, თუ როგორ აღწევს მხატვარი კონკრეტულ ეფექტს. შესაძლებელია, მოსწავლეები დაუბრუნდნენ პირველ შთაბეჭდილებებს და გააანალიზონ, თუ რა ხერხების გამოყენებამ განსაზღვრა მათი თავდაპირველი რეაქცია. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილია შემდეგი ტიპის კითხვების დასმა:

- რამ მიიპყრო თქვენი ყურადღება ნამუშევარში?
- ხომ არ ხედავთ რაიმე კავშირს იმ საგნებს შორის, რომელიც ჩამოთვალეთ ნაწარმოების აღწერის ეტაპზე?
- რა მახასიათებლებს ხედავთ ნამუშევარში (ხაზის გამომსახველობითობა, კოლორიტი, კომპოზიცია და ა.შ.)?

ამ ეტაპზე მოსწავლეები ცდილობენ ამოიციონ, რა მხატვრული ხერხები გამოიყენა მხატვარმა და არ ამახვილებენ

ყურადღებას პერსონალურ ინტერპრეტაციაზე.

**5. ინტერპრეტაციის ეტაპი:** ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გამოავლინონ ინტერპრეტაციის უნარი. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემდეგი ტიპის კითხვების დასმა:

- როგორ ფიქრობთ, რა ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს?
- რა არის ამ ნამუშევრის თემა?
- რას გამოხატავს ეს ნამუშევარი? და ა.შ.

**6. ინფორმაციის შეგროვების ეტაპი:** ამ ეტაპზე მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა დაინტერესებას, რომ მათ მოიძიონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია კონკრეტულ ნამუშევართან/მხატვრის შემოქმედებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში თვითონაც მიაწოდოს მკაფიო, მოსწავლეთათვის საინტერესო ინფორმაცია. მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს კვლევითი პროექტის განხორციელებაც კი შესთავაზოს;

**7. ინფორმაციაზე (ცოდნაზე) დაყრდნობილი შეფასება:** ეს არის რეფლექსური აქტივობა. მოსწავლეები უბრუნდებიან პირველ შთაბეჭდილებებს. მასწავლებელი სვამს შემდეგი ტიპის კითხვებს:

- შეიცვალა თუ არა თქვენი აზრი/ემოცია ნამუშევარზე პირველი შთაბეჭდილების შემდეგ?
- თუ შეიცვალა, – როგორ?
- სცადეთ თქვენი პირველი შთაბეჭდილების ახსნა.
- ხომ არ გავიწყობთ ეს ნამუშევარი ამ ან სხვა ავტორის ნამუშევარს, რომელიც ადრე გინახავთ?
- რა შეიძლება გამოიყენოთ პრაქტიკულ საქმიანობაში მოცემული ნიმუშის განხილვის შემდეგ?

ისე როგორც სხვა მეთოდებს, ხელოვნების ნიმუშის ეტაპობრივი განხილვის მეთოდსაც მასწავლებელი შემოქმედებითად, ამასთან, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით გამოიყენებს (ასაკობრივი თავისებურებები, მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, საბაზო ცოდნა და სხვ.).



## თავი IV. ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვა, მართვა და ევალუაცია

### IV.1. ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

**მოტივაცია.** სასწავლო მასალის წარდგენის ფაზებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოტივაციის შექმნა კონკრეტული სასწავლო მასალისადმი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში. მასწავლებელი მკაფიოდ განსაზღვრავს გაკვეთილის სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს, ითვალისწინებს მისაღწევ შედეგებს, ირჩევს სათანადო აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება მას საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ორიენტირების რეალიზებაში; განსაზღვრავს თითოეული აქტივობისათვის საჭირო დროს, მიზნობრივად ირჩევს და ამზადებს გაკვეთილისათვის საჭირო რესურსს.

მოტივაციის შექმნის მიზნით მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაწყება საკლასო მსჯელობით, შთაბეჭდილებების გაზიარებით, დაკვირვებით, ექსპერიმენტის ჩატარებით და სხვ. მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი ამ მიზნით გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენება, სასწავლო მასალის დაკავშირება როგორც მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ისე წინა კლასებში, აგრეთვე, სხვა საგნებში შექმნილ ცოდნასთან.

მსჯელობის პროცესში მოსწავლეები მრავალმხრივ განიხილავენ კონკრეტული თემას, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას, გამოთქამენ ვარაუდს, მოჰყავთ სათანადო არგუმენტები. მოცემულ ეტაპზე იკვეთება გაკვეთილის თემა, კონკრეტული საკითხი.

მოტივაცია არის შინაგანი პროცესი, რომელიც მოსწავლეს

გარკვეული ქმედებებისკენ უბიძგებს და რომელთაც სათანადო მიზნის მისაღწევად მიმართავს. სასწავლო პროცესში მოტივაციის შექმნა მნიშვნელოვანია, რამდენადაც განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას, შესაბამისად, მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევისა და უმნიშვნელოვანესი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.

ფსიქოლოგები განარჩევენ ორი ტიპის მოტივაციას – ე.წ. გარეგანსა და შინაგანს. გარეგანი მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია გარეგანი ფაქტორები (შექება, წახალისება, ჯილდო და სხვ.). შინაგანი მოტივაციის აღსაძვრელად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის, შინაგანი ინტერესის გაღვივება, რაც მათ აზროვნებისკენ, ფიქრისა და აღმოჩენისაკენ უბიძგებს. აღნიშნული აისახება მათ ქმედებებზე და მოსწავლეები აღწევენ დასახულ მიზნებს.

შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის ხელოვნების გაკვეთილზე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაა შესაძლებელი. მაგალითად:

- დაწყებით კლასებში თამაშის ტიპის, მოსწავლეთათვის სახალისო აქტივობების შეთავაზება;
- ალტერნატიული დავალებების მიცემა. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ დავალება მათი ინტერესების მიხედვით; მაგალითად, პომპეი);
- დამოუკიდებელი მსჯელობისა და განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლება;
- ახალი თემის/საკითხის მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მათ ინტერესებთან დაკავშირება;
- სახელმძღვანელოზე მუშაობის აქტიური, მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება;
- ცდების, დაკვირვებების აქტიურად გამოყენება (სწავლა კეთებით);
- მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებ-

ლო რესურსის მიზნობრივად შერჩევასა და გამოყენებაში. მაგალითად, სხვადასხვა წყაროდან (ალბომიდან, ენციკლოპედიიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, ინტერნეტიდან და ა.შ.) მრავალმხრივი ინფორმაციის მოძიება, რომელიც შეიძლება სხვადასხვა მიზნით იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ კონკრეტული თემის შესწავლისას, არამედ მთელი წლის განმავლობაში ესეებზე, პროექტებზე მუშაობისას, საკლასო დისკუსიების წარმართვისას და ა.შ.

- ძირითად რესურსს შეადგენს რეპროდუქციები, ფოტომასალა, სასწავლო პლაკატები, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სქემა, ცხრილი, დიაგრამა, სამუშაო ბარათი სათანადო ინფორმაციითა თუ ინსტრუქციით და სხვ.

- საყურადღებოა მოსწავლეთა მიერ მათთვის საინტერესო კითხვების, მოსაზრებების, იდეების (ესეების, დისკუსიების, პროექტებისთვის, თუნდაც, საკლასო/სასკოლო გამოფენების, სპექტაკლების, სხვადასხვა შინაარსის აქციების ორგანიზებისათვის და სხვ.) ჩანაწერების თავმოყრა და მიზნობრივად გამოყენება. ამგვარად, მოსწავლეთა მიერ მოძიებული/შექმნილი რესურსი შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს თავმოყრილი:

1. ცალკეულ ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ პორტფოლიოებში;
2. კონკრეტულ მხატვრულ მიმდინარეობასთან დაკავშირებით (მაგ., „იმპრესიონიზმი“);
3. რომელიმე ეპოქასთან (მაგ., „აღორძინება“) ან კულტურასთან დაკავშირებით (მაგ., „ძველი ეგვიპტის ხელოვნება“)
4. პორტფოლიოში – „ჩვენი მოსაზრებები, იდეები“ და სხვ.

- მოტივაციის ასამაღლებლად, სასურველია, თითოეულმა მოსწავლემ შექმნას საკუთარი პორტფოლიო, რომელშიც შევაშის მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები, დამოუკიდებლად მოძიებული/შექმნილი რესურსი და, რა თქმა უნდა, პრაქ-

ტიკული ნამუშევრები.

გასათვალისწინებელია გარეგანი მოტივაციის მიზნით გამოყენებული სტრატეგიებიც. მაგალითად:

- მოსწავლის მიერ მიღწეული კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის გარკვეული სახის ჯილდოს ან „საჩუქრის“ გამოყენება. ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მალალი ქულა, შემაჯამებელი ტესტიდან გათავისუფლება და სხვ.;

- წერილობითი ან სიტყვიერი შექება, როდესაც ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიღწევებზე.

- შემოქმედებითი კონკურსების, გამოფენების, აქციების, დისკუსიების ორგანიზება და სხვ.

ამგვარად, მასწავლებელი სისტემატურად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების აუცილებლობას და მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად გეგმავდეს და ახორციელებდეს. მოტივაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებაა შესაძლებელი, თუმცა გასათვალისწინებელია ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებები, კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები, შესაძლებლობები, ინტერესები და სხვ. მოტივაციის ფორმების (შინაგანი, გარეგანი), სტრატეგიების ვარიანტების სურველი შედეგის მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

**საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა.** გაკვეთილის დასაწყისშივე სასწავლო მასალიდან (ძირითადი თემიდან/საკითხიდან) გამომდინარე, მასწავლებელი ნათლად, მკაფიოდ აყალიბებს და მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის ძირითად მიზანს, დასახავს კონკრეტულ ამოცანას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მიზანმიმართული კითხვების, შესაბამისი, ამასთან, მრავალმხრივი საილუსტრაციო ნიმუშების ან სხვა სახის რესურსის გამოყენება.

**ძირითადი სასწავლო მასალა.** ძირითადი სასწავლო მასალის გაცნობა-შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახით (მასალის შინაარსის, სპეციფიკის, მოცულობის, აგრეთვე სწავლების კონკრეტული საფეხურის გათვალისწინებით). მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს, თუ სახელმძღვანელოზე მუშაობის რომელ ფორმას გამოიყენებს კონკრეტულ გაკვეთილზე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

- საგაკვეთილო მასალის კითხვისას, მოსწავლეები ტექსტის თითოეული მონაკვეთის შესაბამისად აკეთებენ შემდეგი სახის აღნიშვნებს:

- + (ინფორმაცია ნაცნობია)

- (ინფორმაცია უცნობია)

- ? (ინფორმაციის გაცნობის შედეგად გაჩნდა კითხვები, რომელთაც მოსწავლეები ცალკე ინიშნავენ, შემდეგ კი სვამენ კლასში).

- თითოეული ჯგუფი ყურადღებით ეცნობა სასწავლო ტექსტიდან მათთვის განკუთვნილ მონაკვეთს, შესაბამის საილუსტრაციო მასალას, რის საფუძველზეც ჯგუფის წევრები შეეცდებიან აუხსნან თანაკლასელებს მათ მიერ განხილული მონაკვეთის შინაარსი (ურთიერთსწავლების მეთოდი);

- ჯგუფის წევრები ერთობლივად ეცნობიან მთლიან საგაკვეთილო მასალას და ასევე ერთობლივად პასუხობენ ინტერაქტივის შეკითხვებს, მუშაობის დასრულებისას კი აცნობენ თანაკლასელებს მათ მოსაზრებებს. შესაძლებელია, მსჯელობის პროცესში გაჩნდეს განსხვავებული აზრი, ვერსია.

- საგაკვეთილო მასალის გაცნობის შემდეგ ჯგუფი ამზადებს და თანაკლასელებს უსვამს კითხვებს სახელმძღვანელოში მოცემული კონკრეტული ინფორმაციის, თუნდაც, საილუსტრაციო ნიმუშების ირგვლივ. შესაძლებელია, თითოეული ჯგუფის წევრებმა კითხვები დააფიქსირონ ბარათებზე, გადასცენ სხვა ჯგუფის მოსწავლეებს და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხონ ერთმანეთის შეკითხვებს.

- საგაკვეთილო მასალის გაცნობის შემდეგ ჯგუფის წევრებს შეუძლიათ გააკეთონ, მათი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციასთან დაკავშირებული ჩანაწერები (მაგალითად, მნიშვნელოვანი თარიღები, მოვლენები, ფაქტები, თუნდაც, ტერმინების განმარტებები და სხვ.).

**საწყის ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები** შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს, მოიცავდეს როგორც პრაქტიკულ, ისე შემეცნებით საქმიანობას. კერძოდ:

- განსხვავებული ეპოქის / სტილის / დარგის / ჟანრის / ხელოვანის ნამუშევრების ამოცნობა, შედარება;

- კონკრეტული ნიმუშის განხილვა შესაბამის ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ კონტექსტში;

- პასუხი რთულ, „სააზროვნო“ კითხვაზე, საკუთარი პოზიციის დასაბუთება;

- კონკრეტული თემის სხვა საგნებში შეძენილ ცოდნასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება;

- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, რომელზე მუშაობაც დროის მცირე მონაკვეთისთვისაა გათვალისწინებული და სხვ.

**დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოსათვის** განსაზღვრული სავარჯიშოების მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და გააქტიურებას. მუშაობის ფორმების შერჩევას, ცხადია, განსაზღვრავს გაკვეთილის თემის, კონკრეტული სასწავლო მასალის სპეციფიკა. ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ დისკუსია, მუშაობა პროექტზე, სხვადასხვა შინაარსის შემოქმედებითი დავალებები და სხვ.

**დამოუკიდებელი სამუშაო**, როგორც სასწავლო მასალის წარდგენის ბოლო ეტაპი, საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი წარმოაჩენს თვალნათლივ,

## IV.2. ხელოვნების გაკვეთილის კონსტრუქციის თავისებურებები

თუ რამდენად გააცნობიერა მოსწავლემ ახალი სასწავლო მასალა, რის საფუძველზეც იგი ავლენს დაკვირვებულობის, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობისა და სხვა უნარებს. ამ ეტაპზე შესაძლებელია მოსწავლეთათვის სხვადასხვა სახის სქემებსა და დიაგრამაზე მუშაობის შეთავაზება, როგორცაა „სოციალური რუკა“ („აბლაბუდა“), „კორნელის დაფა“, „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“, „ვენის დიაგრამა“, „I-დიაგრამა“, „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“, „3, 2, 1“ და სხვ. მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილია აგრეთვე მუშაობა დიაგნოსტიკურ მასალაზე (ტესტი, კროსვორდი), აგრეთვე წერით ნამუშევრებზე (ესე, მოხსენება, რეფერატი და სხვ.).

განხილული და სხვა ტიპის სქემებსა და დიაგრამებზე მუშაობა მოსწავლეებს გაუადვილებს შესასწავლი თემის გააზრებასა და აღქმას, განუვითარებს დაკვირვებულობის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობის, შეფასებისა და თვითშეფასების უნარ-ჩვევებს.

სასწავლო გეგმის შედგენისას საყურადღებოა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება, რათა გაკვეთილი ეფექტურად წარიმართოს და მიღწეულ იქნეს კონკრეტული შედეგები. გაკვეთილის დაგეგმვისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია **სასწავლო მიზნების** განსაზღვრა. გაკვეთილის სასწავლო მიზნები სასწავლო გეგმაში მოცემული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით განისაზღვრება. სწორედ სასწავლო მიზნებში აისახება, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა.

სასწავლო მიზნები არ ასახავს პროცესს, ის განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებს. ამიტომაც მასწავლებლის ამოცანას შეადგენს ისეთი მიზნების დასახვა, რომელთა მიღწევაც რეალურადაა შესაძლებელი კონკრეტული საგაკვეთილო დროის ფარგლებში.

საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული ინდიკატორები იმდენად განსხვავებულია ტრადიციული სწავლების მოთხოვნებისაგან, რომ ჩნდება გაკვეთილის ახლებურად გააზრების აუცილებლობა. თუ უწინ მნიშვნელოვანი იყო ფაქტების, მოვლენების ცოდნა-დასახელება, მათი აღწერა, ტექსტის ძირითადი ინფორმაციის გადმოცემა და ა.შ., ამჯერად აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია მოვლენის მიზეზის ახსნა, მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა, ჰიპოთეზების (განსხვავებული მოსაზრებების/ვერსიების) წამოყენება, დასაბუთება, დასკვნების გაკეთება; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ხშირ შემთხვევაში არა კონკრეტული ნიმუშის საფუძველზე, არამედ საკუთარი მოსაზრებისამებრ (თემა, მასალა, ტექნიკა, გამომსახველობითი ხერხები და ა.შ.);

მუშაობა პროექტებზე, მონაწილეობის მიღება დისკუსიებში, საკლასო კონფერენციებში, გამოფენების, აქციების და სხვ. ორგანიზებაში.

გაკვეთილის სასწავლო მიზნები გამოხატავს იმას, რაც სწავლის პროცესში უნდა იქნეს მიღწეული, ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა (იცოდნენ, გაიგონ, აღწერონ, შეადარონ, შექმნან, გააანალიზონ, შეაფასონ). მიზნები უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო გეგმის შედეგებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლეების პროგრესის შემოწმების, ასევე მასწავლებლების თვითშეფასებისათვის, შესაბამისად, განსაზღვრავს მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს.

გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებელია **წინაპირობების** გათვალისწინება, ანუ რა ცოდნა და უნარები არის აუცილებელი ახალი მასალის „დასაშენებლად“, იმისათვის, რომ გაკვეთილი იყოს წარმატებული.

გაკვეთილის სასწავლო მიზნების შესაბამისად ხდება **აქტივობების** განსაზღვრა, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ორიენტირების რეალიზება. ამისათვის მან მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს თითოეული აქტივობის მიზანი, განსაზღვროს საჭირო დრო, რესურსი, სავარაუდო შედეგი. ამასთან, თითოეული აქტივობა უნდა მიესადაგებოდეს სასწავლო მასალის სპეციფიკას, მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სასწავლო გეგმაზე მუშაობისას მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია **მოსწავლეთა ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენება** – ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური თუ საერთო საკლასო. გასათვალისწინებელია გაკვეთილზე მოსწავლეთა საჭირო რესურსით **უზრუნველყოფა**, რაც დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში. რესურსი შეიძლება მრავალფეროვანი, ამასთან, სხვადასხვა ტიპის იყოს (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, ვიზუალური

მასალა, სტატია, სამუშაო ფურცლები, პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი მრავალმხრივი მასალა, სასწავლო ფილმი, ინტერნეტი და სხვ.).

გაკვეთილის დასრულებისას, მიღწეული შედეგების გამოსავლენად ეფექტურია შემაჯამებელი ტიპის აქტივობის დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენას. ასე მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა, ჯგუფური მუშაობის შეჯამება-შეფასება, დიაგნოსტიკურ მასალაზე მუშაობა (ტესტი, კროსვორდი, ესე და სხვ.).

### IV.3. ინტეგრირებადი ბაკვეთილი

რეალური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ ბუნებრივ კავშირს არ ითვალისწინებდა ტრადიციულ სასწავლო პროცესში დამკვიდრებული დამოუკიდებელი, განცალკევებული დისციპლინების სწავლება (დისციპლინარული დიფერენციაცია). ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად, სათანადო აქტუალობა შეიძინა მოსწავლეებში სამყაროს ერთიანი ხედვის, ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა და დიალექტიკური აზროვნების ფორმირება.

სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევები მოსწავლეს უნდა აძლევდეს სამყაროს მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას, რამდენადაც ადამიანი სამყაროს მრავალი სხვადასხვა კუთხით შეიმეცნებს, თუმცა ეს სამყარო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს, ერთიანია და არა დანაწილებული საგნებად, სფეროებად. შესაბამისად, სასწავლო დისციპლინები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, უნდა ითვალისწინებდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. უნარ-ჩვევები და საბაზო ცოდნა, რომელსაც მოსწავლე სკოლაში იძენს, უნდა იყოს იმდენად ფართო პროფილის, რომ დაეხმაროს მას წარმატების მიღწევაში არა ერთ რომელიმე, არამედ ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობისას. მოვლენების განხილვა, შეფასება უნდა მოხდეს მრავალი კუთხით. მაგალითად, ფერწერის ნიმუში მოსწავლემ უნდა გაიაზროს მრავალმხრივ (ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ) კონტექსტში. სასწავლო მასალის მრავალი კუთხით განხილვა-შეფასება, პარალელების გავლება, გარკვეული დასკვნების გაკეთება ხელს შეუწყობს მოსწავლეებში არა მხოლოდ სამყაროს ერთიანი ხედვის უნარის ფორმირებას, არამედ უზრუნველყოფს შემეცნებითი ინტერესების აღძვრას, კრიტიკული, ანალიტიკური აზ-

როვნების ჩამოყალიბებას, ცოდნის ტრანსფერის უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია სტერეოტიპების დაძლევისთვის.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული კომპეტენციები, რომელთა ფლობასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში თვითრეალიზაციისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. საგნების სწავლება, სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ამ პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში, რომელთა დასაუფლებლადაც მნიშვნელოვანი ხდება სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს საგანგებო პროცესში სულ მცირე ორი საგნის მონაწილეობას (საერთო გამჭოლი თემატიკის ქვეშ გაერთიანებულია რამდენიმე საგანი) ისე, რომ მათი შერწყმა საშუალებას იძლეოდეს აქტივობების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის ერთი და იმავე თემის ირგვლივ. ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისას არსებით მნიშვნელობას იძენს ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობა, რომელშიც სწავლების საფეხურების მიხედვით არის მოცემული ინფორმაცია იმ შედეგებსა და ინდიკატორებზე, რომლებზეც უნდა გადიოდეს თითოეული აქტივობა.

სიტყვა „ინტეგრაცია“ გულისხმობს ცალკეული ნაწილების გაერთიანებას ერთ მთლიანობაში. შესაბამისად, ინტეგრირებულ გაკვეთილზე საერთო გამჭოლი თემატიკის ქვეშ გაერთიანებულია რამდენიმე საგანი. ასე მაგალითად:

- ხელოვნება და მშობლიური ენა;

- ხელოვნება და მუსიკა;
- ხელოვნება და ისტორია;
- ხელოვნება და ბუნებისმცოდნეობა;
- ხელოვნება, ისტორია და ლიტერატურა;
- ხელოვნება, მუსიკა და ლიტერატურა და სხვ.

ინტეგრირებული გაკვეთილის პედაგოგიური ეფექტი მრავალმხრივად საყურადღებო (კონკრეტული თემის/საკითხის მრავალმხრივი განხილვა, შეფასება, დაკავშირება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, სხვადასხვა საგანში შეხენილი ცოდნის გააქტიურება და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობა, მოტივაციის ამაღლება სასწავლო პროცესისადმი და ა.შ.).

ინტეგრირებული გაკვეთილი ხელს უწყობს მოსწავლის სააზროვნო უნარ-ჩვევების გააქტიურებას (საგნებისა თუ მოვლენების შედარება, დაპირისპირება, მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიება და ა.შ.). გარდა ამისა, უზრუნველყოფს გადაღლილობის მოხსნას, რასაც განაპირობებს ერთფეროვნება სასწავლო პროცესში. მოსწავლეებისათვის ერთგვარად „უჩვეულო“ გაკვეთილი მრავალმხრივი აქტივობებით აღძრავს შემეცნებით ინტერესებს და ახდენს აქტივობის სტიმულირებას. ხშირ შემთხვევაში ინტეგრირებულ გაკვეთილს ახლავს განსხვავებული მოსაზრებების, ვერსიების წარმოშობა, ძიებები და აღმოჩენები და ამ პროცესში წამყვან როლს სწორედ მოსწავლეები ასრულებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი ეხმარება მასწავლებელს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გახსნაში, რაც მნიშვნელოვანია მისი პროფესიული განვითარებისათვის.

ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადება არასტანდარტული გამო საკმაოდ მოცულობით მოსამზადებელ სამუშაოს მოითხოვს, რაც იწყება გაკვეთილის სასწავლო მიზნების მკა-

ფიო ფორმულირებით. სასწავლო მიზნების შესატყვისად განისაზღვრება მისაღწევი შედეგები.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი ეტაპებია:

### 1. საგაკვეთილო თემატიკისა და პარტნიორი მასწავლებლის შერჩევა.

მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის განხილვა:

- თავდაპირველად მასწავლებელი ირჩევს თემატიკას ინტეგრირებული გაკვეთილისათვის და შემდეგ ამ თემატიკის გარშემო ხდება კონკრეტული პარტნიორი მასწავლებლის/მასწავლებლების შემოკრება.

#### IV.3. ნიმუში 1.

ხელოვნების მასწავლებელს, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით დაგეგმილი აქვს მუშაობა გარკვეულ თემატიკაზე. მისი აზრით, ეს საკითხი შეიძლება უფრო საფუძვლიანად და მრავალმხრივ დამუშავდეს ინტერდისციპლინარული განხილვის შემთხვევაში (ინტეგრაცია ისტორიასა და ლიტერატურასთან/მუსიკასთან). ამ იდეით იგი მიმართავს იმავე კლასთან მომუშავე ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლებს და მათგან თანხმობის შემთხვევაში, ისინი ჯგუფურად იწყებენ ინტეგრირებულ გაკვეთილზე მუშაობას.

- შესაძლებელია, სხვადასხვა საგნის 2/3-მა მასწავლებელმა ერთობლივად მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თაობაზე და მხოლოდ შემდეგ მოხდეს საგაკვეთილო თემატიკის შერჩევა.

### IV.3. ნიმუში 2.

ერთი კლასის მასწავლებლები გადაწყვეტენ ინტეგრირებული გაკვეთილის ერთობლივად დაგეგმვასა და ჩატარებას, რადგან, მათი აზრით, ინტერდისციპლინარული მიდგომა უდავოდ ეფექტურია და შედეგიანი, ვიდრე მასალის განკერძოებული ათვისება. ისინი ერთობლივად ირჩევენ გამჭოლ თემატიკას, რომელიც საერთოა სხვადასხვა საგნისათვის და შემდეგ იწყებენ მუშაობას ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვაზე.

#### 2. ინტეგრირებული გაკვეთილის თემის, სასწავლო მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების დაზუსტება.

მოცემულ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის წევრები ერთობლივად მუშაობენ ინტეგრირებული გაკვეთილის თემატიკაზე, ითვალისწინებენ, რომ შერჩეული თემა ერთდროულად უკავშირდებოდეს და ეხებოდეს ყველა მონაწილე საგანს. განისაზღვრება შერჩეული საერთო თემატიკის ფარგლებში თითოეული საგნისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, რაც შეადგენს საორიენტაციო წერტილს გაკვეთილის სასწავლო მიზნებისა და შემდგომ აქტივობების დაგეგმვისათვის.

ამავე ეტაპზე ხდება ინტეგრირებული გაკვეთილისათვის წინაპირობების განსაზღვრა ცალკეული საგნების მიხედვით (რა ცოდნასა და უნარებს ფლობენ მოსწავლეები). ანალიზის საფუძველზე იკვეთება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გასათვალისწინებელია დასახული შედეგების მისაღწევად.

#### 3. შედეგებზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.

სამუშაო ჯგუფის წევრები ირჩევენ ეფექტური სწავლების

სტრატეგიებს, გეგმავენ ადეკვატურ აქტივობებს, განსაზღვრავენ თითოეული აქტივობის მიზანსა და მისი განხორციელებისათვის საჭირო დროს, რესურსს. გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის გაკვეთილზე სასწავლო მასალა არ უნდა იყოს გადატვირთული ჭარბი ინფორმაციით, ამასთან, უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო დატვირთვის ლიმიტს.

მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში განისაზღვროს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ფორმები, რაც საკმარისად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. შეფასების სისტემის ეფექტური გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც მიღებული შედეგების გაანალიზების, გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის თვალსაზრისით, ისე ზოგადად, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის.



#### IV.4. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება

სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. სწორედ შეფასების საშუალებით არის შესაძლებელი მოსწავლეთა მიღწევების სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. შეფასებისას იკვეთება არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევები, მისი წინსვლა, არამედ ხარვეზებიც მის განვითარებაში, სხვადასხვა სახის პრობლემა, რაც მასწავლებელს აძლევს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასებას შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები აქვს:

1. მოსწავლის წინსვლისა და ხარვეზების გამოვლენა და შემდგომ მისი სწავლის ხელშეწყობა;

2. სასწავლო პროგრამების, კონკრეტული მეთოდის შემოწმება და სრულყოფა.

გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში მასწავლებელი აცნობიერებს, თუ კონკრეტულად რა, როდის და როგორ უნდა შეაფასოს. ამ მხრივ მისთვის საყურადღებოა სასწავლო მიზნებისა და შედეგების დაკავშირება, ანუ რა მიზნები უნდა დაისახოს, რომ კონკრეტულ, რეალურ შედეგებს მიაღწევს; განსაზღვრავს იმ საშუალებებს (სათანადო აქტივობებს, სასწავლო-თვალსაჩინო და დიდაქტიკურ მასალას და სხვ.), რომლებითაც იგი ამ შედეგებს მიაღწევს. შეფასების სანდოობას განაპირობებს მიზანმიმართულად განსაზღვრული სასწავლო მიზნები და მისაღწევი შედეგები, აქტივობები და მკაფიოდ ჩამოყალიბებული დავალებების ინსტრუქციები, შე-

ფასების კრიტერიუმები და, რა თქმა უნდა, მასწავლებლის სათანადო პროფესიული კომპეტენცია.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასება იყოს ღია და გამჭვირვალე მოსწავლეებისათვის, მათ იცოდნენ, თუ რა სახის მექანიზმები და კრიტერიუმები იქნება გამოყენებული მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასებისათვის. სასურველია, მოსწავლეები თავადაც იყვნენ ჩართული შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და შეფასების სქემების შემუშავებაში, თვითშეფასებისა და ამხანაგების შეფასების პროცესში.

ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრა შეფასების ორი ძირითადი ფორმა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. თითოეული მათგანი სწავლისა და სწავლების აუცილებელ და სისტემურ ნაწილს წარმოადგენს.

განმავითარებელი შეფასებით, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას, სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების მაქსიმალურ ხელშეწყობას, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ნაკლოვანი მხარეების გაცნობიერებასა და აღმოფხვრაში, მიღწევების დანახვასა და სამომავლო გზების დასახვაში. ამ მიზნით მნიშვნელოვანია მასწავლებელმა განახორციელოს სისტემატური დაკვირვება თითოეული მოსწავლის საქმიანობაზე, შეისწავლოს მათი შესაძლებლობები, საჭიროებები და გამოიყენოს სწავლების პროცესში. პედაგოგიური ეფექტისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა უზრუნველყოს საკუთრივ მოსწავლეების ჩართვა განმავითარებელი შეფასების პროცესში, ჩამოუყალიბოს მათ თვითშეფასების უნარი, რათა მათ ხელი შეუწყონ საკუთარ წინსვლას, რაც თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად უნდა განხორციელდეს.

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება, მათ შორის, მკაფიო, კონკრეტული რჩევები, სიტყვიერი კომენტარი, ე.წ. და-

**დაკვირვების ცხრილის ნიმუში**

თარიღი	სახელი, გვარი	საკლასო დავალებები	ჯგუფური მუშაობა	ორგანიზებულობა	საშინაო დავალება
		გამოავლინა სასწავლო მასალის ცოდნა, გაუჭირდა საკითხის სხვა კონტექსტში განხილვა, მსჯელობდა დამაჯერებლად, თუმცა ნაკლებად მყარ არგუმენტები მოჰყავდა.	თანაკლასელებთან მუშაობა მისთვის ნაკლებად საინტერესოა, ნაკლებად შედის კონტაქტში ჯგუფის წევრებთან, არ ავლენს ინიციატივას, უყურადღებოდ ტოვებს სხვების აზრს/რჩევებს. არ ავლენს თავდაჯერებულობას	ჰქონდა სამუშაო მასალა, ითვალისწინებდა დროის ლიმიტს კონცენტრირებული იყო სამუშაოზე	საშინაო დავალება არ ჰქონდა შესრულებული, არ იყო პასუხისმგებლობით, ვერ გამოავლინა ცოდნა, სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და სხვ.

კვირების ბარათები, შეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, თითოეული მოსწავლის პორტფოლიოს შედგენა შემდგომი განხილვისათვის და სხვ. სათანადო პედაგოგიური ეფექტისათვის საყურადღებოა შემაჯამებელ გაკვეთილებზე წინასწარ მომზადებული ბარათების გამოყენება, რომლებშიც დაფიქსირდება თითოეული მოსწავლის დიაგნოსტიკურ მასალაზე მუშაობის შედეგები.

**დაკვირვება** განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მეთოდია. დაკვირვება შეიძლება მრავალმხრივი იყოს (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები, ღირებულებები, ინიციატივა, შემოქმედებითი მიდგომა და სხვ.) კონკრეტული გაკვეთილის სასწავლო მიზნების, თემის/საკითხის, აქტივობების გათვალისწინებით. დაკვირვების შედეგად მასწავლებელი აკეთებს ჩანაწერებს – კომენტარებს, შენიშვნებს, რომლებშიც აფიქსირებს მოსწავლეთა მიღწევებსა თუ პრობლემებს. სავლდებულო არ არის, რომ დაკვირვების ბარათებს ჰქონდეს რაიმე სახის კონკრეტული სტრუქტურა, თუმცა არანაკლებ ეფექტურია ჩანაწერების გაკეთება სპეციალურ ცხრილებში კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული სქემების გამოყენება ბევრად აადვილებს არა მხოლოდ ჩანაწერების გაკეთების ტექნიკას, არამედ შემდგომი ანალიზის პროცესსაც.

როგორც ნათლად ჩანს მოცემული სქემიდან, მასწავლებლის ჩანაწერები მოკლეა, თუმცა კონკრეტული და საკმაოდ ინფორმაციული.

**კომენტარი.** გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი სისტემატურად გამოთქვამს აზრს თითოეული მოსწავლის პასუხთან თუ გარკვეულ ქმედებასთან დაკავშირებით, ანუ აკეთებს ზეპირ კომენტარს. კომენტარების სისტემატურად გამოყენება მნიშვნელოვან პედაგოგიურ ეფექტზეა გათვლილი

– უმაღლესს მოსწავლეებს მოტივაციას, აღუძრავს ინტერესს, დამოუკიდებელი მუშაობის სურვილს, უვითარებს საკუთარი თავის რწმენას და ა.შ., თუმცა, პირველ რიგში, საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მოსწავლე კომენტარის სახით იღებს ობიექტურ ინფორმაციას – რა წარმატებები აქვს მას კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას, ნამუშევრის შექმნისას, დისკუსიებში, გამოფენებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში/აქტივობებში მონაწილეობისას, ან თუნდაც, რა ნაკლოვანი მხარეები შეინიშნება. მნიშვნელოვანია, რომ კომენტარი (ზეპირი თუ წერილობითი, დადებითი თუ უარყოფითი) იყოს ზომიერი და ობიექტური. მასწავლებელმა ყოველთვის უნდა დაინახოს დადებითი მხარეები, თუნდაც, მინიმალური და მხოლოდ სათანადო ტაქტით აღნიშნოს ნაკლოვანებები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნამუშევრის შეფასებისას მასწავლებელი აფასებს სწორედ ნამუშევარს და არა მოსწავლის პიროვნებას. სასურველია, კომენტარი მოიცავდეს გარკვეული სახით კონკრეტულ რჩევასაც.

განმავითარებელი შეფასებისაგან განსხვავებით, განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება სათანადო ქულები შეფასების ძირითად კომპონენტებზე დაყრდნობით. ეს კომპონენტებია:

- საშინაო დავალება;
- საკლასო დავალება;
- შემაჯამებელი დავალება.

თითოეული კომპონენტი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე შეიძლება საკმაოდ მრავალმხრივი ფორმითა და საშუალებით იქნეს წარმოდგენილი. მაგალითად:

**საშინაო დავალებისთვის** შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ესე, რეფერატი, ინფორმაციისა თუ საილუსტრაციო მასალის დამოუკიდებლად მოძიება, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ., ცხადია, სწავლების კონკრეტული საფეხურის, სასწავლო თემის/საკითხისა და გაკვეთილის სასწავლო მიზნების შესაბამისად;

**მიმდინარე საკლასო დავალებები** შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგი ტიპის აქტივობებს:

1. პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, რომლის შეფასებაც განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ორგანიზებულობა;
- ტექნიკის, მასალის ფლობა;
- შემოქმედებითობა;
- თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს.

2. მონაწილეობის მიღება საკუთარი და ამხანაგების ნამუშევრების განხილვაში;

3. მონაწილეობის მიღება კონკრეტული ეპოქის/შემოქმედის/ხელოვნების ნიმუშის განხილვის პროცესში, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აქტიური მონაწილეობა;
- საკუთარი აზრის გადმოცემა და დასაბუთება;
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

4. საკუთარი და სხვათა ნამუშევრების პრეზენტაცია, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

- საკუთარი აზრის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი;
- კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა;
- თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

**შემაჯამებელი დავალების კომპონენტი** გულისხმობს გარკვეული სასწავლო მონაკვეთის (თემის/თავის/პარაგრაფის) შესწავლის შედეგად საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენას. შემაჯამებელი დავალებების ტიპები შესაძლებელია იყოს, მაგალითად, საკონტროლო წერა, გამოცდა, ტესტირება, მასშტაბური ნამუშევარი, გამოფენა, ესე, რეფერატი, პროექტი და სხვ.

პროექტის შესრულებისას შესაძლებელია შეფასდეს შემდეგი აქტივობები:

პროექტის იდეის განსაზღვრა, დაგეგმვა, ორგანიზება, რესურსის მოძიება, წარდგენა და სხვ.

გასათვალისწინებელია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული დავალების პირობასა და განვლილ მასალას;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება.

**შეფასების სქემები**

შეფასების სქემები, ანუ რუბრიკები მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების ერთობლიობას წარმოადგენს. მოსწავლეთა შეფასება ერთიანი სქემით განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელოვანი ფორმაა და ხელს უწყობს მოსწავლეთა ობიექტური შეფასების განხორციელებას.

შეფასების სქემები შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების. ე.წ. რუბრიკების ნიმუშები წარმოდგენილია საგნობრივ საგანმანათლებლო სტანდარტებში, მაგალითად, რუბრიკები:

- ხელოვნების ნიმუშის ანალიზი;
- პრაქტიკული ნამუშევრის შეფასება;
- პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამოვლენა და სხვ.

აღნიშნული რუბრიკების გარდა, მასწავლებელს შეუძლია შეფასების სხვა ტიპის სქემების საკუთარი მოსაზრებისამებრ შემუშავება, ცხადია, სწავლების საფეხურის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში საყურადღებოა შეფასების სქემის ძირითადი კრიტერიუმებისა და თითოეული მათგანის მახასიათებლების განსაზღვრა ცალკეული ღონეების შესატყვისად.

**IV.5. გაკვეთილის შეფასება და მასწავლებლის პროფესიული განვითარება**

სასწავლო პროცესის ეფექტურობას ბევრად განსაზღვრავს გაკვეთილის შეფასება, რაც გამოკვეთს როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებს, ამასთან, მნიშვნელოვანია მასწავლებლის შემდგომი პროფესიულ განვითარებისათვის.

სასწავლო შედეგების შემოწმების, ანალიზისა და შეფასების მიზნით, სასურველია, მასწავლებელი სისტემატურად იყენებდეს გაკვეთილის თვითშეფასების სქემას, რომელშიც მკაფიოდ იქნება ფორმულირებული შეფასების ინდიკატორები.

**გაკვეთილის შეფასების სანიმუშო სქემა**

№	გაკვეთილის შეფასების ინდიკატორები	კი	ნაწილობრივ	არა
1.	რამდენად მკაფიოდ არის ფორმულირებული გაკვეთილის სასწავლო მიზნები?			
2.	შეესაბამება თუ არა მასწავლებლის სტრატეგია გაკვეთილის სასწავლო მიზნებს?			
3.	რამდენად სწორად ანაწილებს საგაკვეთილო დროს?			
4.	აკავშირებს თუ არა ახალ თემას/საკითხს განვლილ მასალასთან?			
5.	რამდენად გასაგებად აწვდის ახალ მასალას და როგორ ამოწმებს ათვისების ხარისხს?			
6.	უზრუნველყოფს თუ არა მოსწავლეთა შემეცნებითი აზროვნების განვითარებას სხვადასხვა ღონეზე?			

7.	რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას?			
8.	იყენებს თუ არა ჯგუფური მუშაობის სტრატეგიას?			
9.	რამდენად უზრუნველყოფს მოსწავლეთა დისციპლინას, დაინტერესებასა და აქტივობას?			
10.	ითვალისწინებს თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს დავალეების მიცემისას?			
11.	რამდენად ითვალისწინებს მის მიერ მიცემული დავალებები მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სხვა საგნებში შეძენილ ცოდნას?			
12.	მიზანმიმართულად იყენებს თუ არა სასწავლო და დამხმარე რესურსებს?			
13.	რამდენად გეგმავს და ახალისებს მოსწავლეთა მიერ პროექტებისა და პრეზენტაციების მომზადებას?			
14.	უვითარებს თუ არა მოსწავლეებს თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარს?			
15.	რამდენად ცნობილი და გასაგებია მოსწავლეთათვის შეფასების სისტემა და კომპონენტები?			
16.	მრავალფეროვანია თუ არა შეფასების სისტემა?			
17.	რამდენად ობიექტურია მასწავლებელი შეფასებისას?			
18.	რამდენად პოზიტიურია საკლასო გარემო?			

მასწავლებელს შეუძლია საკუთარი მოსაზრებისამებრ შეარჩიოს ან დამოუკიდებლად განსაზღვროს გაკვეთილის შეფასების ინდიკატორები, ცხადია, სწავლების მოცემული საფეხურისა და კონკრეტული თემის შესაბამისად.

თვითშეფასება მასწავლებლის პროფესიული განვითარების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა. სუსტი და ძლიერ მხარეების შეფასება და მიღებული ინფორმაციის მიზანმიმართული და გონივრული გამოყენება უდავოდ დადებით ზეგავლენას ახდენს საკუთრივ სასწავლო პროცესზე და მასწავლებლის მიერ მიღწეულ რეალურ ხარისხობრივ შედეგებზე.

მასწავლებლის პროფესიული ზრდისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე მჭიდრო თანამშრომლობა კოლეგებთან. მაგალითად, განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების, ახალი პროფესიული ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა, ცალკეული სტრატეგიების განხილვა-დამუშავება, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება სწავლების მეთოდებზე დაკვირვებისა და თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, აგრეთვე საკუთარი პედაგოგიური მიდგომების დახვეწის მიზნით, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და განზოგადება, ერთობლივი მუშაობა პროექტებზე, დისკუსიებზე, აქციების, გამოფენებისა და ა.შ. ორგანიზებაზე, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებაზე და სხვ. ერთობლივი მუშაობით მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან აგრეთვე სასწავლო მასალები, სასწავლო მეთოდოლოგია, ახალი რესურსები, შეფასების მექანიზმები და სხვ. პროფესიული განვითარების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს მასწავლებლების მონაწილეობა კონფერენციებსა და სხვა სახის სამუშაო შეხვედრებში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლება და მიზანმიმართული გამოყენება. მაგალითად, საჭიროა, ამასთან, მრავალმხრივი ინფორმაციის, ვიზუალური მასალის (რეპროდუქცია, ფოტო და სხვ.) მოძიება, სხვადასხვა სახის რესურსის შექმნა და სხვ. მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ იმის გაცნობიერებაც, რომ პროფესიული განვითარება უნდა იქნეს განხილული როგორც უწყვეტი პროცესი და არა მოკლევადიანი, თუნდაც, ერთჯერადი ღონისძიება.

რეზიუმე

## EFFECTIVE LEARNING STRATEGIES AND TECHNOLOGIES (FINE AND APPLIED ARTS)

**Nana Macharashvili**  
Doctor of Pedagogical Sciences

### **Abstract**

The current novelties in the educational environment have determined the urgency for establishing teaching content on various principles, the world's educational practices, researching the innovative approaches and generalization.

The research discusses the conceptual foundations for effective learning, presents educational technologies and strategies, the effectiveness of which has been duly certified according to the results of the studies carried out by the world's leading scientists and has been successfully approved in the school practice.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2011.
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. 2008.
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. საგნობრივი სტანდარტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2011.
4. სწავლება და შეფასება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
5. სასწავლო და პროფესიული გარემო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
6. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2007.
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2007.
8. სასარგებლო რესურსი მასწავლებლისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007.
9. ბროფი ჯ., გუდი თ. – მასწავლებლის ქცევა და მოსწავლის აკადემიური მოსწრება. მ. უითროქის (რედ.) წიგნში „კვლევები და სწავლების მეთოდების შესახებ (გვ. 328-375), ნიუ იორკი, მაქმილანი.
10. ივან ივიჩი, ანა პესიკანი, სლობოდანკა იანოვიჩი. აქტიური სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო, თბ., 2000.
11. ჩარლზ თემფლი. სტრატეგიები სხვადასხვა საგანში. დამხმარე სახელმძღვანელო. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“. 2001.
12. ჯეკი თერნბული. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
13. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი. ეფექტური სწავლება სკოლაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.
14. მაჭარაშვილი ნ. ხელოვნების დარგთა ინტეგრირებული სწავლება. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2008.
15. მაჭარაშვილი ნ. ხელოვნების გაკვეთილების დაგეგმვა და ორგანიზაცია ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2006.
16. მაჭარაშვილი ნ., სილაგამე ნ., ჯაბუა ნ. ხელოვნების სწავლებისათვის შექმნილი სასწავლო მეთოდური მასალები I-IX კლასებისათვის (გრიფირებული 2011-2012 წლებში განათლების სამინისტროს მიერ).
17. ჯენქსი ქ. – ოჯახისა და სკოლის ზეგავლენის გადაფასება ამერიკაში. ნიუიორკი, 1972. ბეიზიქ ბუქსი.
18. Выгодский А. С. „Педагогическая психология“. М., 1991.
19. Выгодский А. С. „Проблемы развития психики“. М., 1983, Т. 3.

20. Кукушин В. С. Современные педагогические технологии. Ростов н /Д „Феникс“, 2003. 448 стр.
21. Подласый И. П. Педагогика, книга 2: теория и технологии обучения. Москва, „Владос“, 2007. 560 стр.
22. Пьянкова Н.И. Изобразительное искусство в современной школе. Москва, „Просвещение“, 2006. 180 стр.
23. Слезер Н. Социология. М. 1984.
24. Стоунс, Э..(1984). Психопедагогика, М: „Педагогика“.
25. Флейвелл Д. Х. Генетическая психология Ж Пиаже, пер. с англ. М. 1981.
26. Хуторской А. В. Дидактическая эвристика. Теория и технология креативного обучения. — М.: Изд-во МГУ, 2003. — 416 с.
27. Хуторской А. В. Современная дидактика. Санкт-Петербург, „Питер“, 2004. 540 стр.
28. Bowling-Carr, C., & west-burnham, J. (1997). Effective learning in schools. London: Pitman.
29. Feden, Preston D., and Vogel, Robert M. Methods of teaching: applying cognitive science to promote student learning. Boston: McGraw-Hill, 2003
30. Diane F. halpern (1999). Thought and Knowledge: An Introduction to Critikal Thinking (3rd ed.). Lawrence Erlbaum Associates, Rublishers. Mahwah, new Jersey.
31. Kyriacou, C. (1997). Effective teaching in schools (2nd ed.). Cheltenham, United Kingdom: Nelson Thornes.
32. Perkins, D. (1992). Smart Schools: Better thinking and learning for every child. NY: The free press.
33. Saphier, J., & Gower, R. (1997). The skillful teacher. Acton: Research for Better Teaching.
34. Quist, D. (2000). Primary teaching methods. London & oxford: Macmillan Education LTD.



---

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ალ. ყაზბეგის გამზ. №45  
E – mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com) ტ. 239-15-22